

186
1985

3
საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმართობის
მინისტრო



საქართველოს სსრ მთავრობის
ღარგენიღებუთა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1985 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

ინფორმაციული — თეორეტიკული

1985 წ.

299

შინაარსი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1. დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ.
2. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

3. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ზოგერთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ.
4. სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. დ. თაყაიშვილის ხსოვნის უკვდავოების შესახებ.
5. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანების ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ.
6. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო სამეურნეო საწარმოებში მელიორირებული მიწების მალაღეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

7. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შ. მ. მშველიძის ხსოვნის უკვდავოების შესახებ.
8. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის დებულების ზომამცირე გემებით სარგებლობის წესების დამტკიცებისა და აღნიშნული ინსპექციის მუშაობის პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
9. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.
10. შინამრეწველ-ხელოსანთა, რეპეტიტორთა და კერძო სამედიცინო პრაქტიკის მქონე მოქალაქეთა გამოვლენისა და გადასახადით დაბეგრისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1 დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 26 ივლისის № 812 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

„დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 26 ივლისის № 812 დადგენილება „დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის).

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 26 ივლისის № 812 დადგენილება „დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის).

2. დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, რომლებიც ცნობილი არიან ინვალიდებად საერთო დაავადების, შრომითი დასახიჩრებისა და სხვა მიზეზების გამო ხელახალი შემოწმების ვადით, ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელთა შეღავათები ეძლევათ მათთვის ინვალიდობის დადგენის პერიოდისათვის. მათთვის ამ შეღავათების გაფორმებისას საჭირო არ არის დიდი სამამულო ომის მონაწილეებს მოეთხოვოთ დაინვალიდების გარემოებათა დამადასტურებელი საბუთები. სამართალსაწინააღმდეგო ქმედების გამო დაინვალიდების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მათ ზემოაღნიშნული შეღავათები არ მიეცემათ.

3. მოსახლეობისათვის მისაყიდად დაწესებული ნორმების ფარგლებში შეძენილი სათბობის ღირებულების 50 პროცენტი შეღავათიანი, ისევე როგორც ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელთა 50-პროცენტიანი შეღავათი ოჯახებს მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იღებენ მარჩნალის დაკარგვის გამო პენსიას დაღუპული სამხედრო მოსამსახურისათვის და არა აქვთ ანალოგიური ან უფრო მაღალი შეღავათის უფლება სხვა საფუძვლების მიხედვით.

4. დიდი სამამულო ომის გარდაცვლილ ინვალიდთა ცოლებს ბინის ქირის, კომუნალური მომსახურებისა და სათბობის გადასახდელთა შეღავათები უნარჩუნდებათ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საცხოვრებელი ფართობის მფლობელი ან დამქირავებელი.

დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის დაწესებული შეღავათების მიღების საფუძველს წარმოადგენს „ომის მონაწილის მოწმობა“ და „მოწმობა“ (ომის მონაწილეთათვის მოქმედი არმიის თავისუფლად დაქირავებულ პირთა შემადგენლობიდან), აგრეთვე საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის ცნობა ინვალიდობის შესახებ.

ს.ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის წამლების საფასურის, აგრეთვე საბაღე სახლების შესაძენად ან ასაშენებლად და საბაღე ნაკვეთების კეთილმოსაწყობად მათ მიერ უპროცენტო სესხების მიღების შეღავათების მიცემის წესს საქვეუწყებო ორგანოებს დაუგზავნიან — შესაბამისად — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შვიპარდნაძე

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დ. პართველიშვილი

ქ. თბილისი, 1985 წ. 8 იანვარი № 24.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 812

1984 წლის 26 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

**დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მო-
სამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების
შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით და ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაუწესდეთ პენსიის დანამატი თვეში 50 მანეთის ოდენობით I ჯგუფის ინვალიდებს (მათი მოვლისათვის) ოფიცერთა შემადგენლობის პირთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად.

II ჯგუფის ინვალიდებს ზემოაღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან გაუდიდდეთ პენსიების ოდენობა 20 მანეთით თვეში.

ამასთან ამ პუნქტით გათვალისწინებული პენსიის დანამატი და პენსიების გადიდება შეიძლება დაირიცხოს პენსიების დაწესებული მაქსიმალური ოდენობის გადაშეღებით.

2. გაუდიდდეთ 20 მანეთით თვეში ნამსახურობის პენსიები პენსიონერებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერთა შემადგენლობის პირთა, პრაპორშიკთა, მიჩმანთა, ზევადიანი სამსახურისა და უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც მსახურობდნენ დიდი სამამულო ომის პერიოდში და სსრ კავშირის დასაცავად სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში.

ამ პუნქტის შესაბამისად პენსიები უდიდდებათ:

უმალესი და უფროსი ოფიცერთა შენადგენლობის პირებს თვეში 200 მანეთის ფარგლებში, ხოლო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების უმაღლესი და უფროსი მეთაურთა შემადგენლობის პირებს — 180 მანეთის ფარგლებში.

უმცროსი ოფიცერთა შემადგენლობის, საშუალო მეთაურთა შემადგენლობის პირებს, პრაპორშიკებს, მიჩმანებსა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს — პენსიების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

3. ნება დაერთოთ თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადიდონ დღე-ღამეში 50 კაპიკით სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან მძიმე დაავადების გამო სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა კვების ხარჯების ნორმები.

გადიდდეს ჰოსპიტლებში (საავადმყოფო დაწესებულებათა და დისპანსერთა განყოფილებებსა და პალატებში) დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის კვების ხარჯების ნორმები ერთ ავადმყოფზე 1 მანეთ და 82 კაპიკამდე დღეში (II სავაჭრო სარტყლის მიხედვით) და მედიკამენტების შესაძენად — ერთ ავადმყოფზე 90 კაპიკამდე დღეში (გარდა სპეციალიზებული განყოფილებებისა და პალატებისა, რომლებსთვისაც დაწესებულია უფრო მაღალი ნორმები).

4. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად გარდაცვლილ ოფიცერთა შემადგენლობის პირთა, პრაპორშიკთა, მიჩმანთა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებს, თუ ისინი უვლიან გარდაცვლილი მარჩენალის შვილებს, რომელთაც 8 წელი არ შესრულებიათ, უფლება აქვთ მიიღონ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა ცოლი.

5. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად გარდაცვლილ ოფიცერთა შემადგენლობის პირთა, პრაპორშიკთა, მიჩმანთა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დანიშნული მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიები, გამოანგარიშებული დაწესებული ნორ-

შების მიხედვით, არ შეიძლება იყოს ნაკლები (ოჯახის თითოეულ შრომისუუნარო წევრზე გაანგარიშებით):

უფროსი და უმალესი ოფიცერთა შემადგენლობის პირთა ოჯახებისათვის — 65 მანეთისა თვეში;

უმცროსი ოფიცერთა შემადგენლობის პირთა ოჯახებისათვის — 60 მანეთისა თვეში;

პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და ზევალიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის — 55 მანეთისა თვეში.

მაგრამ პენსია მთლიანად ოჯახზე არ შეიძლება აღემატებოდეს დაწესებულ მაქსიმალურ ოდენობას.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მთლიანად განთავისუფლდნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ოჯახები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეები.

დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ პუნქტიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

7. დაწესდეს, რომ იმ პირებს, რომლებიც უვლიან I ჯგუფის ინვალიდებს სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, ინვალიდის ფაქტიური მოვლის დრო ეთვლებათ საერთო შრომის სტაჟში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ინვალიდის ოჯახის წევრები.

8. მიზანშეწონილად ჩაითვალოს

ა) გაუდიდდეთ 30 მანეთით თვეში პენსიის ოდენობა I ჯგუფის ინვალიდებს ზევალიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად.

II ჯგუფის ინვალიდებს ზემოაღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან გაუდიდდეთ პენსიის ოდენობა 20 მანეთით თვეში.

I და II ჯგუფების ინვალიდებს ამ ქვეპუნქტის შესაბამისად პენსიები შეიძლება გაუდიდდეთ პენსიის დაწესებული მაქსიმალური ოდენობის გადაამეტებით;

ბ) დაწესდეს, რომ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად გარდაცვლილ ზევალიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებს, თუ ისინი უვლიან გარდაცვლილი მარჩენალის შვილებს, რომელთაც

მ წელი არ შესრულებიათ, უფლება აქვთ მიიღონ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა ცოლი;

ვ) დაენიშნოთ პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული პრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად გარდაცვლილ ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს არანაკლებ 45 მანეთის ოდენობით თვეში ოჯახის თითოეულ შრომისუნარო წევრზე (პენსიების დაწესებული მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში).

წარედგინოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ბრძანებულების პროექტი ამ საკითხებზე.

9. მიეცეთ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 ნოემბრის № 907 (სსრკ დადგ. კრებ., 1978 წ., № 27, მუხ. 164) და 1981 წლის 27 თებერვლის № 220 (სსრკ დადგ. კრებ., 1981 წ., № 12, მუხ. 70) დადგენილებებში აღნიშნულ პირთა რიცხვიდან შემდეგი შეღავათები:

ა) 50 პროცენტი ფასდაკლებით ექიმთა რეცეპტების მიხედვით შესაძენი წამლები;

ბ) მოხუცებულობის პენსიის 20-პროცენტის დანამატის უფლება ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის, თუ აქვთ მუშაობის საჭირო განუწყვეტელი და საერთო სტაჟი, მიუხედავად იმისა, მუშაობდნენ თუ არა ომის მონაწილენი 1983 წლის 1 იანვრისათვის ან მოგვიანებით;

გ) მებაღეობის ამხანაგობების წევრთათვის უპროცენტო სესხის მიღების უფლება საბაღე სახლების შესაძენად ან ასაშენებლად და საბაღე ნაკვეთების კეთილმოსაწყობად.

გარდა ამისა, დიდი სამამულო ომის ზემოაღნიშნულ მონაწილეებს, რომლებიც ცნობილი არიან ინვალიდებად საერთო დაავადების, შრომითი დასახიჩრებისა და სხვა მიზეზების გამო (გარდა პირებისა, რომლებიც დაინვალიდდნენ სამართალსაწინააღმდეგო ქმედების გამო), ეძლევათ წამლის საფასურის, ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელთა შეღავათები, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებით დამტკიცებული სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების დებულების 1-ლი და მე-17 პუნქტებით (სსრკ. დადგ. კრებ., 1981 წ., № 12, მუხ. 71).

10. მიეცეთ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ სახლებში, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდად დაწესებული ნორმების ფარგლებში შეძენილი სათბობის ღირებულების 50-პროცენტის შეღავათი.

11. შეუწარმოებდეთ დიდი სამამულო ომის გარდაცვლილ ინვალიდთა ცოლებს ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელთა შეღავა-

თები, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებით დამტკიცებული სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების ვებულების მე-17 პუნქტით (სსრკ დადგ. კრებ., 1981 წ., № 12, მუხ. 71).

12. დაწესდეს, რომ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიერ სამხედრო მოსამსახურეთა შემოწმება და ხელახალი შემოწმება სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მათ მიერ მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების გაწვდნის ხორციელდება — შესაბამისად — თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

არ უნდა გამოქვეყნდეს 13. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ თავდაცვის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განიხილონ საკითხი იმ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ფრონტზე ყოფნასთან ინვალიდობის მიზეზობრივი კავშირის განსაზღვრის წესის შესახებ, რომლებიც ადრე ცნობილ იქნენ სამამულო ომის ინვალიდებად.

14. ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 მაისიდან.

15-17. საიდუმლო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
 მდივანი
კ. ჩაბინაძე

სსრ კავშირის მინისტრთა
 საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ტიხონოვი

2 ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ „ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 თებერვლის № 141 დადგენილების მიღების შემდეგ განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები ქალაქ თბილისის ისტორიული ბირთვის რეკონსტრუქციისა და ადაპტაციის მიზნით. ეს ღონისძიებანი ქალაქური ტრადიციების განმტკიცების, მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

რეკონსტრუქციის მასშტაბის გაზრდასთან ერთად შეიცვალა ძეგლების კლასიფიკაციისადმი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მიდგომაც, გაფართოვდა ძეგლთა წრე როგორც ქრონოლოგიური, ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქალაქთმშენებლობის მემკვიდრეობა-დაგვემარების სტრუქტურა, ქუჩების ქსელი, გაშენების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი, რაც ინდივიდუალურ იერს ანიჭებს თბილისს.

ამ მხრივ ახალ შინაარსს იძენს ქალაქის თავდაპირველი ბირთვის გარშემო XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული არქიტექტურულ მხატვრულად და ისტორიულად მნიშვნელოვანი უბნები. ეს გარემოება აუცილებელს ხდის დაზუსტდეს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის საზღვრები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 თებერვლის № 141 დადგენილებით.

ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვისა და მისი გაშენების რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ერთობლივი წინადადება ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის შემდგომი გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

2. დამტკიცდეს:

— ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვრები (დანართი № 1);

— ქალაქ თბილისის გაშენების რეგულირების ზონის საზღვრები (დანართი № 2);

— ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონის საზღვრები (დანართი №3);

— დებულება ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შესახებ (დანართი № 4), დებულება ქალაქ თბილისის გაშენების რეგულირების ზონის შესახებ (დანართი № 5) და დებულება ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონის შესახებ (დანართი № 6).

3. ქალაქ თბილისის ისტორიული გარემოს შენარჩუნების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ:

— გაუწიოს საერთო სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა არქიტექტურულ-დაგეგმარებითს სამუშაოებს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვისა და გაშენების რეგულირების ზონებში;

— დაამთავროს 1985 წელს ქალაქ თბილისის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა აღრიცხვა და დაიწყოს მათი პასპორტიზაცია.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეკვეთის წესით გამოსცეს 1986 წელს ქალაქ თბილისის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა ანოტირებული სია ქართულ და რუსულ ენებზე.

5. გავრცელდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციის ფუნქციები სახელმწიფო დაცვის, გაშენების რეგულირებისა და ლანდშაფტის დაცვის ახლად შექმნილ ზონებზე. ინსპექციამ 1985 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან შეთანხმებით დაამტკიცოს თავისი დებულება.

6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— უზრუნველყოს 1985 წელს მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება;

— ქალაქ თბილისის ცენტრის დეტალური დაგეგმარების პროექტის დამუშავების დროს გაითვალისწინოს ამ დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის, გაშენების რეგულირებისა და ლანდშაფტის დაცვის ზონები შესაბამისი რეჟიმებით;

— უზრუნველყოს ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სპეციალური არქიტექტურული სახელოსნოს დაფინანსების გადიდება ქალაქ თბილისის ისტორიულ ნაწილში აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოთა გაფართოების აუცილებლობის გამო;

— შეიმუშაოს 1985 წლის მაისამდე წინადადებანი ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვისა და გაშენების რეგულირების ზონებში აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოებში საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის შესაძლებელი ფორმების გამოსაყენებლად;

— ყოველწლიურად გამოუყოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციას 30 ათასი მანეთი სახელმწიფო დაცვისა და გაშენების რეგულირების ზონებში განლაგებულ შენობა-ნაგებობათა აზომვა-ინვენტარიზაციისათვის; ნება დაერთოს ინსპექციას საჭიროების შემთხვევაში მიიწვიოს აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად სპეციალისტები დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში არსებულ რეკონსტრუირებულ და რესტავრირებულ შენობა-ნაგებობათა (ძეგლებისა და საბინაო ფონდის გარდა) გადაცემა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ბალანსზე განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ამ დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის, გაშენების რეგულირებისა და ლანდშაფტის დაცვის ზონების დებულებებით გათვალისწინებული რეჟიმები სავალდებულოა შესაბამის ზონებში განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის და პირადი საკუთრების სახლების მფლობელთათვის, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებენ რეჟიმის დარღვევისათვის.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 თებერვლის № 141 დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-7, მე-9, მე-12 პუნქტები და № 1 და № 2 დანართები.

9. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი

დამტკიცებულია
 საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 იანვრის № 76 დადგენილებით (დანართი № 1).

ა ლ ფ ე რ ი ლ ო ბ ა

ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვრებისა

საზღვრის საწყისი წერტილი ემთხვევა 300 არაგველის ობელისკს. ობელისკიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთ-დასავლეთით, ჰკვეთს 300 არაგველის სახელობის პარკს და ქუშსიაშვილის ქუჩით გადის არსებული გაშენების განაპირას. შემდეგ საზღვარი დასავლეთი მიმართულებით მიუყვება მთის კალთას გაშენების კიდის გაყოლებით ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მდინარე წავკისისწყალზე გადაბულ ხილამდე; აქედან აღმა მიჰყვება მდინარე წავკისისწყლის კალაპოტს და ადის კოჯრის გზატკეცილზე კომკავშირის ხეივნის დასაწყისთან, კოჯრის გზატკეცილით ეშვება დაეთაშვილის ქუჩამდე, მიუყვება მთაწმინდის კალთას გაშენების კიდის გაყოლებით (პანთეონის ჩათვლით) და დაეთ აღმაშენებლისა და გუნიას ქუჩებით გადის ბელინსკის ქუჩის გადაკვეთამდე. ბელინსკის ქუჩით (გაშენების ორივე მხარის ჩათვლით) საზღვარი ლენინის ქუჩამდე ეშვება, უხვევს ლენინის ქუჩაზე ნ. ნიკოლაძის ქუჩის გადაკვეთამდე; აქედან საზღვარი მიემართება ნ. ნიკოლაძის ქუჩით, მოიცავს „ლურჯი მონასტრის“ ტერიტორიას და ხევით ეშვება მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, შემდეგ მიუყვება სანაპიროს მდინარე მტკვრის დინების მიმართულებით კ. მარქსის სახელობის ხილამდე, ჰკვეთს ხილით მდინარე მტკვარს და კამოს ქუჩით მიემართება ჭოროხის ქუჩამდე, ამ ქუჩით ადის პლეხანოვის პროსპექტამდე, მიუყვება მას კიევის ქუჩამდე. კიევის ქუჩით (გაშენების ორივე მხარის ჩათვლით) მიემართება კლარა ცეტკინის ქუჩამდე და ამ ქუჩით (გაშენების ორივე მხარის ჩათვლით) მიდის ჩერნიშევსკის ქუჩამდე. ამის შემდეგ საზღვარი ჩერნიშევსკის ქუჩით გადის საბჭოს ქუჩამდე (გაშენების ორივე მხარის ჩათვლით), უხვევს კალინინის ქუჩაზე და გრძელდება კალინინის მოედნამდე. კალინინის მოედნიდან საზღვარი მიემართება ხეთაგუროვის ქუჩით კიბალჩიჩის ხევის ქუჩამდე, შემდეგ აუყვება ამ ქუჩას, უხვევს ნ. ჩხეიძის ქუჩაზე, გადის სანთლის შესახვევზე და ამ შესახვევით ბრუნდება კიბალჩიჩის ხევის ქუჩაზე. აქედან წარმოსახვითი სწორით საზღვარი მიემართება კიბალჩიჩისა და ურიცკის ქუჩების გადაკვეთამდე, შემდეგ ურიცკის ქუჩით გადის ხივის შესახვევამდე, გაივლის მას, უხვევს ფაბრიციუსის ქუჩაზე და 26 კომისრის ქუჩით ეშვება შაუმიანის ქუჩის გადაკვეთამდე. შემდეგ საზღვარი შაუმიანის ქუჩით მიემართება 300 არაგველის ქუჩამდე,

უხვევს ამ ქუჩაზე და ეშვება „გოგილოს აბანომდე“. აქედან საზღვარი წარმოსახვითი სწორით ჰკვეთს მდინარე მტკვარს და უერთდება საწყის წერტილს.

შენიშვნები: 1. საგანგებოდ აღნიშნული შემთხვევების გარდა, საზღვარი გადის ზემოთ ჩამოთვლილი სანაპიროების, ხიდების, ქუჩებისა და შესახვევების ღერძებზე.

2. ქუჩის გაშენებაში იგულისხმება ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის თავდაპირველი დაგეგმარებითი ერთეულების (ძირითადი და დამხმარე ნაგებობანი, ეზო) კომპლექსი.

ღამთაქიცივზულია

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 იანვრის № 76 დადგენილებით (დანართი № 2)

ა ლ ჟ ე რ ი ლ ო ბ ა
ქალაქ თბილისის გაშენების რეგულირების ზონის საზღვრებისა

საზღვრის საწყისი წერტილი მდებარეობს დავით აღმაშენებლისა და მკაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. ამ წერტილიდან საზღვარი ზემო ვერის გაშენების კილის გაყოლებით დასავლეთი მიმართულებით გასდევს მთის კალთას ძველი ვერის სასაფლაომდე, მოიცავს სასაფლაოს ტერიტორიას და გადის სევასტოპოლის ქუჩაზე. სევასტოპოლის ქუჩით საზღვარი ეშვება გოგებაშვილის ქუჩაზე და გასდევს მას კეკელიძის ქუჩის გადაკვეთამდე. კეკელიძის ქუჩით ეშვება ი. ჭავჭავაძის პროსპექტის გადაკვეთამდე და გადის ამ პროსპექტზე, მოიცავს მე-4 მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკისა და უნივერსიტეტის ტერიტორიებს და უერთდება ვარაზისხევის ქუჩას, აქედან საზღვარი ვარაზისხევის ქუჩით ეშვება გმირთა მოედანზე, მიუყვება ჩელუსკინელების ქუჩას და ჩელუსკინელების ხილით გადადის მდინარე მტკვარზე მარცხენა სანაპროს გადაკვეთამდე. ამ წერტილიდან საზღვარი აღმა მიჰყვება სანაპიროს, მოიცავს ორჯონიკიძის სახელობის პარკის ტერიტორიას და მაიაკოვსკის ქუჩით ჰკვეთს ტელმანის ქუჩას. ტელმანის ქუჩით მიემართება კლარა ცეტკინის ქუჩის გადაკვეთამდე, მიჰყვება ამ ქუჩას, უბრუნდება ჩელუსკინელების ქუჩას და გადის ვაგზლის მოედანზე. ვაგზლის მოედნიდან ფიროსმანის ქუჩით საზღვარი გადის საბჭოს ქუჩამდე, საბჭოს ქუჩის კენტი ნომრების მხარის გაშენების გარეკონტურის გაყოლებით უხვევს ჩრდილოეთისაკენ რკინიგზის გზახილამდე, გასდევს სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით რკინიგზის ხაზს თელავის ქუჩამდე და ამავე ქუჩით გადის შაუმიანის ქუჩაზე. შაუმიანის ქუჩით საზღვარი ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით აღწევს შაუმიანის მოედნამდე, გადის 26 კომისრის ქუჩაზე, შემდეგ ფაბრიციუსის ქუჩაზე, უხვევს ხივის შესახვევში და მიემართება ურიცკის ქუჩაზე, კიბალჩიჩის ქუჩის გადაკვეთამდე. ამ წერტილიდან წარმოსახვითი სწორით საზღვარი გადის კიბალჩიჩის ხევის ქუჩაზე, გაივლის სანთლის შესახვევს, უხვევს ნ. ჩხეიძის ქუჩაზე და ამ ქუჩით უბრუნდება კიბალჩიჩის ხევის ქუჩას. აქედან საზღვარი გადის ხეთაგუროვის ქუჩაზე, მიჰყვება მას კალინინის მოედნამდე, გაივლის კალინინის ქუჩაზე საბჭოს ქუჩის დასაწყისამდე, უხვევს საბჭოს ქუჩაზე, ამ ქუჩით გრძელდება ჩერნიშევსკის ქუჩის გადაკვეთამდე. აქედან საზღვარი გადის კლარა ცეტკინის ქუჩის კენტი ნომრების მხარის გაშენების გარეკონტურის გაყოლებით, უხვევს კიევის ქუჩაზე და ამ ქუჩის კენტი ნომრების მხარის გაშენების გარეკონტურის გაყოლებით გადის პლენხანოვის პროსპექტის გადაკვეთამდე, გაივლის პლენხანოვის პროსპექტს ჭოროხის

ქუჩის გადაკვეთამდე, ჭოროხის ქუჩით ეშვება კამოს ქუჩაზე, ამ ქუჩით გადის კ. მარქსის სახელობის ხილამდე, ჰკვეთს ხილით მდინარე მტკვარს სანაპიროს გადაკვეთამდე. აქედან საზღვარი აღმა მიჰყვება მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, ხევით ადის „ლურჯ მონასტერთან“, მოიცავს მის ტერიტორიას, გადის ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე და მიჰყვება მას ლენინის ქუჩის გადაკვეთამდე, გასდევს ლენინის ქუჩას ბელინსკის ქუჩის გადაკვეთამდე და ბელინსკის ქუჩის კენტი მხარის გაშენების გარეკონტურის გაყოლებით ადის გუნიას ქუჩის გადაკვეთამდე. აქედან საზღვარი გუნიას ქუჩით გადის მაყაშვილის ქუჩაზე და მაყაშვილის ქუჩით უერთდება საწყის წერტილს.

- შენიშვნები:**
1. საგანგებოდ აღნიშნული შემთხვევების გარდა, საზღვარი გადის ზემოთ ჩამოთვლილი სანაპიროების, ხილების, ქუჩებისა და შესახვევების ღერძებზე.
 2. ქუჩის გაშენებაში იგულისხმება თავდაპირველი გეგმარებითი ერთეულების (ძირითადი და დამხმარე ნაგებობანი, ეზო) კომპლექსი.
-

დამტკიცებულია
საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და სა-
ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29
იანვრის № 76 დადგენილებით (დანართი № 3)

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ა

ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონის საზღვრებისა

ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონაში შედის თაბორის მთის, წავკისისწყლის ხევის, მთაწმინდისა და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიები.

დამტკიცებულია

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტისა და სა-
 ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29
 იანვრის № 76 დადგენილებით (დანართი № 4)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილს სახელმწიფო დაცვის ზონაში შედის ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული ბირთვი მდინარე მტკვრის ორივე მხარეზე, № 1 დანართის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის დადგენის მიზანია:

— ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის, დაცვის უზრუნველყოფა (შესაბამისი დაგეგმარების სტრუქტურა, გაშენების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი და ლანდშაფტი);

— რეგენერაციისა და რესტავრაციის სამუშაოთა რეგულირება;

— ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებელი, სამუშაო, საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების გაუმჯობესება;

— სახელმწიფო დაცვის ზონაში თავმოყრილ კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაცია.

II. რეჟიმი

3. სახელმწიფო დაცვის ზონაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისტორიული გარემოს — დაგეგმარების, გაშენების, ლანდშაფტის — შენარჩუნება, მათი პარამეტრების დაკარგული ელემენტების აღდგენის შესაძლებლობა.

4. სახელმწიფო დაცვის ზონაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ისტორიული გარემოს შენარჩუნების ხელშემწყობი ჰიდროგეოლოგიური პირობები, საპაერო აუზის სისუფთავე, დინამიკური ზემოქმედების თავიდან აცილება და სახანძრო უსაფრთხოება.

5. სახელმწიფო დაცვის ზონა უნდა განთავისუფლდეს ქალაქის ისტორიულ გარემოში დისონანსის შემტანი, მისი აღქმისა და სწორად გამოყენებისათვის ხელშემშლელი შენობა-ნაგებობებისაგან, მათი ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ვადებში.

6. სახელმწიფო დაცვის ზონაში განლაგებული შენობა-ნაგებობანი, რომელთაც არა აქვთ რაიმე ისტორიულ-მხატვრული ღირებულება, შეიძლება შეიცვალოს ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოსთან არქიტექტურულ-მხატვრული ხასიათითა და მასშტაბით შერწყმული ახალი შენობა-ნაგებობებით.

საქ. სსრ კ. მარქსის
 სახ. ს.ხ. რესპუბ.
 ბივლიოტეკა

7. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონა თანდათან უნდა განთავისუფლდეს საწარმოების, სარემონტო სახელოსნოების, საწყობებისა და პრაქტიკულად და ესთეტიკურად ზიანის მომტანი, ტვირთის ნაკადების წარმოქმნელი, ნიადაგის, ატმოსფეროსა და წყალსატევების გამაქუჭყინებელი სხვა ობიექტებისაგან.

8. ქალაქ თბილისის სახალხო დემუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს ეკრძალებათ გასცენ ნებართვა ყოველგვარი სამშენებლო, სარემონტო, კეთილმოწყობისა და მხატვრულ-გაფორმებითი სამუშაოების შესასრულებლად ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

9. სახელმწიფო დაცვის ზონაში ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოების ნებართვის გარეშე აკრძალულია გარაეების, ავტოსადგომების, ელექტროგადამცემი საპაერო ხაზებისა და სხვა საინჟინრო გაყვანილობის, ცალკე მდგომი სატრანსფორმატორო ქვესადგურების, სავაჭრო და სხვა დანიშნულების ჯიხურების, ავრეთვე რეკლამის მოწყობა.

10. სახელმწიფო დაცვის ზონაში ისეთი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამუშაოს შესრულების აუცილებლობა, რომელიც არღვევს ჩამოყალიბებულ დაგეგმარებას, ქუჩების ქსელს, გაშენების ხასიათსა და მასშტაბს, დასაბუთებული უნდა იყოს არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით, საინჟინრო და ეკონომიკური გაანგარიშებით, ალტერნატიული ვარიანტების წარმოდგენით. ასეთ სამუშაოთა შესრულება წინასწარ უნდა შეუთანხმდეს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებს.

11. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში ძეგლთა დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით ნებადართულია:

— ისტორიულ დაგეგმარებასთან, გაშენებისა და ლანდშაფტის ფრაგმენტული ელემენტების აღდგენასთან, კონსერვაციასთან, რესტავრაციასა და ადაპტაციასთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესრულება;

— ძეგლების კეთილმოწყობა, მათი გარეგანათება, ძეგლებთან დაკავშირებული სტენდების, ვიტრინებისა და აბრების მოწყობა, თუ ისინი არ არღვევენ ჩამოყალიბებულ გარემოს და ძეგლთა აღქმის პირობებს;

— ზონიდან გაყვანილი საწარმოების, სახელოსნოების, საწყობებისა და სხვა ობიექტების შეცვლა ისეთი შენობა-ნაგებობებით, მცირე არქიტექტურული ფორმებით ან მწვანე ნარგავებით, რომლებიც აღადგენენ ისტორიული გარემოს საერთო ხასიათს და ხელს არ შეუშლიან ძეგლების აღქმას.

12. ზონაში აკრძალულია ამ რეჟიმით გაუთვალისწინებელ სამუშაოთა წარმოება.

III. ზედამხედველობა

13. ზედამხედველობა ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის რეჟიმისადმი ეკისრებათ ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციას, რომელიც მოქმედებს ამ დებულებისა და თავისი დებულების შესაბამისად.

დავტარიზებულია
 საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და სა-
 ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29
 იანვრის № 76 დადგენილებით (დანართი № 5)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქალაქ თბილისის გაშენების რეგულირების ზონის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის გაშენების რეგულირების ზონაში შედის მდინარე მტკვრის ორივე მხარეზე XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული ზონები, № 2 დანართის თანახმად.

2. გაშენების რეგულირების ზონის დადგენის მიზანია მის ფარგლებში დაგეგმარების სტრუქტურის, არქიტექტურულ-სივრცობრივი გარემოს შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი გაშენების ჰარმონიულ ერთიანობას.

II. რეჟიმი

3. ქალაქ თბილისის გაშენების რეგულირების ზონაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს:

— ისტორიული ღირებულების მქონე დაგეგმარების ან მისი ფრაგმენტების შენარჩუნება;

— ძეგლთა გავლენის განმტკიცება და აღდგენა ქალაქის გარემოს არქიტექტურულ-სივრცობრივ ორგანიზაციაზე, ძეგლთა ვიზუალური აღქმის ხელშემწყობი პირობები ქალაქის ლანდშაფტში;

— ისეთ შენობა-ნაგებობათა აღება, რომლებსაც დისონანსი შეაქვთ ქალაქის ისტორიულ გარემოში და ასუსტებენ ძეგლთა მნიშვნელობას.

4. გაშენების რეგულირების ზონაში ახალი მშენებლობა რეგლამენტირებულია მისი ფუნქციური დანიშნულების, გაბარიტების, არქიტექტურულ-სივრცობრივი კომპოზიციის, გამწვანებისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით.

5. გაშენების რეგულირების ზონაში აკრძალულია—საწარმოების, სატრანსპორტო-სასაწყობო მეურნეობებისა და სხვა ისეთი ობიექტების განლაგება, რომლებიც ხანძარსაშიშია, წარმოქმნიან მძლავრ სატვირთო ნაკადებს, აქუჟყიანებენ ჰაერისა და წყლის აუზებს.

6. გაშენების რეგულირების ზონაში აკრძალულია ისეთი სატრანსპორტო მაგისტრალებისა და კვანძების, ესტაკადების, ხილებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც არღვევენ ქალაქის ისტორიულ იერს. ამგვარ ნაგებობათა მშენებლობის აუცილებლობის შემთხვევაში მათი დაპროექტებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი და ტექნიკური ხერხები, რომლებიც ითვალისწინებენ ქალაქის ისტორიულად

ჩამოყალიბებულ გარემოს. დაპროექტებას წინ უნდა უძღოდეს საგანგებო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, ხოლო პროექტები შეუთანხმდეს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებს.

7. ძეგლთა უკეთ წარმოჩენის მიზნით გაშენების რეგულირების ზონაში აუცილებელია:

— დადგინდეს თბილისის პანორამის და მნიშვნელოვან ძეგლთა აღქმის განსაკუთრებით ხელსაყრელი წერტილები;

— შენარჩუნებულ იქნეს თბილისის პანორამისა და ცალკეულ ძეგლთა ხილვის შესაძლებლობა შესაბამის ციზუალურ ზონებში ახალ მშენებლობათა რეგლამენტების გზით;

— თავის შეკავება ფონურ გაშენებაში იმ ახალ შენობა-ნაგებობათა ჩართვისაგან, რომლებიც ამცირებენ ძეგლთა არქიტექტურულ-კომპოზიციურ როლს ქალაქის, ქუჩებისა და მოედნებისათვის იერის შენარჩუნებაში.

8. გაშენების რეგულირების ზონის გამოყენების რეჟიმის რეგლამენტაციისაგან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ საგანგებოდ შესრულებული ინდივიდუალური და ძეგლთა დაცვის ორგანოებთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე. ამგვარ პროექტს თან უნდა ახლდეს გრაფიკული მასალა, რომელშიც ასახული იქნება დასაპროექტებელ შენობა-ნაგებობათა შერწყმა ჩამოყალიბებულ მშენებლობასთან, მათი ვაგლენა ქალაქის საერთო იერზე.

9. ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს ეკრძალებათ გასცენ ნებართვა გაშენების რეგულირების ზონაში ყოველგვარი სამშენებლო-სარემონტო, კეთილმოწყობისა და მხატვრულ-გაფორმებითი სამუშაოების შესასრულებლად ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

III. ზედამხედველობა

10. ზედამხედველობა ქალაქ თბილისის გაშენების რეგულირების ზონის რეჟიმისადმი ეკისრებათ ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციას, რომელიც მოქმედებს ამ დებულებისა და თავისი დებულების შესაბამისად.

დაგეგმვის დეპარტამენტი

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 იანვრის № 76 დადგენილებით (დანართი № 6)

დ ე გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონაში შედის თბილისის შემოგარენის ბუნებრივი ლანდშაფტის ელემენტები, № 3 დანართის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონის დადგენის მიზანია თბილისის ინდივიდუალური იერის განმსაზღვრელი ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და მისი იერის აღდგენა თავდაპირველი სახით.

II. რეჟიმი

3. ლანდშაფტის დაცვის ზონის რეჟიმის განსახორციელებლად აუცილებელია:

— ბუნებრივი რელიეფისა და წყალსატევების შენარჩუნება;
 — ლანდშაფტის განთავისუფლება დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობებისა და ნარგავებისაგან;

— მცენარეული საფარის დაცვა-რეგულირება;
 — ტყის ბუნებრივი აღდგენის ზონების დადგენა;

— მდელოებისა და სხვა ტერიტორიის დაცვა დამეწყვირისა და წალეკვისაგან;

— ხეების ფერდობების გამაგრება და გამწვანება.

4. ლანდშაფტის დაცვის ზონაში ნებადართულია ისეთი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ უცვლის სახეს ლანდშაფტს და არ მოითხოვს შენობების აგებას. რეჟიმის პირობების შესაბამისად გარკვეულ უბნებში დასაშვებია თიბვა, პირუტყვის ძოვება, საეღლე და საბაღე მეურნეობის მოწყობა და ა. შ.

5. ლანდშაფტის დაცვის ზონის გარკვეული უბნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი დღესასწაულების, სახალხო სეირნობებისა და სხვა დროებითი ღონისძიებებისათვის მუდმივ ნაგებობათა მშენებლობის გარეშე.

6. ლანდშაფტის დაცვის ზონაში მუდმივ ნაგებობათა მშენებლობის აუცილებლობის შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეუთანხმდეს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებს.

III. ზედამხედველობა

7. ზედამხედველობა ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონის რეჟიმისადმი ეკისრებათ ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციას, რომელიც მოქმედებს ამ დებულებისა და თავისი დებულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში

3 საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ზოგნობრივი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური საკარტველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ

„პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მისი როლის ამაღლების შესახებ“ საქართველოს კაცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 9 ოქტომბრის № 716 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და გადაეცეს თელავის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკური და გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში, ამასთან შემდგომ გარდაქმნას ისინი საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად.

2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა გადასცეს 1985 წელს თელავის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკურის და გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბალანსზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის № 816 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების წესის დებულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 11 იანვარი, № 12.

4 სსრ კავშირის სახალხო არტისტის **ს. დ. თაყაიშვილის ხსოვნის უკვდავოების შესახებ**

გამოჩენილი ქართველი მსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ხესილია დიმიტრის ასული თაყაიშვილის ხსოვნის უკვდავოების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:
 — მიაკუთვნოს ს. დ. თაყაიშვილის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ს. დ. თაყაიშვილი.

2. საქართველოს სსრ გამსახკომმა მოამზადოს და 1986 წლის თემატურ გეგმაში გაითვალისწინოს მონოგრაფია ს. დ. თაყაიშვილის შესახებ.

3. დაწესდეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტთათვის ს. დ. თაყაიშვილის სახელობის ერთი სტიპენდია ამ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და-
 წარჯოს 3 ათას მანეთამდე ს. დ. თაყაიშვილის საფლავის კეთილმოსაწყობად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 16 იანვარი, № 22.

5 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაართიანების ტიპობრივი დეპუტატის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული ტიპობრივი დებულება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაართიანების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ნ. პითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 24 იანვარი, № 38.

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1985 წლის 24 იანვრის № 38 დადგენი-
ლებით

ტიკოზბრივი დეპულეა

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანების
შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანე-
ბა (შემდგომში გაერთიანებად წოდებული) არის ერთიანი საწარმოო-სამეურ-
ნეო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაბრიკები, საწარმოები,
ქარხნები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები, ატელიეები და სხვა
საწარმოო ერთეულები.

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოო ერთეულები არ
არიან იურიდიული პირები და მათზე არ ვრცელდება სოციალისტური სახელ-
მწიფო საწარმოს დებულების მოქმედება.

გაერთიანება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირითადი
(პირველადი) რგოლია; მის საქმიანობას საფუძვლად უდევს ცენტრალიზებული
ხელმძღვანელობის შეხამება თვით გაერთიანების სამეურნეო დამოუკიდებლო-
ბასთან და ინიციატივასთან.

2. გაერთიანება, იყენებს რა მის ოპერატიულ მართვაში ან სარგებლობა-
ში მიჩენილ სახელმწიფო ქონებას, ახორციელებს თავისი შრომითი კოლექ-
ტივის ძალებით ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელობით საქმიანობას ეკონო-
მიკური და სოციალური განვითარების გეგმის შესაბამისად, სამეურნეო ან-
გარიშის საფუძველზე, ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს და სარ-
გებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდე-
ბელი ბალანსი და არის იურიდიული პირი.

3. გაერთიანების მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— განავითაროს და შემდგომ გააუმჯობესოს საყოფაცხოვრებო სამსახუ-
რის მუშაობა საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილე-
ბის რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების მიზნით, შეიმუშაოს და დანერ-
გოს მომსახურების ახალი პროგრესული ფორმები და სახეობები, უზრუნველ-
ყოს სამუშაოთა მომსახურების მაღალი კულტურა და ხარისხი, შეამციროს
შეკვეთების შესრულების ვადები, ორგანიზაცია გაუწიოს სახალხო მოხმარე-
ბის საქონლის გამოშვებას იმ პირობით, თუ ეს უზრუნველად არ იმოქმედებს
ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით მოსახლეობისათვის გაწეული საყო-
ფაცხოვრებო მომსახურების მოცულობაზე, ვადებსა და ხარისხზე;

— შეიმუშაოს ოპტიმალური გეგმები, შეასრულოს უშუალოდ მოსახლეო-
ბისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის და
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ (საქალაქო) სამ-

მართველობთან კოოპერაციის დავალებანი, შესარულოს მოგების გეგმა და ბიუჯეტში გადასახდელთა სახელმწიფო გეგმის სხვა მაჩვენებლები, დროულად გაუსწოროს ანგარიში ბანკებსა და მიმწოდებლებს;

— ფართოდ გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, შეამციროს წარმოებაში მათი დანერგვის ვადები, აამაღლოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, განახორციელოს ღონისძიებანი ხელის შრომის გამოყენების შემცირებისათვის, უზრუნველყოს საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა მაღალი ხარისხი, მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა;

— გაითვალისწინოს მოსახლეობის მოთხოვნილება გასაწევ მომსახურების სახეობებზე;

ყოველმხრივ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეფექტიანობა წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, აგრეთვე ნედლეულის კომპლექსური გამოყენების, პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესთა და მათი მართვის სისტემათა დანერგვის, გასაწევი მომსახურებისა და პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების საფუძველზე;

— განამტკიცოს შრომის დისციპლინა და შექმნას კადრების დამკვიდრებისათვის საჭირო პირობები, სრულყოს შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმები და სისტემები;

— შესარულოს საყოფაცხოვრებო მომსახურების წესები, შემკვეთთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით (საყოფაცხოვრებო შეკვეთა), აგრეთვე მომსახურების გასაწევად შინასასისტემო კოოპერირების საფუძველზე გათვალისწინებული მოცულობით, ვადაში და დაწესებული ნომენკლატურით;

— სრულყოს დაგეგმვა, მართვა და სამეურნეო ანგარიში, დანერგოს შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია, აამაღლოს ეკონომიკურ-მეთემატიკური მეთოდების როლი და უფრო ფართოდ გამოიყენოს გამოთვლითი ტექნიკის და კავშირგაბმულობის საშუალებანი წარმოების მართვაში;

რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ვადები და ღირებულება, უზრუნველყოს კაპიტალური მშენებლობის, ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დავალებათა დროულად შესრულება და საწარმოო სიმძლავრეთა სრული გამოყენება;

— განამტკიცოს კავშირურთიერთობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან და მათს აღმასრულებელ კომიტეტებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით;

— რაციონალურად გამოიყენოს ყოველგვარი ტრანსპორტის ტექნიკური საშუალებანი, სისტემატურად გააუმჯობესოს დასატვირთ-გადმოსატვირთ და სატრანსპორტო საშუაოთა ორგანიზაცია, განახორციელოს ამ საშუაოთა მექანიზაცია და ღონისძიებანი დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენის შემცირებისათვის;

— ყოველმხრივ განავითაროს სოციალისტური შევიბრება, უზრუნველყოს მშრომელთა ფართო მონაწილეობა წარმოების მართვაში, განახორციელოს გაერთიანების კოლექტივის სოციალური განვითარების ღონისძიებანი;

— გააუმჯობესოს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობები, შექმნას შრომის ყველაზე ხელშემწყობი და უსაფრთხო პირობები;

— განახორციელოს სამრეწველო და სამეურნეო ნაყარით, ჩამდინარი წყლებითა და წარმოების ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან ჰაერის, ნიადაგისა და წყალსაცავების დაცვის, აგრეთვე ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის საჭირო ღონისძიებანი.

4. გაერთიანება იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

გაერთიანების შექმნისას მხედველობაში მიიღება გასაერთიანებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა ტერიტორიული განლაგება, მყარი კოოპერირებული კავშირურთიერთობის არსებობა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საწარმო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების მთლიანი ან ნაწილობრივი ცენტრალიზაციის აუცილებლობა.

გაერთიანების საწარმოო ერთეულს ქმნის გაერთიანების მიმართ ზემდგომი ორგანო გაერთიანების გენერალური დირექტორის (დირექტორის) წარდგენით და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან, თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით.

5. საჭირო შემთხვევებში ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით გაერთიანებას შეიძლება დაექვემდებაროს ცალკეული დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ სოციალისტური სახლმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით.

გაერთიანება, რომელსაც ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, მათ მიმართ გამოდის როგორც ზემდგომი ორგანო. ამ შემთხვევებში გაერთიანებას შეუძლია ცენტრალიზებული გახადოს მთლიანად ან ნაწილობრივ ზემოაღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული საწარმო-სამეურნეო ფუნქციების შესრულება.

6. გაერთიანება თავისი ვალდებულებებით პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი იმ ქონებისათვის, რომელზეც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

გაერთიანების პასუხისმგებლობა ზემდგომი ორგანოებისა და გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმო-ორგანიზაციების ვალდებულებათა მიხედვით, აგრეთვე ზემდგომი ორგანოსა და გაერთიანებისადმი

დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმო-ორგანიზაციების პასუხისმგებლობა გაერთიანების ვალდებულებათა მიხედვით წარმოიშობა მხოლოდ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობით ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს გაერთიანების ვალდებულებათა მიხედვით, ხოლო გაერთიანება პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებათა მიხედვით.

7. გაერთიანებას აქვს წესდება, რომელსაც ამტკიცებს ზემდგომი ორგანო. გაერთიანების წესდება უნდა შეიცავდეს:

— გაერთიანების დასახელებას (ნომერს), მის ადგილსამყოფელს (საფოსტო მისამართს) და ბანკების დაწესებულებებში გაერთიანების ანგარიშების რეკვიზიტებს;

— იმ ორგანოს დასახელებას, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება გაერთიანება;

— გაერთიანების საქმიანობის საგანსა და მიზანს;

— მითითებას იმის შესახებ, რომ გაერთიანებას აქვს საწესდებო ფონდი;

— მითითებას იმის შესახებ, რომ გაერთიანება მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

— იმ თანამდებობის პირის დასახელებას, რომელიც სათავეში უდგას გაერთიანებას (გენერალური დირექტორი, დირექტორი);

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოო ერთეულების ნუსხას, თითოეული მათგანის ადგილსამყოფელის მითითებით, მთავარი საწარმოო ერთეულის დასახელებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ანგარიშები ბანკების დაწესებულებებში, — ამ ანგარიშების რეკვიზიტებს.

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე გაერთიანების საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანი, რომლებიც კანონს არ ეწინააღმდეგებიან.

გაერთიანება იძენს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს და ითვლება იურიდიულ პირად წესდების დამტკიცების დღიდან.

8. გაერთიანების საწარმოო ერთეულის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებითა და მოცემული საწარმოო ერთეულის დებულებით.

საწარმოო ერთეულის დებულებას ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი), მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების (საამქროების, ატელიეების, სახელოსნოების, განყოფილებების, სამსახურების, უბნების და სხვ.) დებულებებს ამტკიცებს საწარმოო ერთეულის დირექტორი (უფროსი).

გაერთიანების გენერალურ დირექტორს (დირექტორს) უფლება აქვს მისცეს საწარმოო ერთეულს დამატებითი უფლებები გაერთიანების კომპეტენციის ფარგლებში, ზემდგომი ორგანოს მიერ გაერთიანებისათვის გადაცემული უფლებების გარდა.

9. საწარმოო ერთეულს აქვს თავისი დასახელება, რომელშიც უნდა აღინიშნოს აგრეთვე იმ გაერთიანების დასახელება, რომლის შემადგენლობაშიც იგი შედის.

10. საწარმოო ერთეული:

— განაგებს მისთვის მიჩენილ ძირთად საშუალებებსა და საბრუნავ სახსრებს, შრომითსა და მატერიალურ რესურსებს, ახორციელებს თავის საქმიანობას სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე კანონმდებლობით დაწესებული უფლებების, აგრეთვე გაერთიანების მიერ მისთვის გადაცემული უფლებების ფარგლებში;

— დებს გაერთიანების სახელით სამეურნეო ხელშეკრულებებს, რომლებსითვისაც პასუხისმგებლობას კისრულობს გაერთიანება. ასეთ ხელშეკრულებათა ნუსხასა და სახეობებს განსაზღვრავს გაერთიანება.

გაერთიანების ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ განლაგებულ საწარმოო ერთეულს აქვს მიმდინარე ანგარიში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში და შეუძლია ჰქონდეს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიში სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებაში.

გაერთიანების გენერალური დირექტორის (დირექტორის) ნებართვით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის იმ დაწესებულებასთან შეთანხმებით, რომელშიც არის გაერთიანების ანგარიშსწორების ანგარიში, მიმდინარე ანგარიში შეიძლება გაეხსნას აგრეთვე გაერთიანების ადგილსამყოფელზე განლაგებულ საწარმოო ერთეულს.

11. საწარმოო გაერთიანებაში შინასამეურნეო ურთიერთობის განხორციელების წესს, საწარმოო ერთეულების მიერ თავიანთ ვალდებულებათა დარღვევის შედეგებს, აგრეთვე გაერთიანებაში შინასამეურნეო დავის გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს გაერთიანება.

12. გაერთიანების, მისი საწარმოო ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული დავალებანი და მითითებანი ზემდგომმა ორგანოებმა შეიძლება მისცენ მხოლოდ გაერთიანებას, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

13. გაერთიანება ახორციელებს მის ოპერატიულ მართვაში არსებული ქონების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლებებს და კანონით დაწესებულ ფარგლებში მისთვის გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლებას, გაერთიანების საქმიანობის მიზნების, საგეგმო დავალებებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად.

14. გაერთიანება მოვალეა დაიცვას თავის საქმიანობაში სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა. გაერთიანებისათვის, აგრეთვე მისი საწარმოო ერთეულებისათვის მინიჭებული უფლებები გამოყენებულ უნდა იქნეს გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების და მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

ზემდგომმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების უფლებათა დაცვა, აგრეთვე კონტროლი გაერთიანების მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისა და მისთვის მინიჭებული უფლებების სწორად გამოყენებისადმი.

15. ეს დებულება ვრცელდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებებზე, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

გაერთიანების მართვა

16. გაერთიანების მართვა ხორციელდება გაერთიანების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში ერთმმართველობისა და კოლეგიურობის სწორი შეხამების საფუძველზე.

გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუშაკთა შრომითი კოლექტივები ფართოდ მონაწილეობენ გაერთიანების (საწარმოო ერთეულების) საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმათა პროექტების მომზადებაში, ამ გეგმების შესრულების უზრუნველყოფის, გაერთიანების საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის, მისი მუშაკების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

17. გაერთიანებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავარი ქარხნის, მთავარი ფაბრიკის (მთავარი საწარმოო ერთეულის) მმართველობის აპარატი.

გაერთიანებას სათავეში უდგას გენერალური დირექტორი (დირექტორი), რომელიც მოქმედებს ერთმმართველობის საფუძველზე.

გენერალურ დირექტორს (დირექტორს) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მიმართ ზემდგომი ორგანო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან, თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეთანხმებით.

18. გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი) ორგანიზაციას უწევს მთელ მის მუშაობას და მთლიანად აგებს პასუხს გაერთიანების საქმიანობისათვის.

გენერალური დირექტორი (დირექტორი) მინდობილობის გარეშე მოქმედებს გაერთიანების სახელით, წარმოადგენს მას ყველა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად, განაგებს გაერთიანების ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, იძლევა მინდობილობებს (მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებით), ხსნის ბანკებში გაერთიანების ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში გენერალური დირექტორი (დირექტორი) განიცემს ბრძანებებს, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის ფარგლებში, იყენებს წახალისების ზომებს და ადებს სასჯელს გაერთიანების მუშაკებს.

გენერალური დირექტორი (დირექტორი) აუქმებს საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან იძლევა შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს ასეთ ბრძანებათა შეცვლის შესახებ, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, ამ დებულებას ან სხვა ნორმატიულ აქტებს.

19. გაერთიანების გენერალური დირექტორის (დირექტორის) მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს, იურიდიული განყოფილების უფროსს (იურიდი-

ული ბიუროს უფროსს, უფროს იურისკონსულტს, იურისკონსულტს) და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს, მთავარ ტექნოლოგს (მოდელიორს) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ზემდგომი ორგანო გაერთიანების გენერალური დირექტორის (დირექტორის) წარდგენით.

20. გაერთიანების გენერალური დირექტორის (დირექტორის) მოადგილეთა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა კომპეტენციას განსაზღვრავს გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი).

გენერალური დირექტორის (დირექტორის) მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ გაერთიანების სახელით, წარმოადგენენ მის სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შეუძლიათ შეასრულონ სამეურნეო ოპერაციები და დადონ ხელშეკრულებანი მინდობილობის გარეშე, აგრეთვე მისცენ მინდობილობანი გაერთიანების მუშაკებს.

21. საწარმოო ერთეულს სათავეში უდგას დირექტორი (უფროსი).

საწარმოო ერთეულის დირექტორს (უფროსს) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი) დადგენილი წესით.

22. საწარმოო ერთეულის დირექტორი (უფროსი) ორგანიზაციას უწევს მის მუშაობას და პასუხს აგებს საწარმოო ერთეულის საქმიანობისათვის.

23. საწარმოო ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში დირექტორი (უფროსი) მინდობილობის გარეშე მოქმედებს საწარმოო ერთეულის სახელით, ვინაგებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულებისა და მოცემული საწარმოო ერთეულის დებულების შესაბამისად მისთვის მიჩენილ ქონებას, გამოსცემს ბრძანებებს, ხსნის ბანკში მიმდინარე ანგარიშს და სსრ კავშირის საბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დაწესებულ შემთხვევებში — საწარმოო ერთეულის სხვა ანგარიშებს, დებს გაერთიანების სახელით სამეურნეო ხელშეკრულებებს. სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს თანამშრომლებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოო ერთეულის დირექტორი (უფროსი) დადგენილი წესით იყენებს წახალისების ზომებს და ადებს სასჯელს საწარმოო ერთეულის მუშაკებს.

24. გაერთიანების ან საწარმოო ერთეულის ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა დათხოვნა არ შეიძლება შესაბამისი პროფკავშირული კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

25. გაერთიანების ინტერესებთან საწარმოო ერთეულთა ინტერესების შეხამების, აგრეთვე მთლიანად გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის საწარმოო ერთეულთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით გაერთიანებაში იქმნება გაერთიანების საბჭო. საბჭოში შედიან გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი), მისი მოადგილეები, საწარმოო ერთეულთა დირექტორები (უფროსები), აგრეთვე გაერთიანების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

იმ შემთხვევებში, როცა გაერთიანებას ექვემდებარებიან ცალკეული დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები შედიან საბჭოს შემადგენლობაში.

საბჭოს თავმჯდომარეა გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი).

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის საჭირო შემთხვევებში მიიწვევიან გაერთიანების სპეციალისტები და ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი, აგრეთვე სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

26. გაერთიანების საბჭო განიხილავს:

— გაერთიანების, მისი საწარმოო ერთეულების განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს, ამასთან გაითვალისწინებს ოპტიმალური გეგმების მიღებას და რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სფეროში;

— ანგარიშებს გაერთიანების, მისი საწარმოო ერთეულების, აგრეთვე გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ;

— სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების საკითხებს;

— ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის, შესასრულებელ საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროსა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში მათი შედეგების გამოყენების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხისა და კულტურის გაუმჯობესების, აგრეთვე სტანდარტების დანერგვის საკითხებს;

— კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირების, საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარების საკითხებს;

— საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეულ ახალ, უმნიშვნელოვანეს სახეობათა ფასების პროექტებს, ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვის საკითხებს;

— ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების პროექტებს, რომელთა მიზანია საწარმოო ერთეულების სპეციალიზაციის უზრუნველყოფა, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შორის შინასასისტემო კოოპერირებული კავშირურთიერთობის გაფართოება, საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენება, გაერთიანების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა;

— შრომისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მეცნიერული ორგანიზაციის, მართვისა და სამეურნეო ანგარიშის, შრომის ნორმირების, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმებისა და სისტემების სრულყოფის საკითხებს;

— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და განვითარების, მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების, შრომის დისციპლინის

განმტკიცების, საშუალო დროის რაციონალური გამოყენების, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის საკითხებს;

— კადრების შერჩევის, მომზადების, განაწილებისა და აღზრდის, წარმოებაში მათი გამოყენებისა და დამკვიდრების საკითხებს;

— შინასამეურნეო ურთიერთობის საკითხებს, საწარმოო ერთეულების მიერ თავიანთ მოვალეობათა დარღვევის შედეგებს, შინასამეურნეო დავის გადაწყვეტის წესს;

— საკითხებს გაერთიანების მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის იმ სახსრების ოდენობის შესახებ, რომლებიც გადაეცემა საწარმოო ერთეულების განკარგულებაში, აგრეთვე ამ ფონდებში ანარიცხების ნორმატივთა პროექტებს, საწარმოო ერთეულებისათვის წარმოების განვითარების ფონდის ნაწილის გადაცემის შემთხვევებში მისი განსაზღვრის საკითხებს; გაერთიანების ეკონომიკური სტიმულირებისა და სხვა ფონდების გამოყენების საკითხებს;

— საწარმოო ერთეულებს შორის გაერთიანების ფართო მოხმარების ფონდის განაწილების საკითხებს, თუ ასეთი ფონდი იქმნება გაერთიანებაში;

— შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობას გაერთიანებაში;

— გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების კოლექტივების, აგრეთვე გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ დამოუკიდებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხებს;

— გაერთიანების საქმიანობის სხვა საკითხებს.

27. გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, გაერთიანების გენერალური დირექტორის (დირექტორის) ბრძანებებით. გენერალურ დირექტორსა (დირექტორსა) და გაერთიანების საბჭოს შორის საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების გაყოფისათვის შემთხვევაში გენერალური დირექტორი (დირექტორი) ახორციელებს თავის გადაწყვეტილებებს.

28. გაერთიანების განვითარების ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემების განსახილველად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, თვალსაჩინო გამოგონებებისა და მეცნიერულ აღმოჩენათა შედეგების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახეობების, მომსახურების პროგრესული ფორმების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას ტექნიკურ-ეკონომიკური და სამხატვრო საბჭოები მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ტექნიკურ-ეკონომიკური და სამხატვრო საბჭოების შემადგენლობასა და დებულებებს ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი).

29. საწარმოო გაერთიანებებსა და მათს შემადგენლობაში შემავალ საწარმოო ერთეულებში კოლექტიური ხელშეკრულებანი დაიდება საკავშირო

პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

30. შრომითს შინაგანაწესს ამტკიცებს საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივი ან მისი გადაწყვეტილებით საწარმოო ერთეულის შრომითი კოლექტივი გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) ადმინისტრაციისა და შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წარდგენით ტიპობრივი წესების საფუძველზე.

31. გაერთიანების ადმინისტრაცია, ხოლო ამ დებულებით ვათვალისწინებულ შემთხვევებში — საწარმოო ერთეულის ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად ანაწილებს დადგენილი წესით საცხოვრებელ ფართობს გაერთიანების სახლებში, აგრეთვე გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) განკარგულებაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობს.

32. გაერთიანებისა და საწარმოო ერთეულის ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად ორგანიზაციას უწევს მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიკურ სწავლებას, სოციალისტურ შეჯიბრებას, აჯამებს მის შედეგებს და განსაზღვრავს შეჯიბრების გამარჯვებულებს, წყვეტს მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკთა წახალისების საკითხებს.

33. გაერთიანებისა და საწარმოო ერთეულის ადმინისტრაცია შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს სხდომებზე მოახსენებს გეგმების პროექტების შესახებ, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ, გეგმების, კოლექტიური ხელშეკრულების ვალდებულებების, კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმებით ვათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების შესახებ, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ.

34. საწარმოო ერთეულებსა და მათს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ხოლო საჭირო შემთხვევებში მთლიანად გაერთიანებაში საწარმოო საკითხების გადასაწყვეტად მუშა-მოსამსახურეთა ფართოდ მიზიდვისათვის ეწყობა მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

გაერთიანების, საწარმოო ერთეულებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს მუდმივმოქმედი საწარმოო ერთეულების წარმატებულ მუშაობას და ორგანიზაციას უწევს მათ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

35. გაერთიანებისა და საწარმოო ერთეულების მუშაკთა კრებები (კონფერენციები) განიხილავენ საწარმოო გეგმების პროექტებს, გეგმების შესრულების შედეგებს, კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმებსა და მათში ვათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებას, კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტებს და ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, წარმოების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისა და ფართო მოხმარების ფონდის გამოყენების საკითხებს, აგრეთვე შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობის, წარმოებაში შინაგანაწესის დაცვის საკითხებს. ადმინისტრაცია

მოახსენებს კრებას (კონფერენციას) წინანდელი კრებების (კონფერენციების) გადაწყვეტილებათა შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე კრებებზე (კონფერენციებზე) გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვის შედეგების შესახებ.

36. გაერთიანებასა და საწარმოო ერთეულებში იქმნება სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგულშაგოები, რომლებსაც გაერთიანებისა და საწარმოო ერთეულების ადმინისტრაციამ უნდა აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება მუშაობაში, განხილოს მათი წინადადებანი და რეკომენდაციები და მიიღოს საჭირო ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

37. გაერთიანების საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ატარებს ზემდგომი ორგანო დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით კომპლექსურად, წელიწადში ერთხელ.

გაერთიანების საქმიანობის შემოწმებას ატარებენ ზემდგომი ორგანო და სახალხო კონტროლის ორგანოები, აგრეთვე შეიძლება განახორციელონ სხვა სახელმწიფო ორგანოებმა საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი კონტროლის დარგში მათთვის მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად.

გაერთიანება ახორციელებს თავისი საწარმოო ერთეულების საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას.

გაერთიანების ქონება

38. გაერთიანების ქონებას შეადგენენ ძირითადი საშუალებანი და საბრუნავი სახსრები, რომლებიც კმნიან მის საწესდებო ფონდს, აგრეთვე გაერთიანებისათვის მიჩენილი ფონდები და სხვა ქონება.

გაერთიანებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსზე.

თუ გაერთიანებას ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, მათი ქონება აისახება ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებელ ბალანსებზე. ასეთ შემთხვევებში გაერთიანება აღგენს კრებისთვის ბალანსს.

39. გაერთიანებაში იქმნება შემდეგი ფონდები:

წარმოების განვითარების ფონდი;

მატერიალური წახალისების ფონდი;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარქიციების ფონდი;

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობის ფონდი;

სხვა ფონდები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

40. გაერთიანება საწარმოო ერთეულს მიუჩენს გაერთიანების ძირითადი საშუალებების ნაწილსა და საბრუნავი სახსრების ნაწილს, რაც საჭიროა სა-

წარმოო პროგრამის შესრულებისათვის. საბრუნავი სახსრები მიეცემა დაწესებული ნორმების (ნორმატივების) შესაბამისად.

საწარმოო ერთეული თავის განკარგულებაში იღებს მატერიალური წახალისების ფონდის ნაწილს და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ნაწილს, აგრეთვე შეუძლია მიიღოს წარმოების განვითარების ფონდის ნაწილი, რომელსაც განსაზღვრავს გაერთიანება.

გაერთიანებაში ფართო მოხმარების ფონდის შექმნის შემთხვევაში საწარმოო ერთეულები, რომლებიც მონაწილეობენ წარმოების ნარჩენებისაგან სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო დანიშნულების ნაკეთობათა წარმოებაში, იღებენ თავიანთ განკარგულებაში მუშაკთა პრემიებისა და მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული ფართო მოხმარების ფონდის სახსრების ნაწილს. გაერთიანების მიერ გადასაცემი სახსრების ოდენობას განსაზღვრავს გენერალური დირექტორი (დირექტორი) შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით, აღნიშნული საქონლისა და ნაკეთობათა წარმოებაში თითოეული საწარმოო ერთეულის მონაწილეობის პროპორციულად.

გაერთიანებას შეუძლია აგრეთვე გადასცეს ცალკეული საწარმოო ერთეულების განკარგულებაში გენერალური დირექტორის (დირექტორის) მიერ განსაზღვრული ოდენობით ფართო მოხმარების ფონდის იმ სახსრების ნაწილი, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათი გამოშვებისათვის საჭირო აღჭურვილობის დასამზადებლად და ამ საქონლის ახალი ნიმუშების მოსამზადებლად, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რემონტისათვის.

საწარმოო ერთეულს შეუძლია ჰქონდეს ცალკე ბალანსი.

41. საწარმოო ერთეულისათვის მიჩენილი საბრუნავი სახსრები შეუძლია ჩამოართვას მას გაერთიანებამ დადგენილი წესით საბრუნავი სახსრების ნორმების (ნორმატივების) შეცვლისას.

გაერთიანებას უფლება აქვს, ხოლო საწარმოო ერთეულის წინადადებით მოვალეა ჩამოართვას მას ზედმეტი მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც ძირითად საშუალებებსა და საბრუნავ სახსრებს მიეკუთვნება.

42. გაერთიანების საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობა (ნორმატივი), მათი ზრდა ან შემცირება მტკიცდება დადგენილი წესით, საგემო დავალებათა გათვალისწინებით და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვისა და მარაგის ნორმების შესაბამისად.

გაერთიანებისათვის მიჩენილი საბრუნავი სახსრები ნორმატივის ფარგლებში არ შეიძლება ჩამოართვას მას ზემდგომმა ორგანომ.

ზედმეტი (ნორმატივის ვადაშემდეგით) საბრუნავი სახსრები შეიძლება ჩამოართვას გაერთიანებას ზემდგომმა ორგანომ მხოლოდ გაერთიანების წლიური ანგარიშის მიხედვით გადანაწილების წესით ან გაერთიანების საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შეცვლისას.

43. გაერთიანებულ სათვის მიჩენილი შენობა-ნაგებობანი, მოქმედი მოწყობილობა და სხვა ძირითადი საშუალებანი შეიძლება გადაეცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

44. ძირითადი ფონდებისათვის მიკუთვნებული დროებით გამოუყენებელ შენობა-ნაგებობანი, საწარმოო, სასაწყობო და სხვა სადგომები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ობიექტები გაერთიანებას შეუძლია იჯარით გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს გაერთიანების მიმართ ზედგომ ორგანოსთან შეთანხმებით. შენობა-ნაგებობებისა და სადგომების იჯარის ქირა ვალდებულ იქნება ადგილზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით, სადაც ისინი მდებარეობენ, ხოლო ძირითადი ფონდებისათვის მიკუთვნებული სხვა ობიექტების იჯარის ქირა — არა უმეტეს ამ სახეობის ქონების საამორტიზაციო ანარიცხების თანხებისა და ფონდების გადასახდელისა.

45. ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს (მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები, სათბობი და ა. შ.) გაერთიანება ასაღებს დადგენილი წესით.

საბრუნავი სახსრებისათვის განკუთვნილ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის შედეგად შემოსული თანხები რჩება გაერთიანების განკარგულებაში მისი საბრუნავი სახსრების სახით.

ძირითადი საშუალებებისათვის განკუთვნილ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები რჩება გაერთიანების განკარგულებაში და ჩაირიცხება წარმოების განვითარების ფონდში.

46. გაერთიანება და საწარმოო ერთეული უფასო სარგებლობისათვის აძლევს გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) შესაბამის პროფკავშირულ ორგანოს გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) ბალანსზე არსებულ დამის მიერ იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებს, სადგომებს, ბაღებსა და პარკებს, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) მუშაკთა და მათი ოჯახების წევრთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განსახორციელებლად, პიონერთა ბანაკებს, აგრეთვე ტექნიკური პროპაგანდის განხორციელებისათვის გათვალისწინებულ შენობა-ნაგებობებსა და სადგომებს.

აღნიშნული ობიექტების სამეურნეო მოვლა-შენახვა, რემონტი, გათბობა, განათება, დაგვა-დალაგება, დაცვა და მოწყობა-აღჭურვა ხორციელდება გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) ხარჯზე. იმ შემთხვევაში, როცა ამ ობიექტებს იყენებენ აგრეთვე სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, ეს საწარმოები და ორგანიზაციები მიიღებენ წილობრივ მონაწილეობას აღნიშნულ ხარჯებში.

გაერთიანება (საწარმოო ერთეული) აძლევს გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფასო სარგებლობაში მათი მუშაობისა და მუშა-მოსამსახურეთა კრებების ჩატარებისათვის საჭირო სადგომებს, უზრუნველყოფს ამ სადგომების მოწყობა-აღჭურვას, გათბობას, განათებას, დაცვასა და დაგვა-დალა-

გებას. აგრეთვე აძლევს აღნიშნულ ორგანიზაციებს უფასო სარგებლობაში სატრანსპორტო საშუალებებსა და კავშირგაბმულობის საშუალებებს.

47. გაერთიანება (საწარმოო ერთეული) უსასყიდლოდ გადასცემს ბალანსიდან ბალანსზე გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) იმ სახსრების ხარჯზე შეძენილ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასპორტო ინვენტარს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამგვარი ქონების შესაძენად.

48. გაერთიანება და საწარმოო ერთეული უფასო სარგებლობაში გადასცემენ მათთან არსებულ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს ან მათს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, აგრეთვე გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) ბალანსზე რიცხულ ან გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) ტერიტორიაზე განლაგებულ და მისი მუშაკების კოლექტივების მომსახურე სასაღილოებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა ორგანიზაციებს საჭირო სადგომებს და უზრუნველყოფს ამ სადგომების გათბობას, განათებასა და წყალმომარაგებას.

49. გაერთიანებასა და საწარმოო ერთეულს შეუძლიათ უსასყიდლოდ მისცენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სასწავლო-საწარმოო კომბინატს, რომლებშიც სწავლობენ მათი მუშაკები, სადგომები სასწავლო მიზნებისათვის, საჭირო მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მასალები სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის, ამასთან უზრუნველყონ სადგომების რემონტი და სამეურნეო მომსახურება, მათ შორის ელექტროენერგითა და სათბობით მომარაგება.

გაერთიანებას შეუძლია ზემდგომი ორგანოებისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების სისტემის ტერიტორიული ორგანოებისათვის ან სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გასაღების ორგანიზაციებისათვის შეუტყობინებლად, რომლებსაც ეკისრებათ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია, უსასყიდლოდ მისცენ ეს ფასეულობანი:

— ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებსა და კურსებს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებს, ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა სახლებს, შრომა-გასწორების დაწესებულებებს — მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც სჭირდებათ მათ სასწავლებლად და სახელოსნოების სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტების აღსაჭურვად;

— უმაღლეს სასწავლებლებს — მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოებისა და სხვა მოწყობილობის ნიმუშები, აგრეთვე გამოფენებზე დემონსტრირებიდან მოხსნილი ექსპონატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისათვის;

— ტუბერკულოზისაწინააღმდეგო, ფსიქიატრიულ და ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებათა სამკურნალო-შრომითს სახელოსნოებს — მოწყობილობა და ინსტრუმენტი.

50. გაერთიანება ახორციელებს სამორტიზაციო ანარიცხებს კაპიტალური რემონტისათვის და ძირითადი ფონდების სრულ აღდგენას.

კაპიტალური რემონტის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული სამორტიზაციო ანარიცხები შეადგენენ გაერთიანების მიზნობრივ ფონდს და იგი მთ ხარჯავს როგორც კაპიტალური რემონტისათვის, ისევე ძირითადი ფონდების მოდერნიზაციისათვის, აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებისა და გაცვეთილი დეტალებისა და კვანძების შეცვლისათვის საჭირო დეტალებისა და კვანძების შესაძენად.

აღნიშნული ფონდის სახსრების ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე დანახარჯები ახალი მოწყობილობის შესაძენად, ნაცვლად მოძველებულისა, რომლის კაპიტალური რემონტი ეკონომიკურად მიზანშეუწონელია.

კაპიტალური რემონტის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული სამორტიზაციო ანარიცხების ნაწილი დაწესებული ოდენობით გადაეცემა ზემდგომ ორგანოს იმ საწარმო-ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად რეზერვის შესაქმნელად, რომლებსაც აკლიათ საკუთარი სახსრები, კაპიტალური რევიზიტის განსახორციელებლად.

ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული სამორტიზაციო ანარიცხები დაწესებული ოდენობით რჩება გაერთიანების განკარგულებაში და შედის წარმოების გახვითარების ფონდში. ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული სამორტიზაციო ანარიცხების დანარჩენი ნაწილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოხმარდება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას.

51. მთლიანად გაერთიანების მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ოდენობას, აგრეთვე ამ ფონდებსა და წარმოების განვითარებას ფონდში მოგების ანარიცხების ნორმატივებს განსაზღვრავს დადგენილი წესით ზემდგომი ორგანო შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით.

საწარმოო ერთეულების განკარგულებაში გადასაცემი მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ოდენობას განსაზღვრავს გაერთიანება შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით თითოეული საწარმოო ერთეულის საქმიანობის მაჩვენებლების მიხედვით. ამასთან გაერთიანებას შეუძლია თავის განკარგულებაში დაიტოვოს ამ ფონდების გაუნაწილებელი თანხა.

საწარმოო ერთეულის განკარგულებაში გადაცემული მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები გამოიყენება ამ ფონდების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული მიზნებისათვის, საწარმოო ერთეულის აღმინისტრაციის მიერ პროფკავშირის კომიტეტთან ერთად დამტკიცებული ხარჯთ-

აღრიცხვების შესაბამისად. ამ ფონდების სახსრების გამოუყენებელი ნაშთები გადადის მომდევნო წელს და საწარმოო ერთეულს არ ჩამოერთმევა.

გაერთიანების მიერ საწარმოო ერთეულისათვის გადაცემულ წარმოების განვითარების ფონდის სახსრებს იგი იყენებს იმ მიზნებისათვის, რომელთაც განსაზღვრავს გაერთიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გაერთიანების მიერ თავის განკარგულებაში დატოვებული მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები გამოიყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის გაერთიანების მუშაკთა პრემირების მიზნით, ცალკეული საწარმოო ერთეულების საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესებასთან დაკავშირებით (მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო) მათ განკარგულებაში გადაცემული მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების შესავსებად, გაერთიანებაში გაშლილი სოციალისტური შევიბრების გამარჯვებულთა პრემირებისათვის.

გაერთიანების მიერ თავის განკარგულებაში დატოვებული სოციალურ კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები გამოიყენება დადგენილი წესით.

გაერთიანების განკარგულებაში დატოვებული მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯვის ნუსხებს ამტკიცებს გაერთიანების ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად.

ზემდგომი ორგანოს მიერ გაერთიანების ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ჩამორთმევა და გადანაწილება დაუშვებელია, გარდა სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ამასთან მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ჩამორთმევა არ შეიძლება შრომითი კოლექტივის თანხმობის გარეშე. ეკონომიკური სტიმულირების ფონდების გამოუყენებელი ნაშთები რჩება გაერთიანების განკარგულებაში და გადადის მომდევნო წელს.

52. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის, ფართო მოხმარების ფონდის სახსრების და კანონმდებლობის შესაბამისად საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილი გაერთიანების სხვა სახსრების ხარჯზე აშენებულ მთელ საცხოვრებელ ფართობზე ჩასახლდებიან პირები გაერთიანების ადმინისტრაციისა და შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სიის მიხედვით, რაც შემდგომ ეცნობება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

აღნიშნული სახსრების ხარჯზე აშენებულ სახლებში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები შეიძლება განლაგდეს მხოლოდ გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) ადმინისტრაციისა და შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს თანხმობით.

53. გაერთიანების მუშაკები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ სახელმწიფო ქონებას, განახორციელონ შენობა-ნაგებობათა და მოწყობილობის სწორი ექსპლუატაცია, დაიცვან მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში მკაც-

რი ეკონომიის რეჟიმი. სახელმწიფო ქონების გაფუჭებისა და სახელმწიფოსათვის მატერიალური ზარალის მიყენების გამო დამნაშავე პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

54. გაერთიანებისათვის მინიჭებულ უფლებებსა და მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს ახორციელებს გენერალური დირექტორი (დირექტორი) და მოვალეობათა დაწესებული განაწილების მიხედვით — მისი მოადგილეები და სხვა თანამდებობის პირები, ხოლო ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ერთობლივად, პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით ან მონაწილეობით.

55. ზემდგომ ორგანოს შეუძლია მიანიჭოს გაერთიანებას დამატებითი უფლებანი (დაგვემვის, წეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში და სხვ.) ამ ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში.

უფლება-მოვალეობანი დაგვემვის დარგში

56. გაერთიანება შრომითი კოლექტივის, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს თავისი საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს, აგრეთვე წინადადებებს უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმების პროექტებისათვის, ამასთან ეყრდნობა ზემდგომი ორგანოს დავალებებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ძირითად მიმართულებებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების შესაბამის სახეობებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, შემკვეთებთან და სხვა ორგანიზაციებთან არსებული სამეურნეო კავშირურთიერთობის და მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობის გათვალისწინებით.

გაერთიანების მიერ შესამუშავებელ გეგმათა პროექტებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეგმის ყველა დანაყოფის ურთიერთდაკავშირება და გათვალისწინებულ იქნეს შინაგანი რეზერვების სრული გამოყენება.

57. ზემდგომი ორგანო განიხილავს გაერთიანების მონაწილეობით და დაუმტკიცებს მას ხუთწლიან და წლიურ საგეგმო დავალებებს მაჩვენებელთა დაწესებული სისტემის მიხედვით და უზრუნველყოფს გაერთიანებას ამ დავალებათა შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსებითა და ხელფასის ფონდით.

გეგმის ყველა დანარჩენ მაჩვენებელს გაერთიანებას ზემდგომი ორგანო არ უმტკიცებს, არამედ გაერთიანება შეიმუშავებს და საგეგმო ორგანოები მათ იყენებენ გეგმების დასაბუთებისათვის გაანგარიშებითი მასალების სახით.

58. ყველა საგეგმო დავალებას გაერთიანებას დაუზღავნის მხოლოდ ზემდგომი ორგანო, ხოლო საწარმოო ერთეულებს — მხოლოდ გაერთიანება.

59. გაერთიანება მისთვის დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად შეიმუშავებს ხუთწლიან გეგმებს უმნიშვნელოვანესი დავალებების ხუთწლე-

დის წლების მიხედვით განაწილებით, რომელიც გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის ძირითადი ფორმაა.

გაერთიანება მისთვის დამტკიცებული საგეგმო დავალებებისა და დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად შემუშავებს წლიურ ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმას, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის კვარტალურ და თვიურ გეგმებს.

გაერთიანების ხუთწლიან გეგმას, წლიურ ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმას, კვარტალურ და თვიურ გეგმებს ამტკიცებს გენერალური დირექტორი (დირექტორი).

გაერთიანება მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო ერთეულებისათვის აწესებს ხუთწლიანი, წლიური, კვარტალური და თვიური გეგმების ძირითად მაჩვენებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გაერთიანებისათვის დამტკიცებულ საგეგმო დავალებათა შესრულებას რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური ეფექტით.

საწარმოო ერთეული გაერთიანების მიერ დაწესებული მაჩვენებლების საფუძველზე შეიმუშავებს მთლიანად საწარმოო ერთეულისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმებს.

60. გაერთიანების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

61. გაერთიანებისათვის დამტკიცებული საგეგმო დავალებანი სტაბილური უნდა იყოს, და ზემდგომ ორგანოს შეუძლია მათი შეცვლა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, გაერთიანების ადმინისტრაციასთან ამ ცვლილებათა წინასწარი განხილვის შემდეგ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით და მათ მიერ გათვალისწინებულ ვადებში.

ზემდგომი ორგანოს მიერ გაერთიანებისათვის საგეგმო დავალებათა შეცვლასთან ერთად შესაბამისი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი ყველა ურთიერთდაკავშირებულ საგეგმო მაჩვენებელში, მათ შორის ბიუჯეტთან ურთიერთობაში, ზემდგომი ორგანოს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

62. გაერთიანებას უფლება აქვს ზეგეგმითი პროდუქციის განაწილების მოქმედი სისტემის ვათვალისწინებით მიიღოს სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შეკვეთები სამუშაოთა შესასრულებლად და მომსახურების გასაწევად, გეგმის გადამეტებით კოოპერაციის წესით შემკვეთის ნედლეულისა და მასალებისაგან და წარმოების ნარჩენებისაგან სახალხო მოხმარების საქონლის დასამზადებლად, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

63. გაერთიანება ხელმძღვანელობს საწარმოო ერთეულებში საგეგმო მუშაობის ორგანიზაციას, ამასთან უზრუნველყოფს გეგმების ხარისხიანად და დროულად შემუშავებას, მათს სტაბილურობას, აგრეთვე ყოველდღიურ კონტროლს უწევს გეგმების შესრულებას და ახორციელებს ამისათვის საჭირო ღონისძიებებს.

უფლება-მოვალეობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში

64. გაერთიანება მონაწილეობს საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესების შემუშავებაში. ამ პროგრესების გათვალისწინებით გაერთიანება შეიმუშავებს მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავადტურვისა და რეკონსტრუქციის პერსპექტიულ გეგმებს, აგრეთვე ტექნოლოგიის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა, მართვის სისტემათა სრულყოფის და წარმოების დანახარჯების შემცირების ღონისძიებებს.

გაერთიანება მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შემუშავებაში და საყოფაცხოვრებო მომსახურების წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებაში.

65. გაერთიანებას შეუძლია დაუდოს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ზელშეკრულებანი მისთვის კომპლექსური ნამუშევრების, ცალკეული მეცნიერული გამოკვლევებისა და დაპროექტების განსახორციელებლად.

გაერთიანება მოვალეა ტექნიკური დავალებანი მეცნიერული გამოკვლევების, საცდელი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოების განსახორციელებლად, რომელთა მიზანია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ მიმართულებათა შექმნა, დასკვნისათვის წარუდგინოს ორგანიზაციას, რომელიც კოორდინაციას უწევს შესაბამის სამუშაოთა განხორციელებას.

აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ხარჯები გაიღება გაერთიანებაში ამ მიზნით არსებული სახსრებიდან, აგრეთვე ბანკის კრედიტიდან.

66. გაერთიანება იღებს ზომებს გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის, ამასთან სისტემატურად ანალიზებს მომსახურების ტექნიკურ და მხატვრულ დონეს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტებისა და სტანდარტიზაციის რეკომენდაციების შესწავლის, შესრულებული შეკვეთების ექსპლუატაციის (გამოყენების) გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების გაწევას მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების შესაბამისად.

გაერთიანება მოვალეა წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს განსახილველად წინადადებანი მოსახლეობის მომსახურების მოძველებული ფორმების გაუქმების ან შეცვლის შესახებ, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამოუკიდებლად გააუქმოს მომსახურების აღნიშნული სახეობანი ან მოხსნას წარმოებიდან ცალკეულ სახეობათა ნაკეთობანი და შეცვალოს ისინი მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისი ახალი ნაკეთობებით.

67. გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით გაერთიანება შესაბამისი მომსახურების მეშვეობით უზრუნველყოფს მომსახურების უზაროისხოდ შესრულების შემთხვევებისა და დამზადებულ ნაკეთობებში დეფექტების დროულად გამოვლენას, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის

მოთხოვნების, სტანდარტების, ნახაზების, ესკიზების, ნიმუშების (წოდებების) და საიჯარო ხელშეკრულების (საყოფაცხოვრებო შეკვეთის) სხვა პირობების შეუსაბამო მომსახურების გაწევისა და ნაკეთობათა გამოშვების თავიდან აცილებას.

68. გაერთიანება უფლება აქვს შემკვეთთან შეთანხმებით გაუწიოს მომსახურება და დაამზადოს უფრო მაღალი ხარისხის ნაკეთობანი აღნიშნული მომსახურებისა და ნაკეთობების მოქმედ სტანდარტებთან და ტექნიკურ პირობებთან შედარებით. ამასთან დაკავშირებულ დამატებითს დანახარჯებს შემკვეთი გაერთიანებას აუნახლაურებს დადგენილი წესით.

69. გაერთიანება შეიმუშავებს გასაწევი საყოფაცხოვრებო მომსახურების ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის პროექტებს ან მონაწილეობს მათს შემუშავებაში, წარადგენს ამ პროექტებს დადგენილი წესით დასამტკიცებლად, უზრუნველყოფს დამტკიცებული სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას, აგრეთვე გაზომვისა და გამოცდის თანამედროვე საშუალებათა და მეთოდების გამოყენებას მომსახურების შესრულებისას, კონტროლს უწევს ამ საშუალებათა მდგომარეობას და მათი სარგებლობის დადგენილი წესის დაცვას საწარმოს მეტროლოგიური უზრუნველყოფის დამტკიცებული პასპორტის შესაბამისად.

70. გაერთიანება ახორციელებს სისტემატურ მუშაობას შესასრულებელი საყოფაცხოვრებო მომსახურების, აგრეთვე გამოსაყენებელი ნედლეულის, მასალებისა და სხვა რესურსების სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის მიღწეული დონის შესაფასებლად.

71. გაერთიანება უზრუნველყოფს წარმოების ტექნიკური დონის განუწყვეტელ ამაღლებას, წარმოებაში გამოყენებულ ტექნოლოგიურ პროცესთა და მათი მართვის სისტემათა სრულყოფას, ძირითად და დამხმარე საწარმოო პროცესთა კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

გაერთიანება შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით ახალი ტექნიკის დანერგვის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, ამასთან ითვალისწინებს მათში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებას.

72. გაერთიანება ამტკიცებს საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის ტექნოლოგიურ პროცესებს საწარმოო ერთეულებისათვის, თუ ეს პროცესები არ დაუმტკიცებიათ ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას მომსახურების გაწევის დარგში.

საჭირო შემთხვევებში გაერთიანებას უფლება აქვს შეცვალოს წარმოების ძოცემულ დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებელი შენაბამისი ორგანოების მიერ დამტკიცებული ტექნოლოგიური პროცესები, თუ ეს ცვლილება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს (ამაღლებს საიმედოობას, ხანგამძლეობას) ან, არ აუარესებს რა მის ხარისხს და არ არღვევს სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს, ამცირებს თვითღირებულებას, აგრეთვე იძლევა სხვა დადებითს ეფექტს, გარდა ტექნოლოგიური პროცესებისა, რომელთა შეცვლა მათი დამამტკიცებელი ორგანოების თანხმობის გარეშე აკრძალულია. ამასთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებისა და ნორმების დაცვა.

ტექნოლოგიური პრიციპის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ორგანოს, რომელმაც იგი დაამტკიცა.

73. გაერთიანება:

ა) შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნედლეულის, სათბობის, მასალების ხარჯვისა და მარაგის, საწარმოო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის თბოენერჯისა და ელექტროენერჯის ხარჯვის ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებსა და ნორმებს;

ბ) ამტკიცებს ნორმატივებსა და ნორმებს ზემდგომი ორგანოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებული ნუსხის მიხედვით;

გ) შეუძლია დააწესოს ნორმები და ნორმატივები, რომელთაც ამტკიცებენ საწარმოო ერთეულები.

74. გაერთიანება ორგანიზაციას უწევს მუშაობას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის პერსპექტიული და მიმდინარე თემატიკური გეგმების საფუძველზე, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად დანერგვას, აგრეთვე გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისათვის გასამრჯელოს და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის პრემიების გაცემას დადგენილი წესით.

გაერთიანება ორგანიზაციას უწევს გამოცდილების გაზიარებას, ატარებს შეჯიბრებებს, კონკურსებსა და დათვლიერებებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოებასთან ერთად.

გაერთიანება უზრუნველყოფს დადგენილი წესით დროულ რეაგირებას თანამშრომელთა გამოგონებებზე, სსრ კავშირში სავტორო მოწმობათა გასაცემად და საზღვარგარეთ პატენტების მისაღებად განაცხადების გაფორმებასა და შეტანას.

75. მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების მიზნით გაერთიანება ყოველმხრივ ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საქმიანობას, აბამს მათ მოსახლეობის მომსახურების სახეობებისა და ფორმების ტექნიკური განვითარების კონკრეტული ამოცანების, ახალი ტექნიკის, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტების შემუშავებაში, აგრეთვე ამ გეგმების შესრულებაში.

გაერთიანება უზრუნველყოფს აღნიშნულ პირველადს ორგანიზაციებს, აგრეთვე საზოგადოებრივ საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და საპატენტო ბიუროებს, ნორმირების ბიუროებს, ნოვატორთა საბჭოებს, მეცნიერული კვლევის საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს, ეკონომიკური ანალიზის ბიუროებსა და ჯგუფებს, ტექნიკური ინფორმაციის ბიუროებს, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭოებსა და სხვა შემოქმედებითს გაერთიანებებს სადგომებით, მოწყობილობით, ხელსაწყოებით, ინვენტარით, ტექნიკური და საცნობარო ლიტერატურით.

წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში მონაწილეობისათვის გაერთიანების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და ნოვატორ მუშათა უფრო ფართოდ მიზიდვის მიზნით გაერთიანებას შეუძლია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საბჭოსთან შეთანხმებით გადასცეს ამ საბჭოს გაერთიანების ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს ფუნქციები.

76. გაერთიანების ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საბჭოებთან ერთად რეგულარულად ატარებს ინჟინერ-ტექნიკურ, მეცნიერ მუშაკთა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა სამეცნიერო, საწარმოო-ტექნიკურ და ეკონომიკურ კონფერენციებსა და თათბირებს ტექნიკურ პროგრესის, გაერთიანების ეკონომიკური განვითარების საკითხთა განსახილველად და ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის მიზნით რეკომენდაციებისა და წინადადებების შესამუშავებლად და უზრუნველყოფს ამ რეკომენდაციებისა და წინადადებების დროულად განხორციელებას.

77. გაერთიანება ახორციელებს დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკურ და საწარმოო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

78. გაერთიანება წარადგენს დადგენილი წესით წინადადებებს გამოგონებებსა და სხვა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე ლიცენზიების გაყიდვისა და შესყიდვის შესახებ.

გაერთიანებას ეკისრება პასუხისმგებლობა მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაწევად გათვალისწინებული იმ მოწყობილობის დროულად ათვისებისათვის, რომლებიც შესყიდულია ლიცენზიების მიხედვით.

უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

79. გაერთიანება ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას, მათს წარმართვას პირველ რიგში ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის, სახსრების კონცენტრაციას საექსპლუატაციოდ გადასაცემ მშენებლობებსა და ობიექტებზე, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას.

80. გაერთიანება იღებს ზომებს მშენებლობის ვადების შემცირებისათვის, ხარისხის ამაღლებისა და ღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოფს მშენებლობის ხანგრძლივობის დაწესებული ნორმებისა და საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების ვადების დაცვას; ითვისებს ახალამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეებს მათი ათვისების ხანგრძლივობის ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში.

81. გაერთიანება ახორციელებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან დადებულ საიჯარო ხელშეკრულებათა მიხედვით კაპიტალური მშენებლო-

ბისა და ძირითადი ფონდების რეკონსტრუქციის სამუშაოებს. იმ შემთხვევაში, როცა კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა წარმოება საიჯარო წესით ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ასეთი სამუშაოები შეიძლება შესრულდეს სამეურნეო წესით.

82. გაერთიანება უდებს საპროექტო ორგანიზაციებს ხელშეკრულებებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად.

83. გაერთიანება ამტკიცებს:

— ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე განსახორციელებელ საწარმოო დანიშნულების მშენებლობათა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, სატიტულო სიებს და მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი წესით;

— წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოო დანიშნულების მოქმედი ობიექტების გაფართოების (რეკონსტრუქციის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს, მიუხედავად სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის, ფართო მოხმარების ფონდისა და დაფინანსების სხვა არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე განსახორციელებელი ობიექტების მშენებლობისა და გაფართოების (რეკონსტრუქციის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს, მიუხედავად სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა;

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე განსახორციელებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სატიტულო სიებს დადგენილი წესით;

— შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის უზრუნველყოფისათვის მუშაობის სატიტულო სიებს;

— შინასამშენებლო სატიტულო სიებს შემკვეთთან შეთანხმებით.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და ფართო მოხმარების ფონდის ხარჯზე საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს, აგრეთვე შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის უზრუნველყოფისათვის მუშაობის სატიტულო სიებს გაერთიანება ამტკიცებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით.

84. გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს ხელშეკრულებათა მიხედვით საიჯარო ორგანიზაციებს მათი თანხმობით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელფასის ფონდები, მატერიალური რესურსებისა და მასალების ფონდები და ამის შესახებ შემდგომ შეატყობინოს ზემდგომ ორგანოს.

85. გაერთიანებას უფლება აქვს დაამტკიცოს საიჯარო ორგანიზაციასთან შეთანხმებით სამუშაოთა ერთეული ფასდებანი, რომლებიც დამტკიცებულში არაა დადგენილი წესით.

86. კაპიტალური რემონტის სამუშაოთა გეგმებსა და შესაბამის სახარჯთ-აღრიცხვო საფინანსო გაანგარიშებებს ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი). კაპიტალური რემონტის სამუშაოები ხორციელდება როგორც სამეურნეო, ისევე საიჯარო წესით.

იმ შემთხვევაში, როცა გაერთიანება კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მოცულობას გადასცემს საიჯარო ორგანიზაციას, გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს საიჯარო ორგანიზაციას აგრეთვე შესაბამისი ხელფასის ფონდები, მატერიალური რესურსებისა და მასალების ფონდები და ამის შესახებ შემდგომ შეატყობინოს ზემდგომ ორგანოს.

87. გაერთიანებას უფლება აქვს გამოიყენოს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისათვის იმ სახსრების ნაწილი, რომლებიც გამოეყოფა მას ცენტრალიზებული წესით საბინაო მშენებლობისათვის. გადაწყვეტილებას სახსრების ასეთი დანიშნულებით გამოყენების შესახებ მიიღებს გენერალური დირექტორი (დირექტორი) შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად.

88. გაერთიანებას შეუძლია განახორციელოს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, კომუნალური მეურნეობის ობიექტების, სამედიცინო და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, პიონერთა ბანაკებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობა და გაფართოება სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად (წილობრივი მონაწილეობის წესით) შესაბამისად ამ მიზნით გაერთიანებისათვის გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების დარგში

89. გაერთიანება ქვეყანაში მოქმედი მომარაგება-გასაღების საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის გათვალისწინებით ორგანიზაციას უწევს და უზრუნველყოფს თავის საქვეუწყებო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

90. გაერთიანება უწესებს საწარმოო ერთეულებს მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ნორმატივებს, აგრეთვე გამოუყოფს მათ მატერიალური რესურსების ლიმიტებს (ფონდებს) და გადაანაწილებს მათ დადგენილი წესით, საწარმოო პროგრამის ცვლილების გათვალისწინებით.

გაერთიანების ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ განლაგებული საწარმოო ერთეული იღებს ფონდებს: გაერთიანებისაგან — მატერიალური რესურსებისათვის, რომლებსაც ანაწილებს გაერთიანების მიმართ ზემდგომი ორგანო, და ამ საწარმოო ერთეულის ადგილსამყოფელის მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანოებისაგან — მატერიალური რესურსებისათვის, რომლებსაც ანაწილებენ ეს ორგანოები. აღნიშნული საწარმოო ერთეული ფონდების რეალიზაციას ახდენს დადგენილი წესით.

91. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანება ახორციელებს მისთვის გამოყოფილი მომსახურების ფონდების რეალიზაციას საწარმოო კოოპერაციის წესით საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოებთან დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე ან უშუალოდ შემკვეთებისათვის საკუთარი მიწლები პუნქტების მეშვეობით, აგრეთვე კისრულობს პასუხისმგებლობას მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და ჭროვანი შენახვისათვის.

მოსახლეობის შეკვეთების შესასრულებლად დავალებათა და სიჯარო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოებთან საწარმოო კოოპერაციის წესით დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობა გაერთიანების მიერ სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევას წარმოადგენს და იწვევს დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას დადგენილი წესით.

92. გაერთიანება ახორციელებს ღონისძიებებს ეკონომიკურად მიზანშეწონილი პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირურთიერთობის გასაფართოებლად. ამ მიზნით შეაქვს ორგანოებში, რომლებიც ახდენენ მიმწოდებლებთან მყიდველთა მიმაგრებას, წინადადებანი ასეთი კავშირურთიერთობის ფორმირების შესახებ და მიმაგრების გეგმების საფუძველზე უდბს გრძელვადიან სამეურნეო ხელშეკრულებებს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის მიწოდების ხაზით დამკვიდრებული პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირურთიერთობის შეცვლა დასაშვებია საჭირო შემთხვევებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

93. გაერთიანებას შეუძლია დაუდოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებს გრძელვადიანი ხელშეკრულებანი გაერთიანების მომარაგების ორგანიზაციისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ მისი პროდუქციით (როგორც ფონდების მიხედვით, ისევე უფონდო მომარაგების წესით გამოყოფილით) გარანტირებულ კომპლექსურ უზრუნველყოფას, პროდუქციის მომზადებას საწარმოო მოხმარებისათვის, მასალებისა და ნაკეთობათა ცენტრალიზებულ მიტანას შეთანხმებული გრაფიკების მიხედვით, ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობების რეალიზაციას და სხვებისათვის მომსახურების გაწევას.

ღონიშნული ხელშეკრულების დამდებ გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოს თავისი მატერიალური რესურსების მარაგი შეთანხმებული ოდენობით.

94. გაერთიანებას შეუძლია შეიძინოს ფონდების გარეშე სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან უგანრიგოდ რეალიზებული პროდუქცია, ზედმეტი მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე შეისყიდოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო საგნები საბითუმო და საცალო ვაჭრობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

95. გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფონდები და მისცეს მათ თავისი რესურსებიდან მასალები, სა-

კომპლექტებელი მოწყობილობა დაწესებული ნორმების მიხედვით ხელშეკრულებათა საფუძველზე გაერთიანებისათვის საჭირო პროდუქციის დასამზადებლად.

96. გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს სპეციალიზებულ ორგანიზაციებს მათთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე სამუშაოები პერსპექტიული მოთხოვნილების შესასწავლად და მომსახურების ახალ სახეობათა რეკლამირებისათვის, აგრეთვე მომსახურების სხვა სახეობათა გასაწევად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ახალ სახეობათა მასალებისა და ნაკეთობების აქტიური დანერგვის მიზნით.

97. გაერთიანებას უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას მისთვის გამოყოფილ პროდუქციაზე და ხელშეკრულების დადებაზე, ამასთან შეატყობინოს ასეთი უარის შესახებ მიმწოდებელს, ფონდმფლობელსა და ორ განოს, რომელმაც გასცა განრიგი, არა უმეტეს 10 დღის ვადაში მისთვის პროდუქციის გამოყოფის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ ან განრიგის მიღების შემდეგ.

ხელშეკრულების დადების შემდეგ გაერთიანებას აგრეთვე უფლება აქვს უარი თქვას მთლიანად ან ნაწილობრივ, მიმწოდებელთან შეთანხმებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მიღებაზე, ამასთან შეატყობინოს ამის შესახებ 5 დღის ვადაში ფონდმფლობელს და ორგანოს, რომელმაც გასცა განრიგი.

98. გაერთიანებას უფლება აქვს მისცეს, დადგენილი წესის შესაბამისად ანაზღაურებით, ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ მისთვის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ამ სამუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები და მზა ნაკეთობანი მისთვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში.

99. გაერთიანებას უფლება აქვს მისცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო საწარმოო ნარჩენები, გაერთიანების მიერ მათი ჩაბარებისა და გადამუშავების გეგმის გადამეტებით, თუ დადგენილი არ არის სხვა წესი მოქმედი კანონმდებლობით.

უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

100. გაერთიანება ახორციელებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემაჯავლი ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას, განსაზღვრავს ნორმატივების მიხედვით მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას შრომით რესურსებზე, მათ შორის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე და კვალიფიციურ მუშებზე, იღებს ზომებს შრომითი რესურსების, ახალგაზრდა სპეციალისტთა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაციონალური გამოყენებისათვის და ახორციელებს ღონისძიებებს გაერთიანების მუდმივი კადრების შექმნის მიზნით.

101. გაერთიანება განუწყვეტლივ სრულყოფს თავის სტრუქტურას, ამასთან აღწევს წარმოების მართვის ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას მართ-

ვის ოპტიმალური სქემების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რიცხოვნობის ნორმატივების, ამ საქმეში საუკეთესო მაჩვენებლების მქონე გაერთიანებათა გამოცდილების გამოყენების, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის, საინჟინრო-ტექნიკურ და მმართველობით სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საფუძველზე.

102. გაერთიანება ახორციელებს და განუწყვეტლივ სრულყოფს შრომის ორგანიზაციას, ხელს უწყობს შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების დანერგვას, განუხრელად ამაღლებს მისი ნორმირების დონეს; სისტემატურად ატარებს შრომის მოქმედი ნორმებისა და ნორმატივების შემოწმებას, დადგენილი წესით ნერგავს დროის, მომსახურების დარგთაშორის დარგობრივ ნორმებს და გამოყენებისათვის სავალდებულო სხვა ნორმატივებს, ქმნის მაღალნაყოფიერი შრომისათვის საჭირო პირობებს, ამასთან აღწევს შრომის ნაყოფიერების (გამომუშავების) განუწყვეტელ ზრდას, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესებისა და ნორმების დაცვას, ახორციელებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს შრომის დისციპლინის დაცვას.

გაერთიანების კოლექტივის თითოეულმა წევრმა მკაცრად უნდა დაიცვას შრომის შინაგანაწესი.

103. გაერთიანება ახორციელებს ღონისძიებებს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მუშაკთა მატერიალური დინტერესება როგორც მათი პირადი შრომის შედეგებით, ისევე საწარმოო ერთეულებისა და მთლიანად გაერთიანების მუშაობის საერთო შედეგებით, უზრუნველყოფს სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების (გამომუშავების) ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის, ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას, აგრეთვე დროულად ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურეებთან.

104. გაერთიანება ქმნის უშუალოდ წარმოებაში კადრების სწავლებისათვის საჭირო სასწავლო-მატერიალურ ბაზას და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების გათვალისწინებით მუშათა ახალი კადრების მომზადებას, მუშებისათვის ახალი პროფესიების სწავლებას და მუშაკთა საწარმოო კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებას. ამ მიზნით: ინდივიდუალური და ბრიგადული მოწაფეობის გარდა, გაერთიანებაში ეწყობა საწარმოო-ტექნიკური კურსები, შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელი სკოლები.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოსწავლე მუშაკებს გაერთიანება უქმნის მუშაობასთან ერთად სწავლისათვის საჭირო პირობებს და აძლევს მათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს.

105. გაერთიანება ყოველმხრივ უწყობს ხელს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სასწავლო-საწარმოო კომბინატს, რომლებშიც სწავლობენ გაერთიანების მუშაკები; უზრუნველყოფს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლე-

ბის მოსწავლეობა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეობა საწარმოო სწავლებისათვის საჭირო პირობებს; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციის უწყევს და ახორციელებს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირებას, აძლევს უმაღლეს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს სამუშაო ადგილებსა და თანამდებობებს საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტთა (მოსწავლეობა) მიერ დასაკავებლად.

106. გაერთიანება და საწარმოო ერთეულები მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის წახალისებთან მოქმედი კანონმდებლობისა და სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად.

მუშაობაში მიღწევებისა და ინიციატივის გამოჩენისათვის გაერთიანების მუშათა და მოსამსახურეთა მიმართ გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიებანი.

სამეურნეო მშენებლობის დარგში განსაკუთრებით თვალსაჩინო ნოვატორული საქმიანობისა და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის გაერთიანების მუშები და მოსამსახურეები წარდგენილი იქნებიან დადგენილი წესით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად, საპატიო წოდებებისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად.

107. გაერთიანება უზრუნველყოფს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურ გაუმჯობესებას, ორგანიზაციის უწყევს საცხოვრებელი სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, ხელს უწყობს კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას.

108. გაერთიანება:

ა) აწესებს შრომის სანარდო, დროებრივ ან აკორდულ ანაზღაურებას მუშათა ცალკეული ჯგუფებისათვის, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის: საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გადიდებით გაერთიანების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების, შეკვეთების შესრულების ხარისხისა და მოსახლეობის მომსახურების კულტურის გაუმჯობესების მიზნით გადაჰყავს დადგენილი წესით ცალკეული მუშაკები ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურებაზე;

ბ) საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით გაერთიანების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების, შრომის ნაყოფიერების (გამომუშავების) ზრდის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე წარმოების ეფექტიანობისა და რენტაბელობის ამაღლების მიზნით შეიმუშავებს და ამტკიცებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დებულებას მთლიანად გაერთიანების მასშტაბით პრემირების შესახებ. ამასთან საწარმოო ერთეულების (მთავარი ერთეულის გარდა) ხელმძღვანელ მუშაკთა, აგრეთვე მთავარი საწარმოო ერთეულის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა

და მოსამსახურეთა პრემიების მაჩვენებლებს, პირობებსა და ოდენობას აწესებს გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი). სხვა საწარმოო ერთეულების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემიების მაჩვენებლებს, პირობებსა და ოდენობას აწესებენ ამ საწარმოო ერთეულთა ხელმძღვანელები გაერთიანების მუშაკთა პრემიების დებულების შესაბამისად და ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი;

ვ) შეიმუშავებს და ამტკიცებს დებულებას ზოლიანად გაერთიანების მიხედვით მუშაობის წლიური შედეგებისათვის ჯილდოს გაცემის შესახებ, რომლის საფუძველზე საწარმოო ერთეულთა ხელმძღვანელები ამტკიცებენ ამ ერთეულების მუშაკთათვის ჯილდოს მიცემის წესსა და პირობებს;

დ) განსაზღვრავს იმ მუშათა პროფესიების ნუსხას, რომლებისთვისაც შრომის დროებრივი ანაზღაურების პირობებში გამოიყენება მენარდეთა სატარიფო განაკვეთები, აგრეთვე იმ მუშათა ცალკეული პროფესიების ნუსხას, რომლებსაც უწესდებათ სატარიფო განაკვეთების ნაცვლად თეორიული სარგოები დადგენილი წესით დამტკიცებული ნუსხების შესაბამისად. დროებრივი მუშებისათვის მენარდე მუშათა სატარიფო განაკვეთები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ შრომითი დანახარჯების დარგობრივი და სხვა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების (ნორმირებული დავალებების, მომსახურების ნორმებისა და რიცხოვნობის ნორმატივების) მიხედვით;

ე) განსაზღვრავს მუშათა პროფესიებისა და იმ სამუშაოთა ნუსხებს, რომლებიც ნაზღაურდება გადიდებული სატარიფო განაკვეთების მიხედვით შრომის მძიმე, მავნე, განსაკუთრებით მძიმე და განსაკუთრებით მავნე პირობებთან დაკავშირებით, წარმოების დარგების მიხედვით ამ პროფესიათა და სამუშაოთა მოქმედი ტიპობრივი ნუსხების შესაბამისად;

ვ) აწესებს სამუშაოთა თანრიგებს და აკუთვნებს მუშებს თანრიგებს ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად;

ზ) აწესებს თანამდებობრივ მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და ტექნიკურ შემსრულებელთა მიმართ მოსამსახურეთა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად და დადგენილი წესით ატარებს გაერთიანების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციას. საჭირო შემთხვევებში საკვალიფიკაციო ცნობარის საფუძველზე შეიმუშავებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ცალკეული კატეგორიებისათვის;

თ) მიაკუთვნებს საწარმოო ერთეულებს, აგრეთვე საწარმოო ერთეულთა საამქროებს, უბნებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესაბამის ჯგუფს (კატეგორიას), აგრეთვე გადაიყვანს ერთი ჯგუფიდან (კატეგორიიდან) მეორეში გაწეული მომსახურებისა და წარმოების მოცულობის ცვლილებასთან დაკავშირებით, ამასთან ხელმძღვანელობს დადგენილი წესით დამტკიცებული შრომის ანაზღაურების ჯგუფებისათვის (კატეგორიებისათვის) მიკუთვნების მაჩვენებლებით (განსაკუთრებული შემთხვევების გარდა);

ი) უწესებს მუშაკებს, რომელთა სამუშაო დღე არანორმირებულია, დამატებითი შვებულების ხანგრძლივობას შრომის კანონმდებლობის და დადგენილი წესით დამტკიცებული არანორმირებული სამუშაო დღის პირობებში დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობების ნუსხის შესაბამისად;

კ) აწესებს ცალკეული საწარმოო ერთეულების ან ქვედანაყოფების მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის შეჯამებულ აღრიცხვას, სადაც წარმოების (მუშაობის) პირობების მიხედვით შეუძლებელია მუშა-მოსამსახურეთა მოცემული კატეგორიისათვის დამტკიცებული ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა;

ლ) დადგენილი წესით ამტკიცებს ახალ და გადასინჯავს მოქმედ გამო-მუშავების ნორმებს, მომსახურების ნორმებს, მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივებსა და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივებს, ამასთან აღიდებს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ხვედრითს წონას;

მ) ამტკიცებს იმ წარმოებათა ნუსხას, რომლებშიც მუშაობის ხასიათის მიხედვით არ შეიძლება მუშაკებს დაუწესდეთ შემოკლებული სამუშაო დღე დასვენებისწინა (6-დღიანი სამუშაო კვირის პირობებში) და დღესასწაულისწინა დღეებში, არამედ უნდა მიეცეთ დამატებითი დასვენების დღე ზედმეტად ნამუშევარი საათების დაგროვების კვალობაზე.

ამ პუნქტის „ა“ — „მ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი), ხოლო „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელი, გაერთიანების (საწარმოო ერთეულის) ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის ფარგლებში და შესაბამის პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით;

ნ) აწესებს შესაბამის პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით დამტკიცებული დარგობრივი ნორმების საფუძველზე სამუშაოთა და პროფესიათა ნუსხებს, რომლებიც უფლებას აძლევს მუშა-მოსამსახურეებს უფასოდ მიიღონ სპეცტანსაკმელო, სპეცფეხსაკმელო და მცველი სამარჯვები, აგრეთვე სამუშაოთა და პროფესიათა ნუსხებს, რომლებიც უფლებას აძლევს მუშა-მოსამსახურეებს მიიღონ რძე შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით, აგრეთვე სპეცსაპონი.

109. გაერთიანებას შესაბამის პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია ნორმების გადასინჯვისას და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დაწესების საფუძველზე გამოიყენოს ამასთან დაკავშირებით დაზოგილი სახსრების ნაწილი მუშათა შრომის დამატებითი ანაზღაურებისათვის გამოიმუშავების ახალი ნორმებისა და მომსახურების ნორმების ათვისების პერიოდში 3-6 თვის განმავლობაში. ამ დაზოგილი სახსრების ხარჯზე შეიძლება აგრეთვე პრემიები მიეცეთ საწარმოო უბნების ოსტატებსა და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ აღნიშნულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და დაწესებაში.

110. გაერთიანებას, რომელიც საწარმოო (სამრეწველო) სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს მოსახლეობას, უფლება აქვს დაწესებულ

ნორმატივთან ან გეგმის ფაქტიური შესრულებისათვის დადგენილი წესით გადანაგარიშებული ხელფასის საგეგმო ფონდთან შედარებით დაზოგილი ხელფასის ფონდის ხარჯზე მისცეს სარგოს დანამატები ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და, უწინარეს ყოვლისა, ოსტატებს, აგრეთვე მოსამსახურეებს მაღალი კვალიფიკაციისათვის 30 პროცენტამდე, ხოლო კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგებს — 50 პროცენტამდე ოდენობით გაერთიანების ხელფასის ფონდის ერთ პროცენტამდე ფარგლებში.

გაერთიანებებში, რომლებიც არასაწარმოო სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, ეს დანამატები შეიძლება დაუწესდეთ მაღალკვალიფიციურ ოსტატებსა და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით გაერთიანების ხელფასის საგეგმო ფონდის 0,3 პროცენტის ფარგლებში და მისი ეკონომიის ხარჯზე.

სამსტატო განრიგით საშუალო ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას აღნიშნული დანამატები მხედველობაში არ მიიღება, ხოლო მუშაობის მაჩვენებლების გაუარესებისას უქმდება.

111. გაერთიანებას უფლება აქვს პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით:

ა) ნება დართოს დადგენილი წესით პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება, მომსახურების ზონების გაფართოება ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდება;

ბ) დაუწესოს დანამატი სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით საამქროთა უფროსებსა და მათს მოადგილეებს, ცვლების (უბნების) უფროსებს, უფროს ოსტატებსა და უშუალოდ საამქროებში მომუშავე სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც შემუშავებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად უზრუნველყვეს მომსახურებულ უბნებზე პერსონალის რიცხოვნობის შემცირების შედეგად შრომის ნაყოფიერების (გამომუშავების) ამაღლება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით. ამასთან გაერთიანებისათვის დაწესებული მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებანი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ნებართვით დიდდება ზემოაღნიშნული დანამატის თანხით. შრომის ნაყოფიერების (გამომუშავების) მიღწეული ღონის შემცირების ან პერსონალის რიცხოვნობის გადიდების დროს (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გამოწვეულია ბუნებრივი და სამთო-გეოლოგიური პირობების ცვლილებით) სარგოების დანამატები შეიძლება შემცირდეს ან გაუქმდეს;

გ) მისცეს ერთდროული ჯილდო მუშებს, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაკთა რიცხოვნობის შემცირებას გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით და შრომის ნაყოფიერების (გამომუშავების) ამაღლებას. ჯილდოს ოდენობა წესდება შრომის ნაყოფიერების (გამომუშავების) ამაღლების მიღწეული ღონისა და აღნიშნულ ღონისძიებათა დანერგვის შედეგად ფაქტიურად დაზოგილი ხელფასის ფონდის შესაბამისად.

ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული დანამატები და ჯილდოები გაიცემა დაგროვილი და დარგობრივი რიცხოვნობის ნორმა-

ტივებთან, მომსახურების ნორმებთან და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივებთან შედარებით მუშაკთა რიცხვნობის განთავისუფლების შედეგად დაზოგილი ხელფასის ფონდის ხარჯზე;

დ) მისცეს დადგენილი წესით დროებრივ მუშებსა და უმცროს მომსახურე პერსონალს დანამატი ძირითად სამუშაოსთან ერთად ამავე კატეგორიების პერსონალის დროებით არმყოფი მუშაკების მოვალეობათა შესრულებისათვის;

ე) მისცეს დაზოგილი ხელფასის ფონდის ხარჯზე განსაკუთრებით პასუხსაგები სამუშაოებით დასაქმებულ კვალიფიციულ მუშებს მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის — ეტაპობრივ (საწარმოში მუშაობის უწყვეტი სტაჟის გათვალისწინებით) მიკუთვნებული თანრიგის სატარიფო განაკვეთის 4, 8 და 12 პროცენტის ოდენობით თანრიგთაშორისი სხვაობის ფარგლებში, თუ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული არ არის სხვა წესი;

ვ) დაუწესოს ბრიგადირებს ძირითადი სამუშაოსაგან გაუთავისუფლებელ მუშაოა რიცხვიდან დანამატი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და ოდენობით ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის იმ პირობით, თუ ბრიგადა შეასრულებს დაწესებულ თვიურ ნორმირებულ დავალებებს.

112. გაერთიანებას შეუძლია შეუწარმოოს ცალკეულ შემთხვევებში გაერთიანების კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ახალ-მოქმედებულ საწარმოო ერთეულებში ან საამქროებში გადაყვანისას საშუალო ხელფასი წარმოების ათვისების პერიოდში, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, თუ ახალ სამუშაო ადგილზე ხელფასი წინანდელ სამუშაო ადგილზე მიღებულ გამომუშაებაზე ნაკლებია.

113. გაერთიანებას შეუძლია წინა კვარტალებსა და თვეებში დაზოგილი ხელფასის ფონდი, გეგმის შესრულების პროცენტის შესაბამისად გადაანგარიშებული (მოქმედი ნორმატივების გათვალისწინებით), გამოიყენოს ხელფასისა და პრემიების გასაცემად იმავე წლის მომდევნო კვარტალებსა და თვეებში.

ხელფასის ფონდის გადახარჯვა უნდა ანაზღაურდეს ერთი-ორი კვარტალის განმავლობაში. გაერთიანების მიერ გადახარჯული ხელფასის ფონდის შეუვსებელი ნაწილი ირიცხება მასზე წლის განმავლობაში გადახარჯვის წარმოქმნის მომენტიდან. გაერთიანების ხელმძღვანელ მუშაკთათვის დარიცხული პრემიები მთლიანად გაერთიანების ხაზით ხელფასის ფონდის შედარებითი გადახარჯვისას მკირდება დაშვებული გადახარჯვის თანხით, მაგრამ არა უმეტეს დარიცხული პრემიების 50 პროცენტისა, გადახარჯვის ანაზღაურებამდე. თუ გაერთიანება 6 თვემდე პერიოდში ანაზღაურებს გადახარჯულ ხელფასის ფონდს, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ პრემიის იმ ნაწილის 50 პროცენტი, რომელიც არ მისცემიათ წინა პერიოდებში ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით.

ხელფასის ფონდის გადახარჯვისას ასეთივე წესით მიეცემათ პრემიები საწარმოო ერთეულებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ მუშაკებს. ამასთან ხელფასის ფონდის გადახარჯვა აღირიცხება მხოლოდ შესაბამის ერთეულებში (ქვედანაყოფში).

თუ მთლიანად გაერთიანებას არა აქვს ხელფასის ფონდის გადახარჯვა, შეუძლია ჩამოსწეროს ხელფასის ფონდის აუნაზღაურებელი გადახარჯვა განვლილი პერიოდისათვის, რაც აქვთ ცალკეულ საწარმოო ერთეულებს.

თუ მთლიანად გაერთიანებას აქვს ხელფასის ფონდის ეკონომია, მას ნება ეძლევა მისცეს პრემიები სრული მოცულობით აგრეთვე იმ საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა, მაგრამ არ აუნაზღაურებიათ წინა პერიოდში დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა.

საწარმოო ერთეულის ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ დაშვებული ხელფასის ფონდის აუნაზღაურებელი გადახარჯვის ჩამოსწერის და მთლიანად საწარმოო ერთეულში ხელფასის ფონდის ეკონომიის პირობებში ხელმძღვანელ მუშაკათვის პრემიების მიცემის წესს განსაზღვრავს გენერალური დირექტორი (დირექტორი).

114. გაერთიანება ხელფასის საერთო ფონდის, მმართველობის აპარატის შენახვის ასიგნებათა, მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტის ფარგლებში და გაერთიანების წესდებით გათვალისწინებული საწარმოო ერთეულების ნუსხის შესაბამისად შეიმუშავებს გაერთიანების სტრუქტურასა და შტატებს ტიპობრივი სტრუქტურების, შტატებისა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რიცხოვნობის ნორმატივების მიხედვით. გაერთიანების სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს გენერალური დირექტორი (დირექტორი).

გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აწესებს და ცვლის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების სქემის შესაბამისად და თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო სარგოების მიხედვით გამოანგარიშებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საწარმოო ერთეულის დირექტორი (უფროსი) აწესებს და ცვლის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების სქემის შესაბამისად და საწარმოო ერთეულის ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებულია გენერალური დირექტორის (დირექტორის) მიერ დამტკიცებული მისი საშტატო რიცხოვნობით გათვალისწინებული საშუალო თანამდებობრივი სარგოების მიხედვით.

გენერალური დირექტორი (დირექტორი) ამტკიცებს გაერთიანების მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვას ზემდგომი ორგანოს მიერ დაწესებულ ასიგნებათა ფარგლებში.

გენერალური დირექტორის (დირექტორის) მიერ დამტკიცებული შტატები, სარგოები და მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვა საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

115. გენერალური დირექტორის (დირექტორის) შეუძლია ნება დართოს გაერთიანების მუშაკებს მივლინებით წავიდნენ გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ ფაბრიკებში, ქარხნებში, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და სხვა საწარმოო ერთეულებში, დამოუკიდებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ში, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად — სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

116. გაერთიანებას შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში მისცეს ცალკეულ მუშაკებს დაუგეგმავი ავანსი ხელფასის ანგარიშში არა უმეტეს ერთი თვის გამომუშაების ოდენობით.

117. გაერთიანებას უფლება აქვს გაგზავნოს მოწინავე მუშები და მოსამსახურეები მათი სურვილით სასწავლებლად უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში და გადაუხადოს მათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადიდებული სტიპენდიები იმ პირობით, თუ ეს მუშაკები იკისრებენ ვალდებულებას სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დაუბრუნდნენ გაერთიანებას, რომელმაც გაგზავნა ისინი სასწავლებელში. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად გასაგზავნ პირთა კანდიდატურებს მათთვის გადიდებული სტიპენდიების დანიშვნით წამოაყენებს აღმინისტრაცია გაერთიანების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად და დაამტკიცებს გაერთიანების შრომითი კოლექტივი.

118. ოჯახური მდგომარეობისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გაერთიანებას შეუძლია მისცეს მუშაკებს მათი თხოვნით ხანმოკლე უხელფასო შევებულება.

119. 108-ე პუნქტის „ა“, „ვ“ და „ლ“ ქვეპუნქტებში, 111-ე პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში, 116-ე და 118-ე პუნქტებში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება საწარმოო ერთეულს შეუძლია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით გენერალური დირექტორის (დირექტორის) მიერ დადგენილი წესით.

უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში

120. გაერთიანება ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს მუშაობას ფინანსების დაგეგმვისათვის, შეიმუშავეს და ახორციელებს საფინანსო გეგმის დავალებათა შესრულების, სამეურნეო ანგარიშის, საგეგმო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების, რენტაბელობის ამაღლების ღონისძიებებს, უზრუნველყოფს საბრუნავი სასრების დაცვა-შენარჩუნებას, მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას, მათი ბრუნვადობის დაჩქარებას, ზემდგომი ორგანოს მიერ დაწესებულ ბიუჯეტის გადასახდელთა წლიურ და კვარტალურ დავალებათა შესრულებას, ბანკებთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარებთან, ზემდგომ ორგანიზაციასთან, ხელფასის ხაზით მუშა-მოსამსახურეებთან დროულ ანგარიშსწორებას და საფინანსო გეგმიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა განხორციელებას.

საფინანსო გეგმის შემუშავებისას გაერთიანება უზრუნველყოფს შინაგანი რეზერვების მაქსიმალურ მობილიზაციას, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებას და ამის საფუძველზე დაგროვების გადიდებას.

121. ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან და მყიდველებთან, მოიჯარებთან, ზემდგომ ორგანიზაციასთან ანგარიშსწორება, საკრედიტო ურთიერთობა, აგ-

რთვე ბანკების კონტროლი ხელფასის ფონდის ხარჯვისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი ხორციელდება მთლიანად გაერთიანების მასშტაბით, მიუხედავად მისი საწარმოო ერთეულების ადგილსამყოფელისა.

საწარმოო ერთეული, რომელსაც აქვს მიმდინარე ანგარიში სსრ კავშირის სახბანკოს დაწესებულებაში და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიში სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებაში, მიმწოდებლებს, მყიდველებსა და საიჯარო ორგანიზაციებს ანგარიშს უსწორებს შესაბამისად სსრ კავშირის სახბანკოსა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დადგენილი წესით.

გაერთიანებებში, რომლებსაც ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით, მოგების გადასახდელთა ხაზით ბიუჯეტს ანგარიშს უსწორებენ თვით საწარმოები ან ორგანიზაციები, ანდა გაერთიანება ცენტრალიზებულად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ იმ სამინისტროსთან (უწყებასთან) შეთანხმებით დადგენილი წესით, რომლის სისტემაშიც შედის გაერთიანება.

122. გაერთიანება ხსნის დადგენილი წესით ბანკების დაწესებულებებში ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს და ასრულებს მათ გამო შესაბამის ოპერაციებს.

123. გაერთიანებას შეუძლია ისარგებლოს ბანკის კრედიტით და ეკისრება პასუხისმგებლობა მისი მიზნობრივი გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისათვის.

განაცხადებს გაერთიანებისათვის საჭირო კრედიტებზე იგი დადგენილი წესით წარუდგენს სსრ კავშირის სახბანკოსა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებს, აგრეთვე ზემდგომ ორგანოს.

124. გაერთიანება განსაზღვრავს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებს ელემენტების მიხედვით საერთო ნორმატივის ფარგლებში, აგრეთვე უწესებს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებს საწარმოო ერთეულებს.

125. გაერთიანება შეავსებს არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობას, რაც წარმოიქმნა მოგების გეგმის შეუსრულებლობის ან მოგებით დაფინანსებული სახსრების ზეგეგმითი ხარჯვის შედეგად, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით დამატებითი მოგების მისაღებად ზემდგომი ორგანოს მიერ დაწესებულ დევალებათა შესრულების ხარჯზე, აგრეთვე დადგენილი წესით ამ მიზნისათვის განკუთვნილი ზეგეგმითი მოგების ნაწილის და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების 30 პროცენტამდე ოდენობით შემცირების ხარჯზე.

ცალკეულ საწარმოო ერთეულებში მოგების გეგმის შეუსრულებლობის ან მოგებით დაფინანსებული სახსრების ზეგეგმითი ხარჯვის შედეგად წარმოქმნილი საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების წესს (მთლიანად გაერთიანებისათვის დაწესებული საბრუნავი სახსრების საერთო ნორმატივის შენარჩუნების პირობებში) განსაზღვრავს გაერთიანება იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ნაკლებობა უნდა შეივსოს პირველ რიგში იმ საწარმოო ერთეულის ხარჯზე, სადაც იგი წარმოიქმნა, მათ შორის საწარმოო ერთეუ-

ლისათვის გამოყოფილი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ოდენობის 30 პროცენტამდე ფარგლებში შემცირების ხარჯზე.

126. გაერთიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს გასაწვევი მომსახურების ფასებს (ტარიფებს) ან შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით ფასების (ტარიფების) პროექტებს და ეკისრება პასუხისმგებლობა ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის.

127. გაერთიანება შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებში სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებსა და შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გაწეული დანახარჯების ანაზღაურების გაანგარიშებას:

— ახალი ტექნიკის, ახალი მასალების შექმნა და დანერგვა, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მოწყობილობის მოდერნიზაცია, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება, საწარმოო პროცესთა რაციონალიზაცია და ინტენსიფიკაცია;

— საყოფაცხოვრებო მომსახურების წარმოების ორგანიზაცია და გაფართოება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ახალი ფორმების დანერგვა და კულტურის ამოღება.

ზემოაღნიშნულ გაანგარიშებებს ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი).

128. გაერთიანებას უფლება აქვს ჩამოსწეროს ბალანსიდან მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ინსტრუმენტი, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და არ შეიძლება მისი რეალიზაცია.

გაერთიანებას აგრეთვე უფლება აქვს ჩამოსწეროს ბალანსიდან ახალი ობიექტების მშენებლობასთან ან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აღებული, ასევე დაძველებული შენობა-ნაგებობანი.

მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი სატრანსპორტო საშუალებანი და მოწყობილობა, რომლის ერთეულის საბალანსო ღირებულება ათას მანეთს აღემატება, ჩამოიწერება გაერთიანების მიმართ ზემდგომი ორგანოს ნებართვით. ათას მანეთამდე საბალანსო ღირებულების დეფიციტური მოწყობილობა ჩამოიწერება ასეთივე წესით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის თანახმად.

129. გაერთიანებას უფლება აქვს, ზემდგომი ორგანოსათვის შეტყობინებით, ზარალად ჩამოსწეროს:

— დებიტორული დავალიანება, რომლის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასულია;

— მისჯილი ვალი, რომლის გამო აღმასრულებელი დოკუმენტებ. დაბრუნდა სასამართლოს მიერ დამტკიცებული აქტით იმის შესახებ, რომ მოპასუხე ვალაუვალია და არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება მის ქონებაზე;

— სხვა ვალი, რომლის მიღება გაერთიანებამ უიმედოდ ცნო.

130. გაერთიანებას უფლება აქვს, ზემდგომი ორგანოსათვის შეტყობინებით, ჩამოსწეროს თავისი ბალანსიდან ყოველ ცალკეულ შემთხვევებში 100 მანეთამდე ფარგლებში:

— ფასეულობათა დანაკლისი ზარალის ნორმების გადამეტებით, შემკვეთთა მიზეზით საქონლის, მასალებისა და პროდუქციის გაფუჭების შედეგად გამოწვეული დანაკარგები, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა კონკრეტული დამნაშავენი დადგენილი არ არიან;

— სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისით გამოწვეული ვალი, რომლის გადახდევინებაზე სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო;

— ჩამოათვისოს და ჩამოსწეროს გასაჭირავებელი საგნები, რომლებიც მოსახლეობის მოთხოვნით არ სარგებლობს, აგრეთვე მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი საგნები დაწესებულ ნორმატივის თანხების ფარგლებში.

131. ამ დებულების 129-ე და 130-ე პუნქტებით გათვალისწინებული ზარალი გაერთიანების ბალანსიდან შეიძლება ჩამოიწეროს მხოლოდ ზარალის მიზეზების საგულდაგულო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, შემოწმების, ამ საქმეში დამნაშავე პირთა გამოვლენის და ზარალთან დაკავშირებით დაკარგული თანხების გადასახდევინებლად მათ მიმართ საჭირო ზომების მიღების შემდეგ.

132. გაერთიანება შეიძლება ამტკიცებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის შემოსავლის გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს, პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის უფასო სარგებლობაში გადაცემული შენობების, სადგომების, ნაგებობების, ბაღების, პარკების, პიონერთა ბანაკების სამეურნეო მოვლა-შენახვის ხარჯთაღრიცხვებს.

133. გაერთიანება აწარმოებს საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, დადგენილი წესით შეადგენს და წარუდგენს შესაბამის ორგანოებს ანგარიშგებას გაერთიანების ყოველგვარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ დამტკიცებული ფორმების მიხედვით და დაწესებულ ვადებში და ეკისრება პასუხისმგებლობა მისი უტყუარობისათვის; ახორციელებს სააღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა ცენტრალიზაციასა და მექანიზაციას, ნერგავს აღრიცხვის პროგრესულ მეთოდებს.

გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვა რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო ერთეულები, უზრუნველყოფს სტატისტიკურ ორგანოებში ანგარიშგების წარდგენას თითოეული საწარმოო ერთეულის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დადგენილი წესით.

134. გაერთიანებაში იქმნება გაერთიანებული არქივი ყველა საწარმოო ერთეულის დოკუმენტების შესანახად. გაერთიანების ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ განლაგებულ საწარმოო ერთეულებში შეიძლება შეიქმნას არქივები, რომლებიც უშუალოდ მათ მოემსახურებიან.

გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

135. გაერთიანების რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა და გამოყოფა) და ლიკვიდაცია ხდება იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი გაერთიანება.

136. სხვა გაერთიანებასთან (საწარმოსთან, ორგანიზაციასთან) გაერთიანების შეერთების შემთხვევაში თითოეული მათგანის ყველა ქონებრივი უფლება და მოვალეობა გადაეცემა შეერთების შედეგად წარმოქმნილ გაერთიანებას.

გაერთიანებასთან სხვა გაერთიანების (საწარმოს, ორგანიზაციის) მიერთების შემთხვევაში მას გადაეცემა მიერთებული გაერთიანების (საწარმოს, ორგანიზაციის) ყველა ქონებრივი უფლება და მოვალეობა.

გაერთიანებისაგან ახალი გაერთიანების (საწარმოს, ორგანიზაციის) გამოყოფის შემთხვევაში მას გადაეცემა განაწილების აქტით, შესაბამისი ნაწილების მიხედვით, რეორგანიზებული გაერთიანების ქონებრივი უფლებები და მოვალეობანი.

137. გაერთიანების ლიკვიდაციის წესსა და ვადას განსაზღვრავს ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ, იმავე ორგანომ, სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად, უნდა გადაწყვიტოს საკითხი დადებულ ხელშეკრულებათა აღსრულების წესის შესახებ.

სალიკვიდაციო გაერთიანების მიმართ კრედიტორთა მიერ პრეტენზიების განცხადების ვადას განსაზღვრავს ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ, მაგარმ არ შეიძლება ერთ თვეზე ნაკლები იყოს.

138. გაერთიანების ლიკვიდაცია ხორციელდება ან სალიკვიდაციო კომისიის მიერ, რომელსაც ნიშნავს ზემდგომი ორგანო, ანდა ამ ორგანოს დავალებით სალიკვიდაციო გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი).

139. სალიკვიდაციო კომისია, ან საჭირო შემთხვევებში სალიკვიდაციო გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი), აქვეყნებს ოფიციალურ საოლქო, რესპუბლიკური პრესის ორგანოში გაერთიანების ადგილსამყოფელის მიხედვით ცნობას გაერთიანების ლიკვიდაციისა და კრედიტორთა მიერ პრეტენზიების განცხადების ვადის შესახებ. მიუხედავად ამისა, სალიკვიდაციო კომისია ან სალიკვიდაციო გაერთიანების გენერალური დირექტორი (დირექტორი) მოვალენი არიან მათ ხელთ არსებული მასალების მიხედვით გამოავლინონ გაერთიანების კრედიტორთა ყველა პრეტენზია და შეატყობინონ მათ გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ.

სალიკვიდაციო გაერთიანებისადმი წაყენებული პრეტენზიები კმაყოფილდება მისი ქონებით, რომელზეც კანონის შესაბამისად შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

კრედიტორთა მიერ პრეტენზიების წაყენებისათვის დაწესებული ვადის ვასკლის შემდეგ გამოვლენილი ან გამოთქმული პრეტენზიები კმაყოფილდება

გამოვლენილი პრეტენზიების, აგრეთვე დაწესებულ ვადაში წაყენებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ წარმოქმნილი ზემოაღნიშნული ქონების ნაშთის ხარჯზე.

ლიკვიდაციის ვადის განმავლობაში გამოუვლენელი და წაუყენებელი პრეტენზიები, აგრეთვე სალიკვიდაციო გაერთიანების ქონების ნაკლებობის გამო დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები დაფარულად ითვლება. ასევე მთლიანად ან შესაბამისი ნაწილით დაფარულად ითვლება პრეტენზიები, რომლებიც არ სცნო სალიკვიდაციო კომისიამ (სალიკვიდაციო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა, დირექტორმა), თუ კრედიტორები პრეტენზიების მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში არ წარუდგენენ სარჩელს პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად.

140. სალიკვიდაციო გაერთიანების მიერ დროებრივი გადასახდელები დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლის, ანდა სიკვდილის გამო უზრუნველყოფილი იქნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოქალაქეთა პრეტენზიები და სარჩელები ჯანმრთელობის მოშლასთან ან სიკვდილთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე ლიკვიდაციის დამთავრებამდე საპატიო მიზეზით წაუყენებელი სხვა პრეტენზიები და სარჩელები შემდგომ შეიძლება წარედგინოს საერთო წესით ლიკვიდირებული გაერთიანების მიმართ ზემდგომ ორგანოს. ამ ორგანოს შეუძლია მის მიერ ცნობილი ან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნის შესრულება დააკისროს თავის საქვეუწყებო გაერთიანებას (საწარმოს, ორგანიზაციას). რომელმაც მიიღო ლიკვიდირებული გაერთიანების ქონება.

141. გაერთიანებას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

საწარმოო ერთეულს აქვს ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

6 კოლმეურნეობაში, საპოტა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს განუზრეღ შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 23 ოქტომბრის № 1083 თანდართული დადგენილება „კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს უზრუნველყონ, რომ:

— დროულად დადონ ხელშეკრულებანი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენებისათვის და მუდმივი კონტროლი გაუწიონ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

— გამოუყონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც საწარმოო მომსახურებას უწევენ მათ, საჭირო მანქანები, მექანიზმები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჰოთანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 1083

1984 წლის 23 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებადი მიწების მაღალეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებადი მიწების გამოყენების გაუმჯობესების, ამ მიწებზე უხვი მოსავლის მიღების, სახელმწიფოს მიერ მიწების მელიორაციისათვის განკუთვნილ კაპიტალურ დაბანდებთა ანაზღაურების დაჩქარებისა და მელიორირებადი მიწების მაღალეფექტიანი გამოყენებისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებადი მიწები მარცვლეულის, ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად გამოიყენება ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომელთაც უდებენ ეს მეურნეობები იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც საწარმოო მომსახურებას უწევენ მათ.

დამტკიცდეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებადი მიწების მაღალეფექტიანი გამოყენებისათვის ტიპობრივი ხელშეკრულების თანდართული ძირითადი პირობები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაონ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებადი მიწების მაღალეფექტიანი გამოყენებისათვის ტიპობრივი ხელშეკრულება, აგრეთვე ამ ტიპობრივი ხელშეკრულების და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 7 ივლისის № 607 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული ტიპობრივი ხელშეკრულებების გამოყენების წესი, ამასთან მხედველობაში მიიღონ, რომ არ დაუშვან ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ორმაგი ქონებრივი პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა ერთი და იგივე დარღვევისათვის.

მელიორირებადი მიწების მაღალეფექტიანი გამოყენებისათვის დადებული ხელშეკრულება უნდა გატარდეს რეგისტრაციაში რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში.

2. დაევალთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო საბჭოების აღმასკომებს, საოლქო საბჭოების აღმასკომებსა და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს უზრუნველყონ, რომ:

დროულად დადონ ხელშეკრულებანი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებული მიწების მალაღებექტიანი გამოყენებისათვის და მუდმივი კონტროლი გაუწიონ სახელმეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

გამოუყონ კოლმეურნეობებს; საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, სოფლტექნიკის გაერთიანებებს (განყოფილებებს), სოფლქიმიის საწარმოებს, (ორგანიზაციებს), წყალსამეურნეო სარემონტო-სამშენებლო და საექსპლუატაციო საწარმოებს (ორგანიზაციებს) მელიორირებული მიწების მალაღებექტიანი გამოყენებისათვის ხელშეკრულებებში გათვალისწინებული პროდუქციის მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მიღებისათვის საჭირო რაოდენობის ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სატრანსპორტო საშუალებანი, მინერალური სასუქები, პესტიციდები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, აგრეთვე საშენი მასალები სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის.

3. დაწესდეს, რომ თუ მელიორირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოწეული მოსავალი იმაზე ნაკლები არ იქნება, რაც გათვალისწინებულია სამელიორაციო სისტემების მშენებლობის პროექტებით, და თუ შესრულდება სახელმეკრულებო ვალდებულებანი, შესაბამისი მეურნეობების, ბრგადების (საამქროების, განყოფილებების, რკოლების) ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, აგრეთვე რაიონისაგან სოფლის მეურნეობის სამმართველოთა, წყალსამეურნეო სარემონტო-სამშენებლო და საექსპლუატაციო საწარმოთა (ორგანიზაციათა), სოფლტექნიკის გაერთიანებათა (განყოფილებათა) და სოფლქიმიის საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს (მელიორირებულ მიწებზე საპროექტო მოსავლიანობის მიღებისა და რაიონის ყველა მეურნეობაში სახელმეკრულებო ვალდებულებათა შესრულების შემთხვევაში) მიეცემათ პრემიები 4 თვემდე თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, მუშაობის სხვა მაჩვენებლების მიხედვით მიღებული პრემიების მიუხედავად.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით

შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნულ მუშაკთა პრემიების პირობები და წესი.

იმ პირებს, რომელთა მიზეზითაც არ შესრულდება მელიორირებული მიწების ეფექტიანი გამოყენებისათვის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებანი, ნაწილობრივ ან მთლიანად ჩამოერთმევათ პრემიები წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.

4. წყალსამეურნეო სარემონტო-სამშენებლო და საექსპლუატაციო საწარმოებს (ორგანიზაციებს), სოფლტექნიკის გაერთიანებებს (განყოფილებებს), სოფლქიმიის საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებმაც დაუდეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ხელშეკრულება მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენებისათვის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მატერიალური წახალისების ფონდის ანარიცხები შეუმცირდებათ.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობით განსაზღვრონ მატერიალური წახალისების ფონდის ანარიცხების შემცირების კონკრეტული ოდენობა.

5. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეიტანოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით მოქმედ სტატისტიკურ ანგარიშგებაში შესაბამისი მაჩვენებლები ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ტიხონოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სპირტიუკოვი**

დამტკიცებულია
 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984
 წლის 23 ოქტომბრის № 1063 დადგე-
 ნილებით

ძირითადი პირობები

ტიპობრივი ხელშეკრულებისა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მეღიორირებული მიწების მაღალ-ეფექტიანი გამოყენებისათვის

ხელშეკრულებებს მეღიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენებისათვის უდებენ კოლმეურნეობები. საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები* სოფლტექნიკის გაერთიანებებს (განყოფილებებს), სოფლქიმიის საწარმოებს (ორგანიზაციებს), წყალსამეურნეო საწარმოებს (ორგანიზაციებს), სარწყავი და დაშრობილი მიწების ათვისების დაჩქარებისა და ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების საპროექტო მოსავლიანობის მიღწევის მიზნით.

მეღიორირებული მიწების ეფექტიანი გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მიღებისათვის საჭირო ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მინერალურ სასუქებს, პესტიციდებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს მეურნეობებს დადგენილი წესით გამოუყოფენ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი, ხოლო იმ მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას ახორციელებენ მათი ზემდგომი ორგანიზაციები, — ეს ორგანიზაციები.

მხარეთა ვალდებულებანი

მეურნეობა ვალდებულია კისრულობს:

უზრუნველყოს თითოეული პექტარი მეღიორირებული მიწის მთლიანად და მაღალეფექტიანად გამოყენება;

მიუჩინოს მთელი მეღიორირებული მიწები მუდმივ ბრიგადებს (რგოლებს), მოაწიოს მათი მუშაობა კოლექტიური ბრიგადული იჯარის პრინციპებით.

შეიმუშაოს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის მიღების ტექნოლოგიური რუკები (პროგრამები);

სოფლქიმიის საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) ერთად დროულად შეიტანოს ორგანული და მინერალური სასუქები ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურაში იმ რაოდენობით (კვების ელემენტების მიხედვით ოპტიმალური თანაფარდობის გათვალისწინებით), რაც საჭიროა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მისაღებად;

დროულად შეასრულოს ტექნოლოგიური რუკებით (პროგრამებით) გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური სამუშაოების მთელი კომპლექსი;

* შემდგომში ეწოდება „მეურნეობები“.

ეკონომიურად გამოიყენოს წყლის რესურსები, მცენარეები მორწყვის რწყვის გრაფიკისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ დამტკიცებული წყალსარგებლობის გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოს ოპტიმალური წყლის რეჟიმი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, დროულად დააგროვოს ტენი ნიადაგში;

ორგანიზაცია გაუწიოს სარწყავი ტექნიკის მაღალნაყოფიერ მუშაობას ზუსტად დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, უზრუნველყოს მისი მომსახურება მემანქანეთა და ოპერატორთა კვალიფიციური კადრებით;

ცალკე აღრიცხოს მელიორირებულ მიწებზე მოწეული მოსავალი და ამ მიწებზე პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული მთელი ხარჯები, რათა უზრუნველყოს ბრიგადებისა და რგოლების მუშაობა სამეურნეო ანგარიშის პირობებით;

წყალსამეურნეო სარემონტო-სამშენებლო და საექსპლუატაციო საწარმო (ორგანიზაცია) კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს შინასამეურნეო სამელიორაციო ქსელის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა მთელი კომპლექსი, მუდამ წესიერულ მდგომარეობაში იქონიოს იგი, შეუფერხებლად ნიადაგს წყალი სარწყავი სისტემის მშენებლობის პროექტში გათვალისწინებული რაოდენობით, მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მელიორირებული მიწების მთელ ფართობზე ნიადაგის ოპტიმალური წყლის რეჟიმის უზრუნველსაყოფად. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ განახორციელოს ყველა სარწყავი და საშრობი სისტემის მთლიანი განოკვლევა და დაადგინოს მეურნეობასთან ერთად სარემონტო-საექსპლუატაციო სამუშაოთა საჭირო მოცულობანი. დადოს აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად სპეციალური ხელშეკრულება სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის შინასამეურნეო სამელიორაციო ქსელების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების მოქმედი ტიპობრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

რაიონული საწარმოო გაერთიანება „რწყვა“ კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დროული და ხარისხიანი რწყვა, შეასრულოს სხვა სამუშაოები სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის ტიპობრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

სოფლტექნიკის გაერთიანება (განყოფილება) კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს ტრაქტორების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სატუმბ-ძალური მოწყობილობის, დასაწვიმებელი მანქანების (გარდა მანქანებისა „ფრეგატი“ და „ყუბანი“) მიწოდება, აგრეთვე დროული და ხარისხიანი რემონტი და ტექნიკური მომსახურება სოფლტექნიკის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებისა და განყოფილებების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფ-

ლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო-ტექნიკური მომსახურების საშუალოთა შესრულების მოქმედი ტიპობრივი ხელშეკრულების შესაბამისად. სოფლქიმიის საწარმო (ორგანიზაცია) კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს სასუქების, პესტიციდებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიწოდება, აგრეთვე შეიტანოს სასუქები ნიადაგში და შეასრულოს სხვა აგროტექნიკური სამუშაოები საკუთარი ძალებითა და სახსრებით დამტკიცებული ტექნოლოგიური რუკებისა და ხარისხის და ვადების აგროტექნიკური მოთხოვნების მიხედვით სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებების, გაერთიანება „საკსოფლქიმიის“ სისტემის საწარმო-ორგანიზაციების მიერ კომეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების აგროქიმიური მომსახურების მოქმედი ტიპობრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

მხარეთა პასუხისმგებლობა

შინასამეურნეო სამელიორაციო ქსელის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის სამუშაოთა ვადის გადაცილებისათვის, დაბალი ხარისხისა და არასრული მოცულობით შესრულებისათვის, რამაც განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსავლიანობის მიუღებლობა, წყალსამეურნეო საწარმო (ორგანიზაცია) აუნაზღაურებს მეურნეობას დაკლებული პროდუქციის ღირებულებას, რაც გამოიანგარიშება სახელმწიფო შესასყიდ ფასებში.

სასუქების, პესტიციდებისა და სხვა ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების უკმარისობის ან მიწოდების ვადების გადაცილებისათვის, აგროქიმიური მომსახურების შესრულებულ სამუშაოთა დაბალი ხარისხისა და მათი განხორციელების დაწესებული ვადების დარღვევისათვის, რამაც განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსავლიანობის მიუღებლობა, სოფლქიმიის საწარმო (ორგანიზაცია) აუნაზღაურებს მეურნეობას დაკლებული პროდუქციის ღირებულებას, რაც გამოიანგარიშება სახელმწიფო შესასყიდ ფასებში.

მეურნეობის მიერ სამუშაოთა ცუდი ორგანიზაციისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის შეუსრულებლობისათვის, რამაც განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსავლიანობის მიუღებლობა, მეურნეობას შეაქვს ბანკში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალურ ანგარიშზე დაკლებული პროდუქციის ღირებულება, რაც გამოიანგარიშება სახელმწიფო შესასყიდ ფასებში.

იმ შემთხვევაში, როცა შინასამეურნეო სამელიორაციო სისტემა ნადრევად გამოვა მწყობრიდან მეურნეობათა, წყალსამეურნეო საექსპლუატაციო და სხვა საწარმოთა (ორგანიზაციათა) მიზეზით, მისი რემონტის ღირებულება ანაზღაურდება დამნაშავე მხარის ხარჯზე.

მეურნეობათა და საწარმოთა (ორგანიზაციათა) დანაშაულის ხარისხს განსაზღვრავს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ დანიშნული

კომისია, რომელიც ადგილზე ვასვლით შეადგენს შესაბამის აქტს. აქტებს განიხილავს და დაამტკიცებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება.

დაკლებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად ანგარიშსწორება ხორციელდება საგადასახდელო დავალებებით რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მიერ დამტკიცებული შესაბამისი აქტების მიხედვით.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალური ანგარიშის სახსრები გამოიყენება სარწყავი და დაშრობილი მიწების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, სამელიორაციო სისტემების ტექნიკური სრულყოფისა და იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომელთა გამოც ვერ იქნა მიღწეული საპროექტო მოსავლიანობა.

წყალსამეურნეო საწარმოების (ორგანიზაციების), სოფლტექნიკის გაერთიანებების (განყოფილებების), სოფლქიმიის საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ დაბალხარისხოვნად შესრულებულ სამუშაოებს მეურნეობები არ მიიღებენ და არ აანაზღაურებენ.

ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობა წელიწადში ორჯერ განიხილება მეურნეობათა საერთო კრებებზე (რწმუნებულთა კრებებზე) რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, წყალსამეურნეო საწარმოს (ორგანიზაციის), სოფლტექნიკის გაერთიანების (განყოფილების), სოფლქიმიის საწარმოს (ორგანიზაციის) წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ხელშეკრულების შესრულება სავალდებულოა ყველა ხელშემკერელი მხარისათვის.

ხელშეკრულებები დაიდება დასაგეგმი წლის წინა წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

შესაბამისი ხელშეკრულებანი მხარეთა ეკონომიკური პასუხისმგებლობისათვის დაიდება მეურნეობასა და სამეურნეოანგარიშიან ბრიგადას (რგოლს) შორის.

7 საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შ. მ. მშველიძის ხსოვნის უკვდავოვნის შესახებ

გამორჩენილი ქართველი კომპოზიტორის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების, ზაქარია ფალიაშვილისა და ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიების ლაურეატის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შალვა მიხეილის ძე მშველიძის ხსოვნის უკვდავოვნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა შ. მ. მშველიძე;

— მიაკუთვნოს შ. მ. მშველიძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

2. დაწესდეს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტის სტუდენტთათვის შ. მ. მშველიძის სახელობის ერთი სტიპენდია კონსერვატორიისათვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. მიეკუთვნოს ქალაქ რუსთავის სამუსიკო სასწავლებელს შ. მ. მშველიძის სახელი.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დახარჯოს 3 ათას მანეთამდე შ. მ. მშველიძის საფლავის კეთილმოსაწყობად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ზითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

8 საქართველოს სსრ ზოგადი გეგმის სახელმწიფო ინსპექციის დეპუტატის, ზოგადი გეგმით სარგებლობის სარგებლობის წესების დამტკიცებისა და აღნიშნული ინსპექციის მუშაობის პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ წყალსატევებზე მართლწესრიგის განმტკიცების, ზომამცირე გემებით სარგებლობის მოწესრიგების, ამ გემების ცურვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და „საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემებით სარგებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 მაისის № 361 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ, საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ტექნიკური ზედამხედველობის და ამ გემების მართვის უფლებაზე გემთმფლობელთა ატესტაციის წესები, საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის წესები.

2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მისცენ საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციასა და მის ქვედანაყოფებს სამსახურებრივი სადგომები მათი სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფით: ქალაქ თბილისში — 100 კვადრატული მეტრი, ქალაქ სოხუმში — 20 კვადრატული მეტრი, ქალაქ ბათუმში — 20 კვადრატული მეტრი, ხოლო ქალაქებში ფოთში, ქუთაისში, ლანჩხუთში, ზუგდიდში, მცხეთაში, გარდაბანში — სამუშაო ადგილები.

3. საქართველოს სსრ წყალმაშველმა საზოგადოებამ გადასცეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამსახურებრივი სადგომი, ქონება და ფულადი სახსრები 50 ათასი მანეთის ოდენობით.

4. დამტკიცდეს ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სტრუქტურა და მმართველობის მუშაკთა საშტატო რიცხოვნობა, № 1 დანართის თანახმად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაუდიდონ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა რიცხოვნობა ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციისათვის 11 საშტატო ერთეულით შესაბამისი ხელფასის ფონდითა და ზღვრული ასიგნებით, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჰითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ანვლიანი**

დადგენილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1985 წლის 25 იანვრის № 43 დადგე-
ნილებით

დეკლარაცია

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მთავარი ამოცანაა მეთვალყურეობა გაუწიოს სამეთვალყურეო გემების სწორ გამოყენებას მდინარეებზე, წყალსაცავებზე, სხვა წყალსატევებზე, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში და მათ სადგომ ბაზებს (ნაგებობებს), ამ გემების ცურვის უსაფრთხოების, წყალსატევებზე მართლწესრიგის განმტკიცების, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

2. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია თავის მოვალეობებს ახორციელებს: საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი თვითმავალი გემების, რომელთა მთავარი ძრავების სიმძლავრე 75 ცხენის ძალაზე ნაკლებია, და არათვითმავალი გემების, რომელთა ტევადობა 80 სარეგისტრო ტონაზე ნაკლებია (სამხედრო გემების, საზღვაო ფლოტის სამინისტროს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კუთვნილი საწარმოო მიზნებისათვის გათვალისწინებული გემების, აგრეთვე სასპორტო გემებისა და მეთევზეობის კოლმეურნეობათა კუთვნილი გემების გარდა), მოქალაქეთა კუთვნილი ძრავიანი გემების (ძრავების სიმძლავრის მიუხედავად), აფრიანი გემების, აგრეთვე 0,13 სარეგისტრო ტონაზე მეტი მთლიანი ტევადობის არათვითმავალი გემების მიმართ.

3. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია და მისი თანამდებობის პირები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ამ დებულებით, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, რომლებიც არეგულირებენ მის საქმიანობას.

4. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია მისთვის დაკისრებულ ამოცანებს წყვეტს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებთან, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებასთან, საქართველოს საზღვაო სანაოსნოსთან, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან. საქართველოს

სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკურ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან, აგრეთვე სასაზღვრო ჯარებთან მჭიდრო ურთიერთ-მოქმედებით.

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია თავის ძეშობაში ემყარება ზომამცირე გემებით სარგებლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შექმნილ ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულთა, აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დახმარებას, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია წყალსატევებზე მართლწესრიგის უზრუნველყოფასთან.

5. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციას თავის შემადგენლობაში ჰყავს: ტექნიკური ზედამხედველობის, სარეგისტრაციო და საგამოცდო მუშაობის, საპატრულო სამსახურის ჯგუფები, დიაგნოსტიკური პუნქტები გემებისა და სადგომი ბაზების ტექნიკური დათვალიერების განსახორციელებლად, რაც საჭიროა ინსპექციისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო საბჭოს აღმასკომს, საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, ისევე საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციას.

6. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— უზრუნველყოფს კონტროლს იმისადმი, რომ საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა დაიცვან სამეთვალყურეო გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის დადგენილი წესები, ავლენს და აღკვეთს ამ წესების და სხვა ნორმატივებისა და მოთხოვნების დარღვევებს, რაც ცურვის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვას შეეხება;

— ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამეთვალყურეო გემებისადმი, ატარებს ამ გემების ტექნიკურ და ყოველწლიურ შემოწმებასა და სპეციალურ დათვალიერებას; აწესებს გემის კონსტრუქციის შესაბამისად მგზავრთტევადობის, ტვირთამწეობის, ძრავების ზღვრული სიმძლავრისა და რაოდენობის, აფრების დასაშვები ფართობის, ცურვის რაიონის, ტალღის სიმაღლის (რომლის დროსაც გემს შეუძლია ცურვა), დაჯდომის, წყალზევითი ბორტის, სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, სასიგნალო შუქით, სანავიგაციო და სხვა მოწყობილობით აღჭურვის სავალდებულო პირობებს, ნორმებსა და ტექნიკურ მოთხოვნებს; ახდენს სამეთვალყურეო გემების კლასიფიკაციას;

— ახდენს სამეთვალყურეო გემების რეგისტრაციას და აწარმოებს მათს აღრიცხვას, აკუთვნებს საბორტო ნომრებს ასეთ გემებს; გასცემს გემის ბილეთებს და აწარმოებს მათს აღრიცხვას;

— ატარებს სამეთვალყურეო გეგმების სადგომი ბაზების (ნაგებობების) ყოველწლიურ ტექნიკურ შემოწმებას და გასცემს ნებართვას მათი ექსპლუატაციისათვის, აწესებს აღნიშნული ბაზებისათვის (ნაგებობებისათვის) მცურავ საშუალებათა ბაზირების ნორმებს, უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობებსა და ტექნიკურ მოთხოვნებს; გასცემს დასკვნებს აღნიშნული გეგმების სადგომი ბაზების (ნაგებობების) პროექტების გამო;

— ახორციელებს სამეთვალყურეო გეგმების მძღოლთა მოსამზადებელი კურსებისა და სკოლების რეგისტრაციას, იღებს გამოცდებს ამ გეგმით სარგებლობის წესებისა და მათი პრაქტიკული მართვის ჩვევების ჩასაბარებლად, ატესტიაციას უწევს გემთმძღოლებს და გასცემს გემის მართვის უფლების დამადასტურებელ მოწმობებს;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს ტექნიკურ მოთხოვნებსა და ნორმატივებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამეთვალყურეო გეგმების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) ტექნიკური პირველადი და ყოველწლიური შემოწმებისა და სპეციალური დათვალიერების მოცულობებს, და სხვა ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას, რაც სამეთვალყურეო გეგმების ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეეხება;

— კონტროლს უწევს ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქის მიერ ამ მოთხოვნებისა და ნორმატივების დაცვას;

— აწარმოებს დადგენილი წესით სამეთვალყურეო გეგმების ავარიებისა და შემთხვევების აღრიცხვას, აანალიზებს მათი წარმოქმნის მიზეზებსა და პირობებს, იღებს ზომებს ამ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად: შეიმუშავებს რეკომენდაციებს აღნიშნული გეგმების ცურვის უსაფრთხოების დონის ამაღლების შესახებ, წარუდგენს მათ დადგენილი წესით სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ხელს უწყობს მათს რეალიზაციას;

— აკონტროლებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამეთვალყურეო გეგმების ავარიების თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას;

— ხელს უწყობს შესაბამის ორგანოებს ბრაკონიერობასთან და ნადირობისა და თევზჭერის წესების სხვა დარღვევებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებაში;

— გასცემს დასკვნას სამეთვალყურეო გეგმებისა და მათი ძრავების სტანდარტების, ტექნიკური პირობების, პროექტებისა და კონსტრუქციების გამოიმ ნაწილში, რომელიც მათი ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეეხება: მონაწილეობს გემის ახალი ტექნიკის ნიმუშების გამოცდასა და მიღებაში;

— სწავლობს სამეთვალყურეო გეგმების ექსპლუატაციის პირობებს, მათი კონსტრუქციების, მოწყობილობის, მექანიზმების თავისებურებებსა და ნაკლოვანებებს, შეიმუშავებს წინადადებებს გეგმების, მოწყობილობის, მექანიზმების საიმედოობის ამაღლების შესახებ;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას ცურვის უსაფრთხოების, სამეთვალყურეო გემებით სარგებლობის სისწორის და გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობის ახსნა-განმარტებისა და პრობანდისათვის, ამასთან იყენებს ამ მიზნით პრესას, კინოს, რადიოსა და ტელევიზიას;

— აწარმოებს სამეთვალყურეო გემების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების და ამ გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის წესების დარღვევათა აღრიცხვას;

— განაზოგადებს სამეთვალყურეო გემების ცურვის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, იღებს ზომებს კანონმდებლობის ერთგვაროვანი და სწორი გამოყენებისათვის და შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ;

— ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ სამეთვალყურეო გემების მფლობელმა მოქალაქეებმა გადაიხადონ კანონმდებლობით დაწესებული გამოსაღები, რომელსაც გემების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით იხდიან;

— შეიმუშავებს და წარუდგენს დადგენილი წესით საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტს ინსპექციის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის ტარიფების პროექტებს, აგრეთვე წინადადებებს ამ ტარიფების სრულყოფის შესახებ.

7. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციას მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელების მიზნით უფლება აქვს:

— შემოიღოს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დამატებითი შეზღუდვები სამეთვალყურეო გემებით სარგებლობის რეჟიმებში ძრავების სიმძლავრისა და რაოდენობის, აფრების ფართობის, მოძრაობის სიჩქარის მხრივ;

— აკრძალოს სამეთვალყურეო გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობა, რომელთა მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ექსპლუატაციის უსაშიშროებას, გარემოს დაცვას, სამდინარო და საზღვაო ნაოსნობის უსაშიშროებას;

— შეაოწმოს საჭირო შემთხვევებში სამეთვალყურეო გემების მძღოლთა მიერ ამ გემებით სარგებლობის წესების ცოდნა, აგრეთვე გაგზავნოს ისინი სამედიცინო შემოწმებაზე გემების მართვისათვის ვარგისიანობის დასადგენად;

— გააჩეროს საჭიროების კვალობაზე სამეთვალყურეო გემები, მოსთხოვოს ამ გემებით სარგებლობის წესების დამრღვევ პირებს შეწყვიტონ აღნიშნული წესების დარღვევა;

— ჩამოაშოროს გემების მართვას პირები, რომლებიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებიან, აგრეთვე პირები, რომელთაც არა აქვთ სამეთვალყურეო გემების მართვის უფლება ან უხეშად დაარღვიეს ამ გემებით სარგებლობის წესები, საჭიროების კვალობაზე გადასცეს გემები შესანახად და ტექნიკური მომსახურებისათვის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სადგომ ბაზებზე (ნაგებობებზე) გემომფლობელთა ხარჯზე.

ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციების შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები (ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექტორები, სამმართველოს უფროსი და სხვ.) სარგებლობენ ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

8. ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების, აგრეთვე ასეთი გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის წესების დარღვევისათვის საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მუშაკებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ გამოიყენონ აღმინისტრაციული სასჯელები:

— ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექტორებმა — გააფრთხილონ და დააჯარიმონ მოქალაქენი და თანამდებობის პირნი 30 მანეთამდე ოდენობით;

— საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის უფროსმა და მისმა მოადგილემ — გააფრთხილონ და დააჯარიმონ მოქალაქენი 50 მანეთამდე ოდენობით და თანამდებობის პირნი — 100 მანეთამდე ოდენობით, ჩამოართვან გემთმძღოლებს საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების მართვის უფლება.

9. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი:

— ხელმძღვანელობს ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის საქმიანობას;

— ამტკიცებს საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს;

— ამტკიცებს ზონების მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა საშტატო განრიგსა და ხელფასის ფონდს;

— უწესებს საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სპაროექტო ხარჯთაღრიცხვებს, საკონტროლო დავალებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ინსპექციის საქმიანობას დასაბუთებულ წლისათვის, კვარტალისათვის, განიხილავს და ამტკიცებს აღნიშნულ დავალებათა შესრულების წლიურ ანგარიშებს და აკონტროლებს ინსპექციის მუშაობას;

— გადაანაწილებს ზედმეტ საკუთარ საბრუნავ სახსრებს ზონების მიხედვით კვარტალური ბალანსებისა და ანგარიშების საფუძველზე ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად;

— აწესებს საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის იმ თანამდებობათა ნუსხას, რომლებიც ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექტორთა კატეგორიას მიეკუთვნება;

— ახორციელებს სხვა მოვალეობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

10. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის თანამდებობის პირებს ეკისრებათ კანონმდებლობით დაწესებული პასუხისმგებლობა მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისა და მათთვის მინიჭებული უფლებების არასწორი გამოყენებისათვის. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის თითოეული მუშაკი მოვალეა გამოიჩინოს მუშაობაში მაღალი კულტურა, იყოს ტაქტიანი და თავაზიანი მოქალაქებთან ურთიერთობაში, გულისხმიერი და ყურადღებიანი ხელმძღვანელთა მიმართ.

11. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია არის იურიდიული პირი და მოქმედებს თვითნაზღაურობის საწყისებზე.

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის შემოსავალს შეადგენს მის მიერ თავის მოვალეობათა განხორციელებასთან დაკავშირებული შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურებისათვის შემოტანილი თანხები. ასეთი სამუშაოებისა და მომსახურების ნუსხას აწესებს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

12. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციას აქვს ეიმპელი და ემბლემა, რომლებიც მტკიცდება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

13. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

14. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საწესდებო და სხვა ფონდები.

15. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წესები

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ტექნიკური ზედამხედველობისა და ამ გემების მართვის უფლებაზე გემთმძღოლთა ატესტაციისა

ზოგადი დებულებანი

1. ეს წესები საქართველოს სსრ მთელი ტერიტორიისათვის განსაზღვრავენ საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) რეგისტრაციის, აღრიცხვის, საბორტო ნომრების მიკუთვნების, ტექნიკური ზედამხედველობის წესს, აგრეთვე ამ გემების მართვის უფლებაზე გემთმძღოლთა ატესტაციის წესს.

ინსტრუქციები და სხვა ნორმატიული აქტები საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) რეგისტრაციის, აღრიცხვის, საბორტო ნომრების მიკუთვნების, ტექნიკური ზედამხედველობის, ამ გემების მძღოლთა ატესტაციის შესახებ უნდა ემყარებოდეს წინამდებარე წესების მოთხოვნებს.

2. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მიერ რეგისტრაციას, აღრიცხვასა და ტექნიკურ ზედამხედველობას ექვემდებარებიან.

— საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თვითმავალი გემები, რომელთა მთავარი ძრავების სიმძლავრე 75 ცხენის ძალაზე ნაკლებია, და არათვითმავალი გემები, რომელთა მთლიანი ტევადობა 80 სარეგისტრო ტონაზე ნაკლებია (სამხედრო გემების, საზღვაო ფლოტის, სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო მიზნებისათვის გათვალისწინებული გემების, აგრეთვე სპორტული გემებისა და მეთევზეობის კოლმეურნეობათა კუთვნილი გემების გარდა);

— მოქალაქეთა კუთვნილი ძრავიანი გემები (ძრავების სიმძლავრის მიუხედავად), აფრიანი გემები, აგრეთვე 0,13 სარეგისტრო ტონაზე მეტი მთლიანი ტევადობის არათვითმავალი გემები.

სასაზღვრო ზონაში, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე სახალხო დებუტატთა საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე და

სასაზღვრო ჭარების მიერ დაცულ ზღვის სანაპიროზე, სადაც სასაზღვრო ზონა დაწესებული არაა, საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების რეგისტრაციას ახდენენ აგრეთვე სასაზღვრო ჭარების ქვედანაყოფები.

3. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მიერ გემების რეგისტრაციისა და ტექნიკური შემოწმების, გემომძლოთა ატესტაციისა და ცოდნის შემოწმების და სხვა შესრულებული სამუშაოების გადასახდელები შეიტანება საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პრეისკურანტის შესაბამისად.

4. ამ წესების დამრღვევ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გემების და ზომამცირე გემების სადგომი ბაზების (ნავებობების) რეგისტრაცია

5. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან რეგისტრაციაში გაატარონ (ხელახლა გაატარონ) მათი კუთვნილი გემები, მიუხედავად ტექნიკური მდგომარეობისა, 10 დღე-ღამის განმავლობაში შექენის (მიღების) ან მათი ხელახალი რეგისტრაციის გამომწვევ გარემობათა წარმოქმნის მომენტიდან.

6. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გემები რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუდმივი ადგილსამყოფელის მიხედვით. მოქალაქეთა პირადი საკუთრების გემები რეგისტრაციაში გაუტარდებათ მხოლოდ მათს მფლობელებს მუდმივი ჩაწერის ადგილის მიხედვით.

ზომამცირე გემების სადგომი ბაზები (ნავებობები) რეგისტრაციაში ტარდება საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მიერ დადგენილი წესით.

7. გემის რეგისტრაციასა და აღრიცხვაზე აყვანას ახდენს მისი მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს მისი მინდობილობა, პასპორტის ან ვინაობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენით.

8. გემების რეგისტრაცია ხდება შემდეგი დოკუმენტების წარდგენით:

— მფლობელის წერილობითი განცხადება, რომელშიც აღინიშნება ძირითადი მონაცემები გემის, მისი სადგომი ადგილის შესახებ, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, მათი უწყებრივი დაქვემდებარება ან მფლობელის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო ადგილი;

— გემის მიღების ან შექენის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები (მალაზიის სასაქონლო ჩეკი, ანგარიში, ცნობა მასალების შესახებ, ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების ხელშეკრულებანი, მემკვიდრეობით მიღების მოწმობა და ა. შ.);

— ქვეთარი გემის პირველადი ტექნიკური შემოწმებისა და რეგისტრაციის გადასახდელის, აგრეთვე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის (ჩაწერის)

მიხედვით გემის მფლობელისათვის დაწესებული სახელმწიფო გამოსაღების გადახდის შესახებ;

— ქარხანაში აგებული გემის ტექნიკური პასპორტი და ძრავის ტექნიკური პასპორტი, რომელშიც სავაჭრო ორგანიზაციის მიერ აღნიშნული იქნება მათი გაყიდვის შესახებ, ხოლო ინდივიდუალურად აგებული ან გადაკეთებული გემებისათვის — დეტალების (მასალების) შექენის დამადასტურებელი დოკუმენტები და გემის აგების ტექნიკური დოკუმენტაცია საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ტექნიკური მოთხოვნებისა და ნორმატივების შესაბამისად. გემების ინდივიდუალური აგებისა და გადაკეთების პროექტები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული და რეგისტრირებული საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციაში.

რეგისტრაციის წესები

9. რეგისტრაციის დროს გემს მიეკუთვნება საბორტო ნომერი და გემთმფლობელს მიეცემა გემის ბილეთი.

მიეკუთვნებული საბორტო ნომერი შედგება რუსული ანბანის სამი ასოვან (ლიტერი) და ოთხი ციფრისაგან. პირველი ასო აღნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკას (ГССР-ი), მეორე და მესამე განისაზღვრება რესპუბლიკის ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მიერ დადგენილი წესით და აღნიშნავენ შიწერის პუნქტის ავტონომიურ რესპუბლიკას, ოლქს, რაიონს. ციფრები შეესაბამება გემთა წიგნში რეგისტრაციის რიგითს ნომერს.

გასაჭირავებელი ნიჩბიანი და აფრიანი ნაგებისათვის წესდება შეღებვის ფერი, ერთასოიანი ლიტერი და რიგითი ნომერი.

10. საბორტო ნომერი დაისმის წარუშლელი კონტრასტული საღებავით გემის ორივე ბორტზე ფორშტევენიდან კორპუსის სიგრძის 1/4 მანძილზე ერთ სტრიქონად. ასობისა და ციფრების სიმაღლე 100-150 მილიმეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს, ასობისა და ციფრების ხაზის სიგანე — 15-20 მილიმეტრზე ნაკლები.

11. გემები რეგისტრაციაში გაუტარდებათ 16 წელს მიღწეულ პირებს, გარდა შემკვიდრეობით გადმოსული გემებისა. 16 წელს მიუღწეველ შემკვიდრეზე გემის რეგისტრაციისას სარეგისტრაციო ბარათში აღინიშნება მშობლის ან მეურვის გვარი, სახელი, მამის სახელი და ჩაიწერება, რომ აღრიცხვიდან მოხსნა მშობელთა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა თანხმობის ვარაუდ აკრძალულია.

რეგისტრაციაში გაუტარებელი გემების ექსპლუატაცია აკრძალულია.

გემების ხელახალი რეგისტრაცია

12. გემების ხელახალი რეგისტრაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

— მფლობელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა (საწარმოის გადასვლა ახალ ადგილზე);

23. გემის მფლობელის შეცვლასთან დაკავშირებით მისი აღრიცხვიდან მოხსნისას გემის ბილეთი შტამპით „გაუქმებულია“ გადაეცემა ახალ მფლობელს მისი მუდმივად სამყოფელ ან საცხოვრებელ ადგილზე გემის რეგისტრაციისათვის.

24. სრული ტექნიკური გაცვეთის გამო გემი აღრიცხვიდან მოიხსნება სპეციალური ტექნიკური დათვალიერების აქტის მიხედვით, ხოლო გემის დაღუპვასთან დაკავშირებით მისი აღრიცხვიდან მოხსნისას შეიტანება შესაბამისი ჩანაწერები გემთა წიგნსა და სარეგისტრაციო ბარათში. გემის ბილეთი ასეთ შემთხვევებში უქმდება და ინახება საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციაში.

25. აღრიცხვიდან მოხსნილი გემის საბორტო ნიშანი არავითარ სხვა მცურავ საშუალებას არ მიეკუთვნება ხუთი წლის განმავლობაში.

26. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, აგრეთვე ინდივიდუალურ მფლობელთა გემები, რომლებიც დროებით მიდიან, მუდმივ მიწერის ადგილის შეუცვლელად სხვა რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში ან გადაეცემა იჯარით, აღრიცხვიდან არ მოიხსნება.

ტექნიკური ზედამხედველობა გემებისადმი

27. ტექნიკური ზედამხედველობა გემებისადმი და მათი კლასიფიკაცია ზორციელდება მოქმედი სტანდარტების, ნორმატივებისა და საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის რეგისტრთან, და ახდენენ საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მუშაკები, რომელთაც აქვთ საშუალო ან უმაღლესი ტექნიკური განათლება წყლის ტრანსპორტის სპეციალობაში.

ტექნიკური ზედამხედველობა შედგება ცურვისათვის ვარგისიანობაზე ტექნიკური პირველადი და ყოველწლიური შემოწმებისა და გემების სპეციალური დათვალიერებისაგან, რასაც ახორციელებს საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია.

28. ცურვისათვის ვარგისიანობაზე გემის პირველადი ტექნიკური შემოწმებისას განისაზღვრება უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები და ნორმები ცურვის რაიონის, ტალღის სიმაღლის (რომლის დროსაც გემს შეუძლია ცურვა), ძრავების ზღვრული სიმძლავრისა და რაოდენობის, აფრების დასაშვები ფართობის, ტვირთამწეობის, მგზავრთტევადობის, დაჯდომის, უმცირესი წყალზევითი ბორტის მიხედვით. ხდება გემის აღჭურვის ნორმირება სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, სასიგნალო შუქით, სანავიგაციო და სხვა მოწყობილობით.

ცურვისათვის ვარგისიანობაზე გემის ყოველწლიური ტექნიკური შემოწმებისას მოწმდება გემის ძირითადი ელემენტების უცვლელობა, მისი ტექნიკური მდგომარეობა, მოწყობილობისა და აღჭურვილობის არსებობა დაწესებული ნორმების შესაბამისად, ზუსტდება ექსპლუატაციის პირობები და გაიცემა ტექნიკური ტალონი ან დგება აქტი, რომელშიც იწერება შესასრულე-

ბლად სავალდებულო პირობები და ნორმები, რითაც განისაზღვრება გემი-
ვარგისიანობა ცურვისათვის.

ამასთან გემთმფლობელები მოვალენი არიან წარადგინონ გემის ბილეთი,
გემის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, ქვეთრები ტექნიკური
შემოწმებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის (ჩაწერის) მიხედვით:
ზომამცირე გემების ინდივიდუალურ მფლობელთა მიერ სახელმწიფო გამო-
სალების გადახდის შესახებ.

29. გემების ტექნიკური სპეციალური დათვალიერება ხდება ავარიების,
აგების, გადაკეთების, რემონტის, სრული ტექნიკური გაცვეთის შემთხვევაში
და ა. შ.

30. გემების ცურვისათვის ვარგისიანობაზე ტექნიკური პირველადი და
ყოველწლიური შემოწმება და დათვალიერება ხდება საწარმოს, დაწესებულე-
ბის, ორგანიზაციის მუდმივსამყოფელი ადგილის ან ინდივიდუალური
მფლობელის მუდმივად საცხოვრებელი ადგილის (ჩაწერის) მიხედვით საქარ-
თველოს სსრ სახალხო დემუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური
დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ
დადგენილი წესით, საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინს-
პექციის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

31. ცალკეულ შემთხვევებში, ცურვისათვის ვარგისიანობაზე გემის მო-
რიგ ყოველწლიურ ტექნიკურ დათვალიერებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე,
საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოს,
სადაც რეგისტრირებულია გემი, შეუძლია ნება დართოს გემის დროებითი
ექსპლუატაციისა და ბაზირების ადგილზე მისი ცურვისათვის ვარგისიანობაზე
ტექნიკური შემოწმების ჩასატარებლად.

გემების სადგომი ბაზების (ნაგებობების) ტექნიკური შემოწმება

32. გემების სადგომი ბაზების (ნაგებობების) ტექნიკური შემოწმება ხორ-
ციელდება ყოველწლიურად უსაფრთხო ექსპლუატაციისა და გარემოს დაცვის
პირობებისა და ნორმების განსაზღვრის მიზნით მოქმედი სტანდარტების,
ნორმატივებისა და საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინს-
პექციის მოთხოვნების შესაბამისად.

33. ბაზების (ნაგებობების) ტექნიკური შემოწმების დროს მოწმდება
მათი შექმნის კანონიერება, ტექნიკური დოკუმენტაცია, სანაპირო და მცურავი
ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა, სანაპირო ტერიტორია, სათბობის
საცავები, აკვატორია, სამაშველო სამუშაოები და გამოშვების რეჟიმის ორგა-
ნიზაცია, დაკომპლექტება ხანძარსაწინააღმდეგო და წყალდაცვითი მოწყობი-
ლობითა და შესაბამისი სამარჯვებით.

34. ბაზის (ნაგებობის) ტექნიკური შემოწმების შედეგები ფორმდება
შესაბამისი აქტით.

გემების სადგომი ბაზების (ნაგებობების) ექსპლუატაცია ტექნიკური შე-
მოწმების გარეშე აკრძალულია.

გემების მართვის უფლებაზე გემთმძღოლთა ატესტაცია და ცოდნის შემოწმება

35. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო ძრავიანი, ნიჩბიანი და აფრიანი გემების მართვის უფლებაზე გემთმძღოლთა ატესტაცია ხორციელდება მხოლოდ მათი მუდმივი საცხოვრებელი (ჩაწერის) ადგილის მიხედვით გამოცდის საფუძველზე. გამოცდის შედეგი ფორმდება საგამოცდო კომისიის ოქმით.

36. არასაწარმოო მიზნებისათვის თვითმავალი გემების დამოუკიდებლად მართვის უფლებაზე გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან 16 წლის ასაკს მიღწეული პირები, რომლებიც ცნობილი არიან ამ გემების მართვისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ვარგისად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, აქვთ სპეციალური თეორიული მომზადება და გაიარეს სტაჟირება გემის სამართავად ზომამცირე გემების გემთმძღოლთა მომზადების საერთო-საკავშირო პროგრამის შესაბამისად.

37. ზომამცირე გემების მართვის უფლებაზე გამოცდების ჩაბარებისათვის წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები: დაწესებული ნიმუშის მიხედვით გემთმძღოლის პირადი განცხადება (ბარათი); სამედიცინო ცნობა იმის შესახებ, რომ გამოსაცდელი პირი ჯანმრთელობის მდგომარეობით ვარგისია მართოს ზომამცირე გემები; დოკუმენტები გემის მართვის თეორიული მომზადებისა და სტაჟირების (პრაქტიკის) შესახებ; ქვეთარი მოქმედი ფასების პრეისკურანტი შესაბამისად გამოცდების მიღების საფასურის გადახდის შესახებ; 3X4 სანტიმეტრი ზომის სამი ფოტოტურათი.

38. საგამოცდო კომისიების შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მუშაკები და კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური სპეციალური განათლება წყლის ტრანსპორტის სპეციალობაში, მათ შორის:

— შინაგან სანაოსნო გზებზე ცურვის, სამდინარო ლოციის, მდინარეებზე, ტბებსა და წყალსაცავებზე ზომამცირე გემების ტექნიკური ექსპლუატაციისა და მართვის წესებში — სამდინარო გემთმძღოლობის სპეციალობის ინჟინრები და ტექნიკოს-გემთმძღოლები;

— ზღვაში გემთა შეჯახების თავიდან აცილების, ნავიგაციის, საზღვაო ლოციის, სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლებში ზომამცირე გემების ტექნიკური ექსპლუატაციისა და მართვის საერთაშორისო წესებში — საზღვაო გემთმძღოლობის სპეციალობის ინჟინრები და ტექნიკოს-გემთმძღოლები.

39. საგამოცდო კომისიების წევრთა რაოდენობრივი შემადგენლობა არანაკლებ სამი კაცისა.

40. გამოცდები ბარდება შემდეგ დისციპლინებში:

— გემთმძღოლობა (ლოცია, ნავიგაცია, პილრომეტეოროლოგია);

— ნაოსნობის პრაქტიკა (ზომამცირე გემების სანავიგაციო თვისებები და მათი მართვა, შინაგან სანაოსნო გზებზე ცურვის წესები, ზღვაში გემთა

შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები, ზომამცირე გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნავებობებით) სარგებლობის წესები;

— გემისა და ძრავის მოწყობილობა და ტექნიკური ექსპლუატაცია, აღმიათა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხების ჩათვლით.

41. გამოცდები თითოეულ დისციპლინაში უნდა მოიცავდეს საკითხთა კომპლექსს ზომამცირე გემების მძღოლთა მომზადების საერთო-საკავშირო პროგრამის მოცულობით გემის კატეგორიის, ძრავების სიმძლავრის, აფრების ფართობისა და ცურვის რაიონის მიხედვით საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად.

42. პირებს, რომლებიც ვერ მიიღებენ ჩათვლას ერთ-ერთ დისციპლინაში, არ შეუძლიათ განაგრძონ გამოცდების ჩაბარება სხვა დისციპლინებში.

ჩაუბარებელ დისციპლინებში გამოცდები შეიძლება ჩააბარონ არა უადრეს 7 დღის შემდეგ.

43. საგამოცდო კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოცდების ჩაბარებელ პირებს მიეცემათ ზომამცირე გემების მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, რომელშიც აღინიშნება მათი კატეგორია, ძრავების სიმძლავრე, აფრების ფართობი და ცურვის რაიონი.

შენიშვნა: პირებს, რომელთაც არა აქვთ ზომამცირე გემების მართვის პრაქტიკული სტაჟი, მიეცემათ 25 ცხენის ძალამდე სიმძლავრის ძრავიანი გემის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

უფრო მძლავრი ძრავის, აფრის უფრო მეტი ფართობის მქონე სხვა კატეგორიის ზომამცირე გემის მართვის ან სხვა რაიონში ცურვის უფლება მიეცემათ ცოდნის დამატებითი შემოწმებისა და ცურვის ცენზის არსებობის შემთხვევაში.

ზომამცირე გემის მართვის დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად გაიცემა გამაფრთხილებელი ტალონი.

44. ცურვის რაიონი მოწმობაში განისაზღვრება პროგრამის საზღვაო ან სამდინარო დისციპლინებში გამოცდების ჩაბარების შედეგად შემდეგი წესით:

— თუ გამოსაცდელმა პირმა ჩააბარა გამოცდები ზღვაზე ზომამცირე გემების მართვის დისციპლინებში, მას უფლება ეძლევა მართოს გემები ტერიტორიულ წყლებსა და შინაგან წყლებში, სადაც მოქმედებს ზღვაში გემთა შეტაკების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები. ასეთ შემთხვევაში მოწმობაში აღინიშნება „МП“;

— თუ გამოსაცდელმა პირმა ჩააბარა გამოცდა შინაგან სანაოსნო გზებზე ზომამცირე გემების მართვის დისციპლინებში, სადაც მოქმედებს შინაგან სანაოსნო გზებზე ცურვის წესები, ასეთ შემთხვევაში მოწმობაში აღინიშნება „ВВП“;

— თუ გამოსაცდელმა პირმა ჩააბარა გამოცდები ტერიტორიულ წყლებსა და შინაგან საწყლოსნო გზებზე ზომამცირე გემების მართვის დისციპლინებში, მოწმობაში შეიტანება ორი აღნიშვნა „МП“ და „ВВП“;

— თუ გამოსაცდელმა პირმა ჩააბარა გამოცდები შინაგანი სანაოსნო გზების ნუსხაში შეუტანელ შინაგან წყლებში გემის მართვის დისციპლინებში,

მოწმობაში ჩაიწერება, რომ ცურვის რაიონი შეზღუდულია და აღინიშნება გეოგრაფიული საზღვრები, ამასთან მითითებული იქნება იქ მოქმედი ცურვის წესები „МП“, „БВРР“ — მდინარეებისათვის და „БВРР“ — ტბებისათვის.

45. გემთმძღოლობის სპეციალობის ინჟინრები და ტექნიკოსები, აგრეთვე გემთმძღოლობის პროფესიის შემთავსებელი მექანიკოსები, რომლებიც წარადგენენ გემთმძღოლობის თანამდებობის დაკავების უფლების დამადასტურებელ ნამდვილ სამუშაო დიპლომს (მოწმობას) და ჩააბარებენ მის ასლს, მიიღებენ ზომამცირე გემის მართვის უფლების დამადასტურებელ მოწმობას გასაუბრების შემდეგ. ამასთან უნდა გადაიხადონ მხოლოდ მოწმობის ბლანკის საფასური.

თუ მეზღვაურ გემთმძღოლს სურს ჰქონდეს შინაგან საწყლოსნო გზებზე ზომამცირე გემის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა ან მემდინარე გემთმძღოლს — ზღვაში ასეთი გემის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, მათ ჩაუტარდებათ გასაუბრება პროგრამის შესაბამის განაყოფებში და კეთდება სათანადო აღნიშვნა ცურვის რაიონის შესახებ.

46. გემთმძღოლთა ცოდნის შემოწმება (პერიოდული და რიგგარეშე) ტარდება ზომამცირე გემის მართვის პრაქტიკული ჩვევების ცოდნის გამოსავლენად, რაც უზრუნველყოფს მისი ცურვის უსაფრთხოებას.

47. პერიოდულად შემოწმება ტარდება სამ წელიწადში ერთხელ ზომამცირე გემის მართვის უფლებაზე გემთმძღოლთა ცოდნის დადასტურების მიზნით.

48. ცოდნის რიგგარეშე შემოწმება ტარდება შემდეგ შემთხვევებში:

— ზომამცირე გემებით სარგებლობის წესების უხეში დარღვევის შემდეგ;

— მოწმობის ან გამაფრთხილებელი ტალონის დაკარგვისას;

— ცურვის რაიონის და გემზე დაყენებული ძრავის სიმძლავრის შეცვლისას;

— დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ;

49. ცოდნის რიგგარეშე შემოწმება არ ცვლის პერიოდულ შემოწმებას.

50. 75 ცხენის ძალაზე ნაკლები სიმძლავრის ძრავიანი საწარმოო მიზნებისათვის გათვალისწინებული გემისა და 80 სარევისტრო ტონაზე ნაკლები მთლიანი ტევადობის გემის მეთაურთა შემადგენლობის ატესტაცია და ცოდნის შემოწმება ტარდება საზღვაო ფლოტის სამინისტროში, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროში მოქმედი დებულებების შესაბამისად.

51. საატესტაციო კომისიის მიერ გამოცდების ჩატარებისა და საქმისწარმოების გაძღოლის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია.

52. ამ წესებთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოებს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს 1982 წლის 3 სექტემბრის № კ-15-517 რეკომენდაციების შესაბამისად.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1985 წლის 25 იანვრის № 43
დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ზომამცირე გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობისა

ზოგადი დებულებანი

1. ეს წესები განსაზღვრავენ მდინარეებზე, წყალსაცავებში, სხვა წყალსატევებში და შინაგან საზღვაო და ტერიტორიულ წყლებში ზომამცირე გემებით და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის წესს.

ამ წესებით ხდება საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი თვითმავალი გემებით, რომელთა მთავარი ძრავების სიმძლავრე 75 ცხენის ძალაზე ნაკლებია, და არათვითმავალი გემებით, რომელთა მთლიანი ტევადობა 80 სარეგისტრო ტონაზე ნაკლებია (სამხედრო გემების, საზღვაო ფლოტის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს პიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი საწარმოო მიწნებისათვის გათვალისწინებული გემების, სასპორტო გემებისა და მეთევზეობის კოლმეურნეობათა კუთვნილი გემების გარდა), აგრეთვე მოქალაქეთა კუთვნილი ძრავიანი გემებით (ძრავების სიმძლავრის მიუხედავად), აფრიანი გემებით და 0,13 სარეგისტრო ტონაზე მეტი მთლიანი ტევადობის არათვითმავალი გემებით სარგებლობის რეგლამენტირება.

2. საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ამ წესების 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი ზომამცირე გემები, გამოყოფენ ამ გემებით სარგებლობისა და მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელ პირებს.

3. ზომამცირე გემების მძღოლებმა და ამ წესების მე-2 პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უნდა შეასრულონ ეს წესები, შინაგანი სანაოსნო გზებით ცურვის წესები, ზღვაში გემთა შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები, ცურვის ადგილობრივი (სააუზო) წესები, საზღვაო ნავსადგურების კაპიტანთა სავალდებულო დადგენილებანი, ზომამცირე გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის ადგილობრივი წესები და უზრუნველყონ ზომამცირე გემების უსაფრთხო ცურვა, თავიდან აიცილონ წყალზე ადამიანთა უბედური შემთხვევები და არ დაუშვან გარემოს გაჭუჭყიანება.

4. ზედამხედველობას ამ წესების, ზომამცირე გემებით სარგებლობის ადგილობრივი წესებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შესრულებისადმი ახორციელებს საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინს-

პექცია, რომლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა გემთმძღოლისათვის და პირისათვის, რომლებიც პასუხს აგებენ ზომამცირე გემებისა და მათა სადგომი ბაზების (ნაგებობების) ექსპლუატაციისათვის.

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია ურთიერთმოქმედებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან წყალსატევებზე მართლწესრიგის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, ბრაკონიერობასთან ბრძოლის, აგრეთვე ინსპექციის სამეთვალყურეო ზომამცირე გემების ქურდობისა და გატაცების თავიდან აცილების საკითხებზე და თავის მუშაობაში ემყარება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებას, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია წყალსატევებზე მართლწესრიგის უზრუნველყოფასთან.

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია მისთვის დაკისრებულ ამოცანებს წყვეტს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს, საქართველოს სსრ შინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ორგანოებთან, სასაზღვრო ჯარებთან და საქართველოს სსრ წყალმაშველ საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.

5. წყალსატევებზე ზომამცირე გემების წვრთნა საწყლოსნო სპორტის სახეობებში, შეჯიბრებების, დღესასწაულების, რეგატების ჩატარება შეიძლება ადგილებში, რომლებსაც განსაზღვრავენ სახალხო დემუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციასთან შეთანხმებით.

სასპორტო გემების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სპორტული მიზნებისათვის იმ ადგილებში, რომლებიც გათვალისწინებულია შეჯიბრებისა და წვრთნის ჩასატარებლად.

6. ზომამცირე გემებით ექსკურსიების, დასასვენებლად კოლექტიური მგზავრობის და სხვა მასობრივ ღონისძიებათა განხორციელებისას საწარმოები, დაწესებულებები ან ორგანიზაციები გამოყოფენ წყალზე უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და გარემოს დაცვისათვის პასუხისმგებელ პირებს.

7. ამ წესების დამრღვევ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თვითმავალი ზომამცირე გემების მართვისათვის დაიშვებიან პირები, რომელთაც აქვთ ასეთი გემების მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, გაცემული დადგენილი წესით.

გემთმძღოლთა საერთო მოვალეობანი

8. ზომამცირე გემის მძღოლი მოვალეა თან ჰქონდეს:

— დაწესებულ რაიონში შესაბამისი სიმძლავრის ძრავისა და აფრის ფართობის მქონე ზომამცირე გემის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა და გამაფრთხილებელი ტალონი;

— გემის ბილეთი და ცურვისათვის ვარგისიანობაზე გემის ყოველწლიური ტექნიკური შემოწმების ტექნიკური ტალონი;

— რეისის გეგმა-დავალება, საგზური (სამარშრუტო ფურცელი) და გადასაზიდი ტვირთის დოკუმენტები (ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი გემების გარდა);

— მოქალაქეთა კუთვნილ თვითმავალ გემებზე, ინდივიდუალური მფლობელის გემზე არყოფნისას, — დადგენილი წესით დამოწმებული მინდობილობა სარგებლობის უფლებაზე, ხოლო ნიჩბიან გემებზე — მფლობელის წერილობითი ნებართვა გემით სარგებლობის უფლებაზე.

9. გემთმძღოლი მოვალეა:

— ცურვაში გასვლის წინ შეამოწმოს გემის აღჭურვილობის წესიერულობა და კომპლექტურობა, თვალყური ადევნოს მის მდგომარეობას ცურვის მსვლელობაში, ამასთან უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება;

— განუწყვეტლივ ადევნოს თვალყური გარემო ვითარებას და სხვა მკურავ საშუალებათა მოძრაობას;

— არ გადაამეტოს გემის ტვირთამწეობისა და მგზავრტევადობის დაწესებულ ნორმებს;

— უზრუნველყოს, რომ გემზე 10 წლამდე ასაკის ბავშვთა ყოფნისას მათ ეცვათ მაშველი ჟილეტები (სამკერდულები), ხოლო არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში და სანაპირო ზონაში ცურვისას მაშველი ჟილეტები (სამკერდულები) უნდა ეცვას გემზე მყოფ ყველა პირს;

— ზღვის სანაპირო ზონაში გასაბერი და დასაკეცი ნაგებობით ცურვისას უზრუნველყოს, რომ ყველამ ჩაიცვას მაშველი ჟილეტები (სამკერდულები);

— აღმოუჩინოს დახმარება წყალზე უბედურებაში ჩავარდნილთა და გაუწიოს პირველი სამედიცინო დახმარება; მიიყვანოს დაზარალებულნი სამკურნალო დაწესებულებაში, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მომხდარი შემთხვევის შესახებ სამაშველო სადგურს, მილიციას, სასწრაფო სამედიცინო დახმარებასა და საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებს;

შეჩერდეს და გადასცეს ზომამცირე გემი: სამედიცინო პერსონალს — ავადმყოფთან მისასვლელად ისეთ შემთხვევებში, რაც მის სიცოცხლეს ემუქრება, ან ასეთი ავადმყოფის უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში გადასაყვანად; მილიციის, სასაზღვრო ჯარების, საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის, სამაშველო სამსახურის თანამდებობის პირებს, — ცურვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაუდებელ დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში;

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მუშაკებს — ავარიების დროს დაზიანებული ან გაუმართავი მცურავი საშუალებების ტრანსპორტირებისათვის;

— შეჩერდეს და წარუდგინოს საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოთა მუშაკებს შესამოწმებლად: ზომამცირე გემის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, საგზური (სამარშრუტო ფურცელი), გემის დოკუმენტები, მათ შორის გადასაზიდი ტვირთის დოკუმენტები. გემი უნდა შეაჩეროს უსაფრთხო ადგილზე, სადაც სხვა გემები არ ცურავენ.

შენიშვნა: ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზომამცირე გემით სარგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფასოა. თანამდებობის პირებმა, რომლებმაც ისარგებლეს ზომამცირე გემით, — გემთმძღოლის მოთხოვნით უნდა მისცენ მას ცნობა ან ჩაუწერონ საგზურში მგზავრობის ხანგრძლივობა და მიზანი, გავლილი მანძილი, თავიანთი გვარი, თანამდებობა, მოწმობის ნომერი, ორგანიზაციის დასახელება, ხოლო მედიცინის მუშაკებმა, რომლებმაც გამოიყენეს ზომამცირე გემი ავადმყოფთან მისასვლელად ისეთ შემთხვევებში, რაც მის სიცოცხლეს ემუქრებოდა, ან ასეთი ავადმყოფის უახლოეს სამკურნალო დაწესებულებაში გადასაყვანად, უნდა მისცენ დაწესებული ნიმუშის ტალონი.

თანამდებობის პირები მოვალენი არიან წარუდგინონ გემთმძღოლს თავიანთი მოწმობები.

10. გემთმძღოლს ეკრძალება:

— მართოს ზომამცირე გემი ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში;

— გადასცეს ზომამცირე გემის მართვა სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ პირებს;

— გადასცეს ზომამცირე გემის მართვა პირებს, რომელთაც თან არა აქვთ ზომამცირე გემის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა და აღნიშნული არ არიან ეკიპაჟის სიაში (გემის როლში);

— უმეტველურად დატოვოს გარემო აკვატორია.

11. ზომამცირე გემის ავარიის დროს, რასაც მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევა, მასთან დაკავშირებული გემთმძღოლები მოვალენი არიან:

— გააჩერონ გემი, საჭიროების შემთხვევაში პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულთ, გაგზავნონ დაზარალებულნი გზადმიმავალი ან თავიანთი გემით უახლოეს სამკურნალო დაწესებულებაში და შეატყობინონ იქ თავიანთი გვარი, გემის საბორტო ნომერი (ამასთან წარადგინონ ზომამცირე გემის მართვის უფლების მოწმობა ან ვინაობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და გემის სარეგისტრაციო დოკუმენტი);

— შეატყობინონ მომხდარი შემთხვევა საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციას, ჩაიწერონ შემთხვევის მოწმეთა გვარები და მისამართები.

19. ზომამცირე გემების სადგომი ბაზების (ნაგებობების) ექსპლუატაცია სა-
 ნაპირო ტერიტორიების, შენობების, სათბობის საცაფების, აკვატორიების,
 სამაშველო საგუშაგოებისა და სხვა ობიექტების სრული კომპლექსით დასა-
 შვებია მხოლოდ საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინს-
 პექციის მიერ ექსპლუატაციის უფლების რეგისტრაციისა და ყოველწლიური
 ტექნიკური დათვალიერების შემდეგ.

20. ზომამცირე გემების სადგომი ბაზების (ნაგებობების) მქონე საწარ-
 მოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ატყობინებენ გემომძღოლებს
 ჰიდრომეტეოროლოგიურ პირობებს და ამინდის პროგნოზს, აწესებენ გამოშ-
 ვების რეჟიმს, რაც უზრუნველყოფს ზომამცირე გემების ცურვის უსაფრთ-
 ხობას, და ნიშნავენ პერსონალურად ამისათვის პასუხისმგებელ პირებს.

21 გემის თითოეული გასვლა საცურაოდ. მისი მიზანი, ცურვის დაგეგ-
 მილი რაიონი და მარშრუტი, ბაზაზე დაბრუნების სავარაუდო დრო და ფაქ-
 ტური დაბრუნება უნდა აღინიშნოს ბაზირების ადგილზე სპეციალურ ყურ-
 ნალში.

ზომამცირე გემების ცურვის წესი

22. ზომამცირე გემების ექსპლუატაცია ამ წესების შესაბამისად დასა-
 შვებია საქართველოს სსრ შინაწყალსატევეებზე და ზღვის სანაპირო ზონაში
 ნაპირიდან არა უმეტეს ერთ კილომეტრ მანძილზე.

23. აკვატორიებზე დასახლებული პუნქტების, ნავსადგურების, ნავმისად-
 გომების საზღვრებში ზომამცირე ძრავიანი გემების მოძრაობა დასაშვებია სა-
 ათში არა უმეტეს 40 კილომეტრი სიჩქარით, თუ სახალხო დეპუტატთა საბ-
 ჭოების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტების, ნავსადგურების, ნავმისა-
 დგომების ადმინისტრაციის მიერ დადგენილი არაა ამ გემების მოძრაობის სი-
 ჩქარის სხვა შეზღუდვები ან სხვა წესები.

აკვატორიებზე ზომამცირე გემების სადგომი ბაზების (ნაგებობების) სა-
 ზღვრებში, აგრეთვე პლაჟების, ბანაობის ადგილების მახლობლად, ლუზაჩაშ-
 ვებულ ან ნაპირზე მდგარ გემებთან, არხებში, ვიწრო ადგილებში და წყალ-
 ქვეშა სამუშაოებით დასაქმებული გემების მახლობლად ზომამცირე ძრავი-
 ანი გემების მოძრაობა დასაშვებია საათში, არა უმეტეს 8 კილომეტრი სიჩ-
 ქარით.

24. ყველა შემთხვევაში ზომამცირე გემები უნდა მოძრაობდნენ უსაფრ-
 თხო სიჩქარით, რათა დროულად იქნეს აცილებული შეჯახება, და გზას უთ-
 მობდნენ სატრანსპორტო გემებს, საჭიროების კვალობაზე იწვედნენ გემის
 სვლის კიდვზე.

25. მდინარეებზე და არხებში ზომამცირე გემებს უნდა ეკავთ ფარ-
 ვატერის მარჯვენა მხარის მიმართულება, იცავდნენ გემთა შორის უსაფრთხო
 დისტანციას, ხოლო შემხვედრი მოძრაობისას უნდა გაიშალონ მარცხენა ბორ-
 ტებით.

26. დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიმავალმა გემმა ყველა შემთხვევაში უნდა გაატაროს ზევით დინების მიმართულებით მიმავალი გემი.

27. გასწრება შეიძლება მხოლოდ საწყლოსნო გზის საკმაოდ ფართო და პირდაპირ უბნებზე. გამსწრები გემი გასასწრებ გემს ტოვებს მარჯვენა ბორტის მხარეს, ხოლო გასასწრებმა გემმა უნდა შეანელოს სვლა და გადაიხაროს, თუ პირობები საშუალებას იძლევა, მარჯვნივ და იმოძრაოს შემცირებული სიჩქარით გასწრების დამთავრებამდე. მოხვევა შეიძლება შემხვედრი ან გასასწრები გემის კიჩოს წინ.

28. როცა ტბებსა და წყალსაცავებზე ორი მექანიკურძრავიანი გემი ურთიერთგადაამკვეთი კურსით მიემართება ისე, რომ წარმოიშობა შეჯახების საფრთხე, გემმა რომელსაც მეორე გემი თავის მარჯვენა მხარეზე (მარჯვენა ბორტზე) ჰყავს, უნდა დაუთმოს მას გზა.

29. როცა მექანიკურძრავიანი გემი და აფრიანი გემი ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ წარმოიშობა შეჯახების საფრთხე, მექანიკურძრავიანმა გემმა უნდა დაუთმოს გზა აფრიან გემს.

30. შინაგან სანაოსნო გზებზე და საზღვაო ნავსადგურების წყლების ფარგლებში, აგრეთვე ზღვის სანაპირო ზონაში ცურვის დროს ზომამცირე გემებმა უნდა დაიკვან შესაბამისად საქართველოს სსრ შინაგან სანაოსნო გზებზე ცურვის წესები და ზღვაში გემთან შეჯახების თავიდან აცილების 1972 წლის საერთაშორისო წესები, აგრეთვე ნავსადგურების უფროსთა დადგენილებანი.

31. აკრძალულია:

— ცურვა რეგისტრაციაში გაუტარებელ და აღურიცხავ ზომამცირე გემებით, აგრეთვე გემებით, რომელთაც არა აქვთ საბორტო ნიშნები;

— ძრავიანი და აფრიანი გემებით საცურაოდ გასვლა, თუ გემთმძღოლს არა აქვს გემის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა;

— გემებით სარგებლობა, თუ მათი მძღოლები არ იცავენ ცურვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაწესებულ პირობებს, ნორმებსა და საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ტექნიკურ მოთხოვნებს;

— გემების მოძრაობა ნისლში ან სხვა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში, როცა შეუძლებელია ორიენტირება უხილვადობის გამო;

— სხვა გემების ცურვისათვის დაბრკოლების შექმნა; გემების მისვლა და დგომა სამგზავრო და სატვირთო ნავმისადგომებთან, დებარკადერებთან 100 მეტრზე ახლოს, ბუქსირება სატრანსპორტო, ტექნიკურ, დამხმარე გემებთან, მათი კურსის გადაკვეთა ან უშუალოდ მათს სიახლოვეს მოძრაობა;

— აფრის დაყენება ნიჩბიან ნაევებზე და ამ მიზნისათვის მოუწყობელ გემებზე;

— საცურაოდ გასვლა დღე-ღამის ბნელ დროს ნიჩბიანი, აფრიანი და ძრავიანი გემებით გემის ბილეთში ჩაწერილი სათანადო სასიგნალო შუქის გარეშე;

— გემების შესვლა ბანაობისა და პლაჟებისათვის განკუთვნილ აკვატორიაში, აგრეთვე მისვლა სანაოსნო ვითარების მცურავ ნიშნებთან ოა მათთან მიბმა;

- გემების გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით;
- გემიდან ნარჩენების, ნავთობპროდუქტების გადაყრა და ა. შ.;
- ზომამცირე გემის დგომა გემის სვლის გზაზე;
- ერთი გემიდან მეორეზე გადაადგილება მათი მოძრაობის დროს;
- ზომამცირე გემიდან წყალში ხტომა;
- გემების გაჩერება ხიდების ქვემოთ ან მათ მახლობლად;
- გემების სადგომი ბაზების (ნაგებობების) გამოშვების რეჟიმის დარღ-

ვევა;

— გემების ცურვა საცუროდ აკრძალულ აკვატორიებსა და რაიონებში საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მიერ გაცემული საშვების გარეშე;

— აფეთქებასაშიში და ცეცხლსაშიში ტვირთების გადაზიდვა საამისოდ გაუთვალისწინებელი გემებით;

— რეგისტრაციაში გაუტარებელი გემების დგომა და შენახვა მათ სადგომ ბაზებზე (ნაგებობებზე), აგრეთვე მიბმა საამისოდ გაუთვალისწინებელ ადგილებში.

32. სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური და ქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ წყლის გამოყენებისა და დაცვის რეგულირების ორგანოების, სანიტარული კონტროლის, თევზის მარაგის დაცვის განმზოციელებელი ორგანოების და სხვა დაინტერესებული ორგანოების წარდგენით დააწესონ ზომამცირე გემების ექსპლუატაციის შეზღუდვები ქალაქის, რაიონის ცალკეულ წყალსატევებში, ამასთან უზრუნველყონ ეს წყალსატევები შესაბამისი ამკრძალავი ნიშნებით.

პასუხისმგებლობა წესების დარღვევისათვის

33. ამ წესების დარღვევისათვის დამნაშავე პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1985 წლის 25 იანვრის № 43
 დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის
 მმართველობის მუშაკთა საშტატო რიცხოვნობისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
სახელმწიფო ინსპექციის უფროსი	1
სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოადგილე	1
მთავარი ბუღალტერი	1
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	2
საქმისმწარმოებელ-შემანქანე	1
დამლაგებელი	1
ს უ ლ	7

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საკმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

1985 წლის 25 იანვრის № 43

დადგენილების დანართი № 2

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების ზომამცირე
გემების სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა საშტატო რიცხოვნობისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
აფხაზეთის ასსრ ზონა	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
სახელმწიფო ინსპექტორი	2
ს უ ლ	3
აჭარის ასსრ ზონა	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
თბილისის ზონა	
(თბილისის ზღვა, ლისის ტბა, კუს ტბა, მლინარე მტკვარი). ქ. რუსთავეის ჩათვლით	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
ფოთის ზონა	
(ქ. ფოთი, სოფ. პატარა ფოთი, ყუღევი)	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
ზუგდიდის ზონა	
(ქ. ხობი, სოფ. ანაკლია)	
სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
ქუთაისის ზონა	
(ქ. ქუთაისი, ვანი, ტყიბული)	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
ლანჩხუთის ზონა	
(ქ. ლანჩხუთი, მახარაძე, დაბა ურეკი)	
სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
გარდაბნის ზონა	
(ქ. გარდაბანი, წალკა, ყვარელი, დაბა დმანისი)	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
მცხეთის ზონა	
(ქ. მცხეთა, დუშეთი, თიანეთი, ცხინვალი)	
სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
მთლიანად	11

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი

9. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმას-
კომის მფვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დეპუ-
ლების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღ-
მასკომის მიერ წარმოდგენილი დებულება მწვანე მეურნეობის საწარმოო გა-
ერთიანების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 25 ივნისის № 423 დადგენილება „თბილისის მშრომელთა დეპუ-
ტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-სა-
პარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს დებულების დამტკიცების
შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჰითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 25 იანვარი, № 44.

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1985 წლის 25 იანვრის № 44 დადგე-
 ნილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურ-
 ნეობის საწარმოო გაერთიანების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანება, შემდეგ გაერთიანებად წოდებული, შექმნილია „ქალაქ თბილისის გამწვანების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 16 ოქტომბრის № 748 დადგენილების შესაბამისად.

2. გაერთიანება თავის საქმიანობაში უშუალოდ ექვემდებარება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს და ამავე დროს უწყებრივად ექვემდებარება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

3. გაერთიანება არის ერთიანი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, რომელიც შედგება დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული, აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოს, სარემონტო-სამშენებლო, სავაჭრო, საქესპლუატაციო სამსახურებისა და სხვა საწარმოებისაგან და მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

4. გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიში, საწესდებო ფონდი და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

5. გაერთიანების მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯებს აწესებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი გაერთიანების უფროსის წარდგენით. აღნიშნული ხარჯები იფარება მწვანე ნარგავების ექსპლუატაციის საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების განხორციელების შედეგად გაერთიანების მიერ მიღებული სახსრებიდან, აგრეთვე საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხებიდან.

6. თავის მუშაობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, სახელმწიფო სოციალისტური საწარმოს დებულებით, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციებითა და ბრძანებებით და ამ დებულებით.

7. გაერთიანებას აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება, კუთხოვანი შტამპი, მრგვალი ბეჭედი.

8. გაერთიანების შემაღველობაში გაერთიანების აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების სახით შედიან მწვანე მეურნეობის საქალაქო და რაიონული საექსპლუატაციო სამსახურები, აგრეთვე დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული ხუთი საწარმო და ორგანიზაცია:

— მწვანე მშენებლობისა და კონპლექსური კეთილმოწყობის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველო;

— დეკორატიული კულტურების საწარმოო კომბინატი;

— „ყვავილვაჭრობის“ დირექცია;

— მცენარეთა დაცვის სადგური;

— აეტოსატრანსპორტო საწარმო.

9. გაერთიანება არის სოციალისტური სახელმწიფო საწარმო და სარგებლობს ასეთ საწარმოთა დებულებით გათვალისწინებული უფლებებით.

II. გაერთიანების ამოცანები

10. გაერთიანების ძირითად ამოცანებს შეადგენს შემდეგი სამუშაოების ხელმძღვანელობა, ორგანიზაცია და განხორციელება:

ა) პარკების, ბაღების, სკვერების, მწვანე მშენებლობის ობიექტების მშენებლობა საცხოვრებელი განაშენიანებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილებში და მათი სრული საინჟინრო მოწყობა, აგრეთვე საჭირო ნაგებობათა მშენებლობა;

ბ) კონპლექსური კეთილმოწყობის არსებული ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია მათი საინჟინრო მოწყობით;

გ) გარე კეთილმოწყობის ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი;

დ) განაშენიანებისაგან თავისუფალი, მოუხერხებელი და ეროზიული ადგილების, აგრეთვე მდინარეების, ტბებისა და ხელოვნური წყალსატევების სანაპირო ტერიტორიების გამოყენება ქალაქის ფარგლებში მასობრივი დასვენების ადგილების მოსაწყობად;

ე) ყვავილებისა და სარგავი მასალის გამოსაყვანი საწარმოო ბაზების მშენებლობა და გაფართოება;

ვ) ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროებისა და უწყებების, სამრეწველო საწარმოების გარე კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კაპიტალური და მიმდინარე რემონტი შემკვეთებთან სახელშეკრულებო საწყისებზე;

ზ) კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება და ეფექტიანობის ამაღლება, მათი პირველ რიგში წარმართვა ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირება, კაპიტალური მშენებლობის, ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დავალებათა დროულად შესრულების უზრუნველყოფა და საწარმოო სიმძლავრეების მთლიანად გამოყენება;

- თ) ყოველგვარი მწვანე ნარგავების ექსპლუატაცია ქალაქის ფარგლებში, გარდა სპეციალური დანიშნულების მწვანე ნარგავებისა;
- ი) ორგანიზაციათა და უწყებათა ბალანსზე რიცხული მწვანე ნარგავების ექსპლუატაცია ქალაქის ფარგლებში შემკვეთებთან სახელშეკრულებო საწყისებზე;
- კ) მწვანე ნარგავების დაცვა ქალაქის ფარგლებში დაავადება-მაკრობულებისაგან, ხანძრისა და თვითნებური ჭრისაგან;
- ლ) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში მწვანე ფონდის შენარჩუნების და მწვანე ნარგავების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის წესების დაცვისადმი კონტროლი, მიუხედავად მფლობელთა უწყებრივი დაქვემდებარებისა;
- მ) მწვანე მეურნეობისა და გარე კეთილმოწყობის ობიექტების, საწარმოო და სხვა ნაგებობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება როგორც საკუთარი საჭიროებისათვის, ისევე შემკვეთებთან სახელშეკრულებო საწყისებზე;
- ნ) ქალაქის ფარგლებში შენობა-ნაგებობების, მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა საწარმოებლად ტექნიკური პირობების გაცემა მწვანე ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით;
- ო) ხე-ბუჩქოვან მცენარეთა და ყვავილოვანი პროდუქციის, საბაღო-საპარკო ინვენტარის, დეკორატიული მცენარეებისათვის კერამიკისა და ხის ნაკეთობათა წარმოების განვითარება და სრულყოფა ქალაქის მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით;
- პ) საეპროქსელის ორგანიზაცია ყვავილოვან პროდუქციაზე, დეკორატიულ მცენარეებზე, დეკორატიულ მცენარეთა თესლსა და ბოლქვებზე, ყვავილებისათვის კერამიკისა და ხის ნაკეთობებზე და შეყვავილეობისა და დეკორატიული მებაღეობისათვის საჭირო სხვა პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად;
- ჟ) მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენება და წარმოებაში მათი დანერგვის ვადების შემცირება, შესასრულებელ ტექნოლოგიურ სამუშაოთა მაღალი ხარისხის, განსახორციელებელ სამეცნიერო-ტექნიკურ ნამუშევართა პერსპექტიულობის, მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- რ) არსებულ ტექნიკურ საშუალებათა რაციონალური გამოყენება; მწვანე მშენებლობაში, მწვანე ნარგავების ექსპლუატაციასა და დეკორატიული კულტურების წარმოებაში შრომის პროცესების მექანიზაციის განხორციელება;
- ს) შრომის დისციპლინის განმტკიცება და კადრების დამკვიდრებისათვის საჭირო პირობების შექმნა, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებისა და სისტემების სრულყოფა;
- ტ) დაგეგმვის, მართვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა;

უ) სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება, წარმოების მართვაში, გაერთიანების კოლექტივის სოციალური განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა.

III. გაერთიანების ხელმძღვანელობა

11. გაერთიანების მართვა ხორციელდება გაერთიანების საქმიანობის ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში ერთმართველობისა და კოლეგიურობის სწორი შეხამების საფუძველზე.

12. გაერთიანების ხელმძღვანელობას ახორციელებს გაერთიანების აპარატი, რომელსაც სათავეში უდგას ერთმართველობის საფუძველზე მოქმედი გაერთიანების უფროსი. გაერთიანების უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

13. გაერთიანების უფროსი წარმოადგენს გაერთიანების ინტერესებს ყველა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად განაგებს გაერთიანებისათვის მიჩენილ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს.

14. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაერთიანების უფროსი გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს სამუშაოზე და დაითხოვს სამუშაოდან გაერთიანების მუშაკებს, აგრეთვე დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით, — გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს, გამოიყენებს გაერთიანების სისტემის მუშაკთა მიმართ წახალისების ღონისძიებებს და დაადებს მათ სასჯელებს.

15. გაერთიანების უფროსი აუქმებს უშუალოდ დაქვემდებარებული და გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებს და გასცემს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს ასეთი ბრძანებების შეცვლის შესახებ, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, ამ დებულებასა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

16. გაერთიანების მთავარ აგრონომს, უფროსის მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს, საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს, იურისკონსულტს, გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი გაერთიანების უფროსის წარდგენით.

17. გაერთიანების უფროსის მოადგილეთა ფუნქციებსა და გაერთიანების სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა ფუნქციებს განსაზღვრავს გაერთიანების უფროსი მოქმედი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

გაერთიანების მთავარი აგრონომი და უფროსის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ გაერთიანების სახელით მინდობილობის გარეშე, წარმოადგენენ გაერთიანების ინტერესებს სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე აძლევენ მინდობილობებს გაერთიანების მუშაკებს.

18. გაერთიანების სტრუქტურასა და საშტატო რიცხოვნობას ამტკიცებს თბილისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

გაერთიანებისა და სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მმართველობის აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს გაერთიანების უფროსი.

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ მწვანე მეურნეობის საქალაქო და რაიონულ საექსპლუატაციო სამსახურებს უფლება აქვთ აწარმოონ კადრების აღრიცხვა, მიიღონ სამუშაოზე და გაათავისუფლონ სამუშაოდან მუშაკები გაერთიანების მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

19. გაერთიანების მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს აწესებს და ცვლის გაერთიანების უფროსი თანამდებობრივი სარგოები მოქმედი სქემის შესაბამისად გაერთიანების ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც გამოანგარიშებულია თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო სარგოების მიხედვით.

20. გაერთიანების ინტერესების უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ინტერესებთან შეხამების, აგრეთვე მთლიანად გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით გაერთიანებაში იქმნება საწარმოო გაერთიანების საბჭო. საწარმოო გაერთიანების საბჭოში შედიან გაერთიანების უფროსი, მთავარი აგრონომი, გაერთიანების უფროსის მოადგილეები, ქვედანაყოფთა უფროსები, აგრეთვე შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენელი.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის შეიძლება მიწვეულ იქნენ გაერთიანების სპეციალისტები და ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი, აგრეთვე სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საწარმოო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეა გაერთიანების უფროსი. გაერთიანების საბჭო განიხილავს:

— გაერთიანების, მისი საწარმოო ერთეულების განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს, აგრეთვე გაერთიანებისათვის დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა განვითარების გეგმების პროექტებს, ამასთან გაითვალისწინებს ოპტიმალური გეგმების მიღებას და წარმოების რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას;

— ანგარიშებს გაერთიანების, მისი საწარმოო ერთეულების, აგრეთვე გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ;

— ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის საკითხებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების პროექტებს, რომელთა მიზანია საქვეუწყებო ორგანიზაციათა სპეციალიზაციისა და კოოპერირების უზრუნველყოფა,

საწარმოო სიმძლავრეთა, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენება, გაერთიანების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა;

შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის, მართვისა და საშეურნეო ანგარიშის, შრომის ნორმირების, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმებისა და სისტემების სრულყოფის საკითხებს;

კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს და გაერთიანების საქმიანობის სხვა საკითხებს.

საწარმოო გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, გაერთიანების უფროსის ბრძანებებით.

საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების გამო გაერთიანების უფროსსა და საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში გაერთიანების უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს ზემდგომ ორგანოს. საბჭოს წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ შეატყობინონ თავიანთი აზრი ზემდგომ ორგანოს.

21. ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემების, საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის განვითარების საკითხების განსახილველად, წარმოებაში სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისა და გამოყენების თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად გაერთიანებაში იქმნება ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭო მალალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს გაერთიანების უფროსი.

IV. მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ქონება

22. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ქონება შედგება ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრებისაგან, რომლებიც ქმნიან მის საწესდებო ფონდს, აგრეთვე გაერთიანებისათვის მიჩენილი სხვა ქონებისა და ფონდებისაგან.

გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებზე, ხოლო უშუალოდ გაერთიანებისათვის მიჩენილი ქონება— გაერთიანების დამოუკიდებელ ბალანსზე. აღნიშნული ბალანსები შედის გაერთიანების კრებსით ბალანსში.

23. მწვანე მეურნეობის გაერთიანებაში იქმნება შემდეგი ფონდები:

- წარმოების განვითარების ფონდი;
- მატერიალური წახალისების ფონდი;
- სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

— ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ფონდი;
 — კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ფონდი;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობის ფონდი;

— სხვა ფონდები სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

24. გავრთიანების საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობა, მათი ზრდა ან შემცირება მტკიცდება დადგენილი წესით, საგეგმო დავალებებიდან გამომდინარე და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვისა და მარაგის ნორმების შესაბამისად.

ნორმატივის ფარგლებში გავრთიანებისათვის მიჩენილი საბრუნავი სახსრები არ შეიძლება ჩამოართვას მას თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

ზედმეტი საბრუნავი სახსრები შეიძლება ჩამოართვას გავრთიანებას თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მხოლოდ გავრთიანების წლიური ანგარიშის მიხედვით გადაწაწილების წესით ან გავრთიანების საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შეცვლისას.

25. გავრთიანებისათვის მიჩენილი შენობა-ნაგებობანი, მოქმედი მოწყობილობა და სხვა ძირითადი საშუალებანი შეიძლება გადაეცეთ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

26. ძირითადი ფონდებისათვის განკუთვნილი დროებით გამოუყენებელი შენობა-ნაგებობანი, საწარმოო, სასაწყობო და სხვა სადგომები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ობიექტები გავრთიანებას შეუძლია იჯარით მისცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს. შენობა-ნაგებობებისა და სადგომების იჯარის ქირა გადახდებთ ქალაქ თბილისში მოქმედი განაკვეთების მიხედვით, ხოლო ძირითადი ფონდებისათვის მიკუთვნილებული სხვა ობიექტების იჯარის ქირა — არა უმეტეს საამორტიზაციო ანარიცხების თანხისა და მოცემული სახეობის ქონების ფონდების გადასახდელისა.

27. ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობებს (მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები, სათბობი და ა. შ.) საწარმოო გავრთიანება ასაღებს დადგენილი წესით.

ძირითადი საშუალებებისათვის განკუთვნილ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები რჩება გავრთიანების განკარგულებაში მისი საბრუნავი სახსრების სახით.

ძირითადი საშუალებებისათვის განკუთვნილ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები რჩება გავრთიანების განკარგულებაში და იგი შეიტანს წარმოების განვითარების ფონდში.

28. გავრთიანება ახდენს საამორტიზაციო ანარიცხებს კაპიტალური რემონტისათვის და ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის.

კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად გათვალისწინებული სა-
ამორტიზაციო ანარიცხები შეადგენენ გაერთიანების მიზნობრივ ფონდს და
იგი მათ ხარჯავს როგორც კაპიტალური რემონტისათვის, ისევე ძირითადი
ფონდების მოდერნიზაციისათვის, აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებისათვის
საჭირო დეტალებისა და კვანძების შესაძენად.

აღნიშნული ფონდის სახსრების ხარჯზე შეიძლება გაწეულ იქნეს აგრეთ-
ვე ახალი მოწყობილობის შეძენის დანახარჯები ნაცვლად მოძველებულისა,
რომლის კაპიტალური რემონტი ეკონომიკურად მიზანშეუწონელია.

ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული სა-
ამორტიზაციო ანარიცხები დაწესებული ოდენობით რჩება გაერთიანების გან-
კარგულებაში და შეიტანება წარმოების განვითარების ფონდში. ძირითადი
ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანა-
რიცხების დანარჩენი ნაწილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხმარ-
დება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას.

29. მატერიალური წახალისების ფონდისა და სოციალურ-კულტურული
ლონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ოდენობას, აგრეთვე ამ
ფონდებსა და წარმოების განვითარების ფონდში მოგების ანარიცხების ნორ-
მატივებს მთლიანად საწარმოო გაერთიანების მიხედვით განსაზღვრავს დად-
გენილი წესით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი
შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით.

მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები იხარჯება დაწესებული
საპრემიო სისტემების მიხედვით გაერთიანების მუშაკთა პრემირებისათვის,
წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით ჯილდოების გასაცემად და მათთვის
ერთდროული დახმარების გასაწევად.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონ-
დის სახსრები გამოიყენება გაერთიანების მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვ-
რებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

მატერიალური წახალისების ფონდისა და სოციალურ-კულტურული ღო-
ნისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯვის ნუსხას
ამტკიცებს გაერთიანების ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგა-
ნოსთან ერთად.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გა-
ერთიანების ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ჩამორთმევა და გადანა-
წილება არ დაიშვება, გარდა სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული
შემთხვევებისა. ამასთან მატერიალური წახალისების ფონდისა და სოციალურ-
კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების
ჩამორთმევა არ შეიძლება შრომითი კოლექტივის თანხმობის გარეშე. ეკო-
ნომიკური სტიმულირების ფონდების გამოუყენებელი ნაშთები რჩება გაერ-
თიანების განკარგულებაში და გადადის მომდევნო წელს.

V. გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

30. გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს ახორციელებს გაერთიანების უფროსი და მოვალეობათა დაწესებული განაწილების შესაბამისად — მისი მოადგილეები.

31. გაერთიანება ახორციელებს მწვანე მეურნეობის საქალაქო და რაიონული საექსპლუატაციო სამსახურების საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას, აგრეთვე დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ საქვეუწყებო ორგანიზაციათა საქმიანობის ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას.

უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში

32. ზემდგომი ორგანოების დავალებათა და გაერთიანების მიერ გამოშვებულ პროდუქციასა და მომსახურების გაწევაზე სახალხო მეურნეობისა და ქალაქ თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილების საფუძველზე მწვანე მეურნეობის გაერთიანება შეიმუშავებს თავისი საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს, აგრეთვე წინადადებებს უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმების პროექტების გამო და წარუდგენს დასამტკიცებლად ზემდგომ ორგანოებს.

33. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი განიხილავს საწარმოო გაერთიანების მონაწილეობით და ამტკიცებს მის ხუთწლიან და წლიურ საგეგმო დავალებებს სისტემისათვის დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით და უზრუნველყოფს გაერთიანებას ამ დავალებათა შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსებითა და ხელფასის ფონდით.

გაერთიანების გეგმების ყველა დანარჩენ მაჩვენებელს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი არ ამტკიცებს, არამედ შეიმუშავებს გაერთიანება და გამოიყენებენ საგეგმო ორგანოები გეგმების დასაბუთებისათვის საანგარიშო მასალების სახით.

34. საგეგმო დავალებათა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად გაერთიანება შეიმუშავებს წლიურ ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმას, საწარმოო სამეურნეო საქმიანობის კვარტალურ და თვიურ გეგმებს, რომლებსაც ამტკიცებს გაერთიანების უფროსი.

35. დაწესებულ საგეგმო დავალებათა საფუძველზე გაერთიანება ამტკიცებს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისათვის ხუთწლიანი, წლიური, კვარტალური და თვიური გეგმების ძირითად მაჩვენებლებს.

36. გაერთიანებისათვის საგეგმო დავალებათა შეცვლისას ამავე დროს შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილებანი ყველა ურთიერთდაკავშირებულ საგეგმო მაჩვენებელში, ბიუჯეტთან ურთიერთობის ჩათვლით, ზემდგომი ორგანოს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

37. საწარმოო გაერთიანებას შეუძლია დაამზადოს პროდუქცია დაწესებული გეგმის გადამეტებით მხოლოდ იმ პირობით, თუ უზრუნველყოფს აღნიშნული პროდუქციის გასაღებას.

38. საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს ზეგეგმითი პროდუქციის განაწილების მოქმედი სისტემის გათვალისწინებით მიიღოს სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შეკვეთები გეგმის გადამეტებით შემკვეთის ნედლეულითა და მასალებით ან თავისი მასალებითა და წარმოების ნარჩენებით პროდუქციის წარმოებისა და დამზადებისათვის, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს დაწესებული გეგმისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას.

39. გაერთიანებას უფლება აქვს, ზემდგომი ორგანოსათვის შეტყობინებით, ყვავილოვან პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქონელბრუნვის გეგმის შესრულების რეგულირების მიზნით დააწესოს და შეცვალოს დასაბუთებული მიზეზების გამო მოსახლეობისაგან ყვავილოვანი პროდუქციის შესყიდვის გეგმა.

40. საწარმოო გაერთიანება ხელმძღვანელობს საგეგმო მუშაობის ორგანიზაციას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, ამასთან უზრუნველყოფს გეგმების ხარისხიანად და დროულად შემუშავებას, მათს სტაბილურობას, აგრეთვე ყოველდღიურ კონტროლს უწევს გეგმების შესრულებას და ახორციელებს ამისათვის საჭირო ღონისძიებებს.

უფლება-მოვალეობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში

41. გაერთიანება უზრუნველყოფს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, ახორციელებს კონტროლს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ვადების დაცვისადმი, ორგანიზაციას უწევს გამოცდილების გაზიარებას და სოციალისტურ შეჯიბრებას, აწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის კონკურსებსა და დათვალეირებებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად.

42. გაერთიანებას შეუძლია დაუდოს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხელშეკრულებანი გაერთიანებისათვის კომპლექსური ნამუშევრების, ცალკეული მეცნიერული გამოკვლევებისა და დაპროექტების განსახორციელებლად.

დარგში ახალ სამეცნიერო-ტექნიკურ მიმართულებათა შექმნის მიზნით მეცნიერული გამოკვლევების, ცდების, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა განსახორციელებლად ტექნიკური დავალებანი გაერთიანებამ დასკვნისათვის აუცილებლად უნდა წარუდგინოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრს.

აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ხარჯები გაიღება ამ მიზნით გაერთიანებაში არსებული სახსრებიდან აგრეთვე ბანკის კრედიტებიდან.

43. გაერთიანება უზრუნველყოფს წარმოების ტექნიკური ღონის განუწყვეტელ ამაღლებას, წარმოებაში გამოყენებულ ტექნოლოგიურ პროცესთა და მათი მართვის სისტემათა სრულყოფას ძირითად და დამხმარე საწარმოო პროცესთა კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.



გაერთიანება შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით ახალი ტექნიკის დანერგვის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, ამასთან გაითვალისწინებს მათში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებას.

უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

44. გაერთიანება ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიან გამოყენებას, მათს წარმართვას, უწინარეს ყოვლისა, ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავალტურვისა და რეკონსტრუქციისათვის, პროპორციების გაუმჯობესებას გაერთიანების ფარგლებში, სახსრების კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებსა და მშენებლობებზე, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას.

45. გაერთიანება ამტკიცებს:

— ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე განსახორციელებელ საწარმოო დანიშნულების მშენებლობათა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, სატიტულო სიებს, მომავალი წლების მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებული კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ლიმიტის ფარგლებში;

— წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოო დანიშნულების მოქმედი ობიექტების გაფართოების (რეკონსტრუქციის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს, მიუხედავად სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების და დაფინანსების სხვა არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე განსახორციელებელი ობიექტების მშენებლობისა და გაფართოების (რეკონსტრუქციის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს, მიუხედავად სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა;

— შინასამშენებლო სატიტულო სიებს მოიჯარესთან შეთანხმებით;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ხარჯზე საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს ამტკიცებს გაერთიანება პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით.

46. გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს სახელშეკრულებო საწყისებზე საიჯარო ორგანიზაციებს შესასრულებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელფასის ფონდები, მატერიალური რესურსებისა და მასალების ფონდები. ამასთან შემდგომ შეატყობინოს ეს თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

47. გაერთიანებას უფლება აქვს დაამტკიცოს საიჯარო ორგანიზაციასთან შეთანხმებით იმ სამუშაოთა ერთეული ფასდებანი, რომლებზეც მოთხოვნილება წარმოიშობა მშენებლობის მსვლელობაში, თუ ამ სამუშაოთა ფასდებანი დამტკიცებული არაა დადგენილი წესით.

48. კაპიტალური რემონტის სამუშაოთა გეგმებს და შესაბამის სახარჯთ-ალრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს, ამტკიცებს საწარმოო გაერთიანების უფროსი, ხოლო მისი არყოფნისას — უფროსის მოადგილე მშენებლობის სა-კითხებში. კაპიტალური რემონტის სამუშაოები ხორციელდება როგორც სა-მეურნეო, ისევე საიჯარო წესით.

გაერთიანების მიერ საიჯარო ორგანიზაციისათვის კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მოცულობის გადაცემისას გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს საიჯარო ორგანიზაციას აგრეთვე შესაბამისი ხელფასის ფონდები, მატერიალური რესურსებისა და მასალების ფონდები, ამასთან შემდგომ შეატყობი-ნოს ეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

49. გაერთიანება თავისი სტრუქტურული საპროექტო ქვედანაყოფის ძა-ლებით შეიმუშავებს იმ ობიექტების საპროექტო-სახარჯთალრიცხვო დოკუ-მენტაციას, რომელთა სახარჯთალრიცხვო ღირებულება არ აღემატება 100 ათას მანეთს, გარდა ამისა, დაუდებს საპროექტო ორგანიზაციებს ხელშეკრულებებს საპროექტო-სახარჯთალრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად.

უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში

50. გაერთიანება ორგანიზაციას უწევს და უზრუნველყოფს გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, ადგენს განაცხადებს მწვანე მშენებლო-ბის, მეყვავილეობის, დეკორატიული მებაღეობისა და გარე კეთილმოწყობის საჭიროებისათვის აუცილებელ მასალებზე, მექანიზმებსა და ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე, აგრეთვე აწესებს მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ნორმატივებს და უნაწილებს მატერიალურ-ტექნიკურ ფონდებს საწარმოო ორგანიზაციებს.

51. გაერთიანებას შეუძლია შეიძინოს ფონდების გარეშე სხვა საწარმო-ორგანიზაციებისაგან უგანრიგოდ რეალიზებული პროდუქცია, ზედმეტი მატე-რიალური ფასეულობანი, აგრეთვე შეისყიდოს მატერიალურ-ტექნიკური უზ-რუნველყოფის აუცილებელი საგნები საბითუმო და საცალო ვაჭრობის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

52. გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს სხვა საწარმო-ორგანიზაციებს ფონდები და მისცეს მათ თავისი რესურსებიდან მასალები, საკომპლექტებელი მოწყობილობა დაწესებული ნორმების მიხედვით გაერთიანებისათვის საჭირო პროდუქციის დასამზადებლად ხელშეკრულებათა საფუძველზე.

უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

53. გაერთიანება ახორციელებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემა-ვალი ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას, განსაზღვრავს ნორ-მატივების მიხედვით მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას შრომითს რესურსებზე, იღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაციონალური გამოყენე-ბისათვის და ახორციელებს ღონისძიებებს გაერთიანების მუდმივი კადრების შექმნის მიზნით.

54. გაერთიანება განუწყვეტლივ სრულყოფს თავის სტრუქტურას, ამასთან აღწევს წარმოების მართვის ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას მართვის ოპტიმალური სქემების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რიცხოვნობის ნორმატივების გამოყენების, მართვის ყველაზე ეკონომიკური აპარატის მქონე გაერთიანებათა გამოცდილების გამოყენების საფუძველზე.

55. გაერთიანება ახორციელებს და განუწყვეტლივ სრულყოფს შრომის ორგანიზაციას, განუხრელად ამაღლებს მისი ნორმირების დონეს, სისტემატურად ატარებს შრომის მოქმედი ნორმებისა და ნორმატივების შემოწმებას, დადგენილი წესით განსაზღვრავს დროს, მომსახურების დარგთაშორის და დარგობრივ ნორმებსა და გამოსაყენებლად საეალღებულო სხვა ნორმატივებს, ქმნის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობებს, ამასთან აღწევს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას.

56. გაერთიანება ახორციელებს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებებს იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მუშაკთა მატერიალური დაინტერესება როგორც მათი პირადი შრომის შედეგებით, ისევე საწარმოო ერთეულებისა და მთლიანად გაერთიანების მუშაობის საერთო შედეგებით, უზრუნველყოფს თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის, ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას, აგრეთვე დროულ ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურებთან.

57. გაერთიანება უზრუნველყოფს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურ გაუმჯობესებას, ორგანიზაციას უწევს საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

58. გაერთიანება:

— აწესებს სანარდო, დროებრივ ან აკორდულ შრომის ანაზღაურებას მუშათა ცალკეული გჯუფებისათვის, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურებისათვის;

— საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, აგრეთვე წარმოების ეფექტიანობისა და რენტაბელობის ამაღლებით გაერთიანების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით შეიმუშავებს და ამტკიცებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დებულებებს მთლიანად გაერთიანების ხაზით პრემირების შესახებ. ამასთან გაერთიანების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირების მაჩვენებლებს, პირობებსა და ოდენობას აწესებს გაერთიანების უფროსი. გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირების მაჩვენებლებს, პირობებსა და ოდენობას აწესებენ ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები გაერთიანების მუშაკთა პრემირების დებულების შესაბამისად;

— განსაზღვრავს იმ მუშათა პროფესიების ნუსხას, რომლებსათვისაც შრომის დროებრივი ანაზღაურების პირობებში გამოიყენება მენარდეთა სატარიფო განაკვეთები, აგრეთვე იმ მუშათა ცალკეულ პროფესიებს, რომლებსაც უწესდებათ თვიური სარგოები სატარიფო განაკვეთების ნაცვლად, დადგენილი წესით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად. დროებრივი მუშებისათვის მენარდე მუშათა სატარიფო განაკვეთები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ შრომითი დანახარჯების დარგობრივი და სხვა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების (ნორმირებული დავალებების, მომსახურების ნორმებისა და რიცხოვნობის ნორმატივების) მიხედვით.

59. გაერთიანებას უფლება აქვს დაუწესოს მალაკვალიფიციურ ოსტატებსა და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ხელფასის დანამატები თანამდებობრივი სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის საგეგმო ფონდის ფარგლებში, ამასთან გამოიყენოს ამ მიზნით გაერთიანების ხელფასის საგეგმო ფონდის 0,3 პროცენტამდე.

აღნიშნული დანამატები საშტატო განრიგის მიხედვით საშუალო ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.

60. გაერთიანება განსაზღვრავს მუშათა პროფესიებისა და იმ სამუშაოთა ნუსხებს, რომლებიც ნაზღაურდება ვადიდებული სატარიფო განაკვეთების მიხედვით შრომის მძიმე და მავნე პირობებთან დაკავშირებით, წარმოების დარგების მიხედვით ამ პროფესიათა და სამუშაოთა მოქმედი ტიპობრივი ნუსხების შესაბამისად.

61. გაერთიანება აწესებს სამუშაოთა თანრიგებს და აკუთვნებს მუშებს თანრიგებს სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად.

62. გაერთიანება აწესებს თანამდებობრივ მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და ტექნიკურ შემსრულებელთა მიმართ მოსამსახურეთა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად და ატარებს დადგენილი წესით გაერთიანების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციას.

63. გაერთიანება მიაკუთვნებს საწარმოო ერთეულებს, აგრეთვე საწარმოო ერთეულთა უბნებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესაბამის ჯგუფს (კატეგორიას), აგრეთვე გადაჰყავს ისინი ერთი ჯგუფიდან (კატეგორიიდან) მეორეში წარმოების მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან ხელმძღვანელობს დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით.

64. გაერთიანება დადგენილი წესით ამტკიცებს ახალ და გადასინჯავს მოქმედ გამომუშავების ნორმებს, მომსახურების ნორმებს, მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივებსა და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივებს, ამასთან აღიდებს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ხვედრითს წონას.

65. გაერთიანებას პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით შეუძლია დაუწესოს ძირითადი სამუშაოსაგან გაუთავისუფლებელ ბრიგადირებს მუშათა რიცხვიდან დანამატი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით არა უმეტეს ხუთკაციანი ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის იმ პირობით, თუ ბრიგადა გადაამეტებს დაწესებულ თვიურ ნორმირებულ დავალებებს.

66. გაერთიანებას შეუძლია წინა კვარტალებსა და თვეებში დაზოგილი ხელფასის ფონდი გეგმის შესრულების პროცენტის შესაბამისად გაანგარიშებული (მოქმედი ნორმატივის გათვალისწინებით), გამოიყენოს ხელფასისა და პრემიების გასაცემად იმავე წლის მომდევნო კვარტალებსა და თვეებში.

ხელფასის ფონდის გადახარჯვა უნდა ანაზღაურდეს ერთი-ორი კვარტალის განმავლობაში. გაერთიანების მიერ გადახარჯული ხელფასის ფონდის შეუვსებელი ნაწილი მასზე ირიცხება გადახარჯვის წარმოქმნის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში. გაერთიანების ხელმძღვანელ მუშაკთათვის დარიცხული პრემიები მთლიანად გაერთიანების ხაზით ხელფასის ფონდის შედარებითი გადახარჯვისას მცირდება დაშვებული გადახარჯვის თანხით, მაგრამ არა უმეტეს დარიცხული პრემიების 50 პროცენტისა. გადახარჯვის ანაზღაურებამდე. თუ გაერთიანება ექვს თვემდე პერიოდში აანაზღაურებს ხელფასის ფონდის დაშვებულ გადახარჯვას, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ პრემიის იმ ნაწილის 50 პროცენტი, რომელიც არ მისცემიათ წინა პერიოდებში ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით.

თუ მთლიანად გაერთიანებას არა აქვს ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მას შეუძლია ჩამოსწეროს ცალკეული საწარმოო ერთეულის მიერ წინა პერიოდში ხელფასის ფონდის აუნაზღაურებელი გადახარჯვა.

თუ მთლიანად გაერთიანებას აქვს ხელფასის ფონდის ეკონომია, მას შეუძლია ნება დართოს სრული ოდენობით მიეცეთ პრემიები აგრეთვე იმ საწარმოო ერთეულთა ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც გააუმჯობესეს მუშაობა, მაგრამ არ აუნაზღაურებიათ წინა პერიოდში დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა.

67. გაერთიანების უფროსს შეუძლია ნება დართოს გაერთიანების მმართველობის მუშაკებს, აგრეთვე დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა მუშაკებს მივიღებულ იქნენ როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისევე მის ფარგლებს გარეთ.

უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში

68. გაერთიანება ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს მუშაობას ფინანსების დაგეგმვისათვის, შეიმუშავეს და ახორციელებს საფინანსო გეგმის დავალებათა შესრულების, სამეურნეო ანგარიშის, საგეგმო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების, რენტაბელობის ამალღების ღონისძიებებს, უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას, მათი ბრუნვადობის დაჩქარებას, ზემდგომი ორგანოს მიერ დაწესებულ ბიუჯეტის გადასახდელთა წლიური და კვარტალური დავალებების შესრულებას, დროულად ანგარიშსწორებას ბანკებთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ზემდგომ ორგანიზაციასთან, მუშა-მოსამსახურეებთან ხელფასის ხაზით, საფინანსო გეგმიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებას.

69. გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული დამოუკიდებელბალანსიანი საწარმოები და ორგანიზაციები სარგებლობენ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით, შეუძლიათ თვითონ გაუსწორონ ანგარიში ბიუჯეტს მოგების გადასახდელთა ხაზით, ანდა ეს ანგარიშსწორება შეუძლია გაერთიანებას ცენტრალიზებულად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით თბილისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით.

70. გაერთიანება ხსნის დადგენილი წესით ბანკების დაწესებულებებში ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს და ასრულებს მათ გამო შესაბამის ოპერაციებს.

71. გაერთიანებას შეუძლია ისარგებლოს ბანკის კრედიტით და ეკისრება პასუხისმგებლობა მისი მიზნობრივი გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისათვის.

გაერთიანებისათვის საჭირო კრედიტების მისაცემად განაცხადებს იგი წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებს, აგრეთვე თბილისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

72. გაერთიანება განსაზღვრავს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებს ელემენტების მიხედვით საერთო ნორმატივის ფარგლებში.

73. გაერთიანება შეაქვს არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობას, რომელიც წარმოიქმნა მოგების გეგმის შეუსრულებლობის ან მოგებით დაფინანსებული ზეგეგმითი ხარჯების განხორციელების შედეგად, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით დამატებითი მოგების მისაღებად ზემდგომი ორგანოს მიერ დაწესებულ დაჯაღებათა შესრულების ხარჯზე, აგრეთვე ამ მიზნისათვის დადგენილი წესით გამოსაყენებელი ზეგეგმითი მოგების ნაწილის ხარჯზე და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების მოგების ანარიცხების შემცირებით 30 პროცენტამდე ოდენობით.

74. გაერთიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს გამოსაშვები პროდუქციის ფასებს (ტარიფებს) ან შემომშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით ფასების (ტარიფების) პროექტებს და ეკისრება პასუხისმგებლობა ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის.

75. გაერთიანებას უფლება აქვს ჩამოსწეროს ბალანსიდან მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ინსტრუმენტები, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და იგი არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს.

გაერთიანებას უფლება აქვს აგრეთვე ჩამოსწეროს ბალანსიდან ახალი ობიექტების მშენებლობასთან ან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აღებული, აგრეთვე დაძველებული შენობა-ნაგებობანი.

76. გაერთიანებას უფლება აქვს, ზემდგომი ორგანოსათვის შეტყობინებით, ჩამოსწეროს ზარალში დადგენილი წესით:

— სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაგასული დებიტორული დავალიანება;
 — მისჯილი ვალი, რომლის გამო დაბრუნებულია სააღსრულებო დოკუმენტები სასამართლოს მიერ დამტკიცებული აქტით იმის შესახებ, რომ მოპასუხე ვალაუფალია და არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება მის ქონებაზე;

— სხვა ვალი, რომელიც გავრცელებამ უიმედოდ სცნო.

77. გაერთიანებას უფლება აქვს, ზემდგომი ორგანოსათვის შეტყობინებით, ჩამოსწეროს თავისი ბალანსიდან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში 100 მანეთის ფარგლებში:

— ფასეულობათა დანაკლისი დანაკლისის ნორმების გადამეტებით, აგრეთვე საქონლის, მასალებისა და პროდუქციის გაფუჭებით გამოწვეული დანაკარგები იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული დამნაშავეები დაუდგენელია;

— სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისით გამოწვეული ვალი, რომლის გადახდევინებაზე სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო.

78. ამ დებულების 76-ე და 77-ე პუნქტებით გათვალისწინებული ზარალი გაერთიანების ბალანსიდან შეიძლება ჩამოიწეროს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით საჯულდაჯულოდ შემოწმდება ზარალის მიზეზები, გამოვლინდებიან ამ საქმეში დამნაშავე პირები და ძილებული იქნება საჭირო ზომები ზარალთან დაკავშირებით დაკარგული თანხების მათთვის გადასახდევინებლად.

79. გაერთიანებას უფლება აქვს გადაახდევინოს ორგანიზაციებს დადგენილი წესით ქალაქის განაშენიანებასთან და მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანასთან დაკავშირებით მწვანე ნარგავების იძულებით აღების ან გადარგვისათვის დაზიანებული და განადგურებული მწვანე ნარგავების აღდგენის ღირებულება.

80. გაერთიანებას უფლება აქვს შენობა-ნაგებობების, მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის შედეგად მწვანე ნარგავების იძულებით აღებისათვის ორგანიზაციებისაგან მიღებული ფულადი სახსრები გამოიყენოს ძირითადი ფონდების აღსადგენად და შესაძენად, აგრეთვე მწვანე მეთურნობისა და მეყვავილეობის განვითარებისათვის გათვალისწინებული საბრუნავი სახსრების შესაესებად.

81. გაერთიანება აწარმოებს საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას. დადგენილი წესით შეადგენს და წარუდგენს შესაბამის ორგანოებს ანგარიშგებას გაერთიანების ყოველგვარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის დამტკიცებული ნორმების ნიხედვით და დაწესებულ ვადებში და პასუხს აგებს მისი უტყუარობისათვის; ახორციელებს სააღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა ცენტრალიზაციას, ნერგავს აღრიცხვის პროგრესულ მეთოდებს; განიხილავს და ამტკიცებს გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს.

82. გაერთიანების საქმიანობის შემოწმებებსა და რევიზიებს ატარებენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი და სხვა ორგანოები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

83. გაერთიანება ახორციელებს შემოწმებას და რეგულარულად ატარებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს, უზრუნველყოფს მათი სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა შენარჩუნებას, ეკონომიის რევიზიის დაცვას.

VI. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

84. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დადგენილი წესით.

10 შინამრეწველ-ხელოსანთა, რეპაბლიკორთა და კერძო სამე- დიცინო კვაპტივის მქონე მოქალაქეთა გამოვლენისა და გადსახადით დაგაბჟრისათვის მუშაოვის შემდგომი გაუმჯობესე- ბის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სარგებლობს რა სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით, რესპუბლიკაში შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას ეწევა 3,7 ათასი მოქალაქე, აქედან 2 ათასზე მეტი კაცი მუშაობს დაქირავებით, 1,5 ათასი კაცი ომისა და შრომის პენსიონერი და ინვალიდია, რომლებსთვისაც შინამრეწველობის შემოსავალი პენსიის გარკვეულ დანამატს წარმოადგენს, ხოლო შრომისუნარიან მოქალაქეთა შინამრეწველ-ხელოსანთა ნაწილს შეადგენენ დისახლისები, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის შვილები. მათ მიერ ადგილობრივი და ბაზარზე ნაყიდი ნედლეულისა და მასალებისაგან გამომუშავებული პროდუქცია და მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების მოცულობა, რომლებზეც მოთხოვნილება ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება, წელიწადში 6,4 მილიონ მანეთს აღემატება. ამ წყაროდან საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოდის 800 ათას მანეთზე მეტი.

ამასთანავე სახალხო დეპუტატთა ცალკეული საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები უკანონოდ ზღუდავენ შინამრეწველ-ხელოსანთა საქმიანობას, აბრკოლებენ მათთვის სარეგისტრაციო მოწმობების მიცემას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში თავიანთი გადაწყვეტილებებით კრძალავენ მთელ რიგ შინამრეწველურ-ხელოსნურ ნაკეთობათა რეწვას და საკოლმეურნეო ბაზრებზე რეალიზაციას, რაც ხელს უწყობს შინამრეწველ-ხელოსანთა ნაწილის გადასვლას არალეგალურ მუშაობაზე.

ამასთან ერთად არალეგალურად მუშაობს ზოგიერთი კერძო რეპეტიტორი და ექიმი, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც აკრძალულ რეწვას ეწევიან. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არ იჩენენ საკმარის მკაცრ მომთხოვნელობას საფინანსო ორგანოების, შინაგან საქმეთა ორგანოების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ასეთ პირთა აღრიცხვისა და გამოვლენისათვის. არ აბაენ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოებს, მიკრორაიონების საბჭოებს, ქუჩის კომიტეტებს, საზოგადოებრიობას.

სუსტად სწავლობენ შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვითი საქმიანობის საჭიროებას, შინამრეწველ-ხელოსანთა პროდუქციის ფასებსა და ტარიფებს, არ იღებენ მათ დონეზე ზემოქმედების ჯეროვან ზომებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმინისტრაციული კომისიები არ ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს არალეგალურად მომუშავე შინამრეწველ-ხელოსანთა მიმართ.

„სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობაზე ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის ოდენობის დამოკიდებულების გაძ-

ლიერების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 3 აგვისტოს № 834 დადგენილების შესაბამისად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 21 აპრილის დავალების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— მიიღონ ზომები შინამრეწველ-ხელოსანთა, რეპეტიტორთა, კერძო პრაქტიკის მქონე მედიცინის მუშაკთა გამოვლენისა და გადასახადებით დაბეგვრისათვის მუშაობის ყოველმხრივ გასაუმჯობესებლად, ამასთან გააძლიერონ კონტროლი მათი საქმიანობისადმი, ამავე დროს არ შეზღუდონ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მათ მიერ პროდუქციის წარმოება და მოსახლეობისათვის მონსახურების გაწევა, რომლებზეც მოთხოვნილება მთლიანად ვერ კმაყოფილდება, არ დაუშეან მათთვის შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობების მიცენის დაბრკოლების ფაქტები;

— გამოყონ შინამრეწველ-ხელოსანთა მიერ წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციოდ მოსახერხებელი და მოსახლეობისათვის მისაწვდომი სავაჭრო ადგილები საკომუნიკაციო ბაზრებზე;

— მოსთხოვონ საფინანსო ორგანოებს დააწესონ სისტემატური მეთვალყურეობა შინამრეწველურ-ხელოსნურ ნაკეთობათა ფასებსა და ტარიფებზე და მომსახურების გაწევაზე და განახორციელონ ამ ფასებისა და ტარიფების განსაზღვრაზე მიზანდასახული ზემოქმედების ღონისძიებანი;

— გააძლიერონ საფინანსო ორგანოების, შინაგან საქმეთა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ერთობლივი მუშაობა იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც არალეგალურად ეწევიან შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას, რეპეტიტორობასა და კერძო სამედიცინო პრაქტიკას, ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში სახალხო დემუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოები, მიკრორაიონების საბჭოები, ქუჩის კომიტეტები. სისტემატურად განიხილონ მინისტრთა საბჭოების პრეზიდიუმებისა და აღმასკომების სხდომებზე განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგები და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი;

— განახორციელონ მოქალაქეთა შორის, რომლებიც შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას ეწევიან, ღონისძიებანი და განუმარტონ მათ საწარმოებსა და საწეურნეო ორგანიზაციებში მუშაობის უპირატესობანი, სადაც ექნებათ შრომისა და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაბამისი პირობები.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ „სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებსა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში პენსიონერთა, ინვალიდთა და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომის გამოყენების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 სექტემბრის № 555

დადგენილების შესაბამისად შეუქმნან ინვალიდებს, პენსიონერებს, დიასახლისებს საწარმოებში კანონით ვათვალისწინებული სამუშაო დღის რეჟიმისა და შინ სამუშაოს შესრულების შეღავათიანი პირობები.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რათა საქვეუწყებო საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, სამეცნიერო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებმა გააძლიერონ მუშაობა თავიანთ მუშაკთა განოსაჯლენად, რომლებიც რეპეტიტორობას ან კერძო სამედიცინო პრაქტიკას ეწევიან, და აცნობონ მათ შესახებ შესაბამის საფინანსო ორგანოებს.

4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააძლიეროს შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების მუშაობა არალეგალურად მომუშავე შინამრეწველ-ხელოსანთა, განსაკუთრებით იმ პირთა განოსაჯლენად, რომლებიც აკრძალულ რეწვას ეწევიან, და მოქმედი კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ ღონისძიებათა განსახორციელებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მაისის № 283 დადგენილებით დამტკიცებული მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დებულების მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი არალეგალურად მომუშავე შინამრეწველ-ხელოსანთა, რეპეტიტორთა, ექიმთა განოსაჯლენად და მათი ფაქტიური შემოსავლის დასადგენად, შინაგან საქმეთა ორგანოებთან, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებთან, სახალხო დებუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოებთან, მიკრორაიონების საბჭოებთან, ქუჩის კომიტეტებთან, საზოგადოებრიობასთან ამ მუშაობის კოორდინაციის გასაძლიერებლად. სისტემატურად მოისმინოს კოლეგიის სხდომებზე ადგილობრივი საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები ამ საკითხზე და საჭიროების შემთხვევაში წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. ზოგიერთი სახეობის რეწვის შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს „მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებანი და ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების მე-2 და მე-4 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

— „პუნქტი 2: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მაისის № 283 დადგენილებით დამტკიცებული მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად აიკრძალოს 1985 წლის 1 მარტიდან სარევისტრაციო მოწმობების გაცენა, გარდა დებულებაში ჩამოთვლილი აკრძალული სახეობების რეწვისა, შემდეგი რეწვითი საქმიანობისათვის: ყოველგვარი ახალი ფეხსაცმლის შეკერვა, ფეხსაცმლის ნამზადების, აგრეთვე ფეხსაცმლის კალაპოტებისა და ქუსლების დამზადება, ავეჯის (გარდა აკენებისა) და ჩემოდნების დამზადება, ფოტოგრაფიული რეწვა, მატყლისა და ბამბის დაჩეჩვა ელექტროძრავის გამოყენებით, ავტომობილების, მოტოციკლებისა და ველოსიპედების რემონტი, ავტოსაბურავებისა და კამერების ვულ-

კანიზაცია, ფეხსაცმლის შეკეთება და გაწმენდა, ტანსაცმლის შეკერვა. გარდა ეროვნულისა, ყოველგვარი გაზის ქურებისა და ხელსაწყოების დამზადება და რემონტი, საფლავის ძეგლებისა და ფილების დამზადება, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში — საფლავის მოწყობის სამუშაოები“;

— „პუნქტი 4: როგორც გამოჩაყლისი, ფეხსაცმლის შეკეთებისა და ტანსაცმლის კერვის აკრძალვა არ ვრცელდება I და II ჯგუფის ინვალიდებზე, საპენსიო ასაკის მოქალაქეებსა და ომის III ჯგუფის ინვალიდებზე, ხოლო ტანსაცმლის კერვის აკრძალვა — ქალებზე, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის შვილები“.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 22 ოქტომბრის № 732 დადგენილება „მოქალაქეთა შინაშრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილებაში ნაწილობრივ დამატებათა თაობაზე“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 27 მარტის № 171 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილების მე-2 პუნქტის დამატების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. შИТანაშა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 29 იანვარი, № 47.

11 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაზე ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 739 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 2 ნოემბრის № 758 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 ნოემბრის № 605 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები: „ერთი მილიონიდან 3 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „1,5 მილიონიდან 4 მილიონ მანეთამდე“, ხოლო სიტყვები: „ერთ მილიონ მანეთზე ნაკლებია“ — სიტყვებით: „1,5 მილიონ მანეთზე ნაკლებია“.

2. „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებაში:

ა) 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „0,5 მილიონი მანეთი“ შეიცვალოს სიტყვებით: „0,75 მილიონი მანეთი“, ხოლო სიტყვები: „0,5 მილიონ მანეთამდე“ — სიტყვებით: „0,75 მილიონ მანეთამდე“;

ბ) 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში სიტყვები: „ერთი მილიონი მანეთი“ შეიცვალოს სიტყვებით: „1,5 მილიონი მანეთი“, ხოლო სიტყვები: „ერთ მილიონ მანეთამდე“ — სიტყვებით: „1,5 მილიონ მანეთამდე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 25 თებერვალი, № 112.

12 მარტოხელა „შრომისუუნარო“ მოქალაქეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ორგანოები აგვარებენ ამ კატეგორიის პირთა გამოვლენასა და აღრიცხვას. სახალხო დეპუტატთა მთელი რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების დადასტურებით მათ მიმართ ორგანიზებულია შრომითი კოლექტივების შეფობა, რომელიც 770-ზე მეტ კაცს მოიცავს.

მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურების დადებითი გამოცდილება დაგროვდა ქალაქ თბილისის გლდანისა და 26 კომისიის რაიონებში, ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონში. აღნიშნული რაიონების მთელი რიგი საწარმოები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს ურიცხვად სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდიდან სახსრებს მარტოხელა შრომისუუნარო პირთა მომსახურებისათვის. სამკურნალო დაწესებულებანი, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის საწარმოები საჭირო დახმარებას უწყევენ ბინაზე მოხუცებულებსა და ინვალიდებს. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნ-

ველყოფის სამინისტრო ქალაქ თბილისში ახორციელებს ამ კატეგორიის პირთა ბინაზე მომსახურების ექსპერიმენტს მოხუცებულ პენსიონერთა პანსიონატის ბაზაზე, რაც ამართლებს დანიშნულებას.

ამსთანავე მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის მუშაობა, რასაც ახლანდელ დემოგრაფიულ სიტუაციაში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება, რესპუბლიკაში შეზღუდული მასშტაბით მიმდინარეობს და სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ვერ უზრუნველყოფენ ასეთ მოქალაქეთა ჯეროვან აღრიცხვას, რის შედეგადაც ზოგიერთი მათგანი არ ვლინდება და მათი საერთო რაოდენობა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დაუზუსტებელია. სოციალური უზრუნველყოფის ბევრი ადგილობრივი ორგანო არასაკმარისად მუშაობს აღნიშნული კატეგორიის პირთა მომსახურების საკითხებზე, არ იჩენს სათანადო აქტიურობასა და დაუცხრომლობას ამ საქმეში. სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს მარტოხელა შრომისუუნარო პირთა სამედიცინო-სანიტარიული მომსახურება ბინაზე, რასაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ახორციელებენ. საკმარისად არაა განვითარებული მათი მომსახურება ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობისა და სხვა საწარმოების მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— განიხილონ მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთათვის სოციალურ-საყოფაცხოვრებო დახმარების გაწევის საკითხი, მიიღონ კონკრეტული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კატეგორიის ყველა პირის გამოვლენასა და აღრიცხვას, აგრეთვე მათი სამედიცინო-სანიტარიული, სავაჭრო და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებას, მათ მიმართ შრომითი კოლექტივების შეფობის შემდგომ გაფართოებას;

— შექმნან სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხთა საკოორდინაციო კომისიები აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეების მეთაურობით;

— გამოუყონ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს დამატებითი შემოსავლის ხარჯზე ერთდროული მატერიალური დახმარების გასაწევად საჭირო სახსრები წელიწადში 100 მანეთამდე ოდენობით იმ ღრმად მოხუცებულებისა და ინვალიდებისათვის, რომლებიც იღებენ პენსიას მცირე ოდენობით (60 მანეთამდე).

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ (ამხ. გარდაფხაძე) გააძლიეროს მუშაობა მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურებისათვის, მათი მომსახურების ახალი ფორმებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, უზრუნველყოს, უწინარეს ყოვლისა, თი-

თოვული მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქის ჯეროვანი აღრიცხვა — სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში, მათი აქტიური მუშაობა ამ პირთა ბინაზე მომსახურების ორგანიზაციისათვის; განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სახლ-ინტერნატებში მოხუცებულთა და ინვალიდთა მოვლა-პატრონობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ამხ. ლევანვა) გააუმჯობესოს მოხუცებულთა და ინვალიდთა სამედიცინო დახმარება ბინაზე, დააწესოს სისტემატური კონტროლი მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ტერიტორიული პოლიკლინიკების უბნის ექიმთა მიერ საჭირო დახმარების გაწევისადმი.

4. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა (ამხ. ცანავა) მიაღწიოს პატრონაჟის მედლების მიერ მარტოხელა ავადმყოფ პენსიონერთა ბინაზე მომსახურების პრაქტიკის ფართოდ გავრცელებას.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. ქაჯაია) და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ (ამხ. მაყაშვილი):

— მიიღონ ზომები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურების გასაფართოებლად;

— მოაწიონ 1985 წლის 1 მარტიდან რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების წარდგენით ომისა და შრომის მარტოხელა შრომისუუნარო ვეტერანთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება ბინაზე (კვების პროდუქტების მიტანა წინასწარი შეკვეთით, თითოეულის რეცხვა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვა და შეკეთება, ბინების შეკეთება და სხვა ერთჯერადი მომსახურება).

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს განხორციელდეს 1985-1986 წლებში ქალაქ თბილისის გლდანისა და 26 კომისრის რაიონებში, ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონში, ქალაქ სოხუმში, ბათუმსა და რუსთავში ესტონეთის სსრ გამოცდილებისამებრ იმ მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა ბინაზე მომსახურების ექსპერიმენტი, რომლებიც სხვათა დახმარებას საჭიროებენ.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით სამი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი ამ მიზნით საჭირო რაოდენობის საშტატო ერთეულების, ხელფასის ფონდისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფის შესახებ.

7. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გაითვალისწინონ 1986-1988 წლებში სხვა რესპუბლიკების გამოცდილებისამებრ შრომისუუნარო მოხუცებულებისა და ინვალიდებისათვის სპეციალურად განკუთვნილი საცხოვრებელი სახლების ბლოკ-სექციების მშენებლობა.

8. ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით შეიმუშაოს 1985-1986 წლებში, მოქმედი ნორმებისა და წესების თანახმად, მოხუცებულებისა და ინვალიდებისათვის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ბლოკ-სექციების, აგრეთვე ერთ და ორ სართულიანი სახლების პროექტები იმ ვარაუდით, რომ შეუქმნან აღნიშნულ კონტინგენტს ცხოვრებისა და მომსახურებისათვის საჭირო პირობები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოყოს დაპროექტებისათვის საჭირო ლიმიტი.

საქართველოს სსრ სახმშენმა განიხილოს და შეათანხმოს 1986 წლის IV კვარტალის დამლევის ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ მიერ შემუშავებული მოხუცებულთა და ინვალიდთა საცხოვრებელი სახლების პროექტები.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტის ფორმირებისას გაითვალისწინოს ქალაქ ქუთაისში მოხუცებულთა და ინვალიდთა 200-ადგილიანი სახლ-ინტერნატისა და თბილისის პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატთან 150 კაცისათვის გათვალისწინებული საძინებელი კორპუსის მშენებლობის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**



СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1985 წელი

ბანონცემელი; საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრთა

ხელმოწერილია დასაბუქდად 16/V-85 წ. ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆,
საბუქდი თაბახი 5,8, სააღრიცხვო თაბახი 5,8